# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 2 თებერვალი 2000 №17 (1039) | ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა


**2** მაშინ იყო, თუ იყო

გუშინ სპორტის სასახლეში მიხეილ მესხის ტურნირი დაიწყო

**3** დემეტრაძე ჩემპიონთა ლიგაში: №27

ქართველი თავდამსხმელი კიეველებისთვის გატანას ჩემპიონთა ლიგის მატჩებშიც ეცდება

**7** ვინ გადაარჩენს აინტრახტს?





გერმანულ ფეხბურთში სკანდალი მწიფდება

**7** რამ განარისხა ალენ ბოკშიჩი?






ხორვატი თავდამსხმელი „ლაციოს" ფანებს შემოსწყრა

**14** მარშალი ტიტე

იტალიის „გენერალის" ქართველი ბომბარდირი შესაძლოა ესპანურ სუპერლიგაში ვიხილოთ




# დღეს: საქართველო — სლოვაკეთი

# უეფა ჩვენსკენაა

საფეხბურთო ევროპაში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაზე გაჭირვებულებიც ყოფილან...

გუშინწინ ბუქარესტში მსოფლიოს ჩემპიონატის ჩვენი შესარჩევი ჯგუფის წარმომადგენლები რომ შეიკრიბნენ და კალენდარზე შეთანხმებას ცდილობდნენ, იტალიელთა წინადადებას, უახლოეს დღეებში რომში შევიკრიბოთ და განრიგზე ერთხელაც მოვილაპარაკოთო, ლიტვის ფეხბურთის ფედერაციის წევრმა ვლადიმერას ბუზმაკოვასმა ასე უპასუხა: „ჩვენი ჯიბე ამას ვერ გაწვდება, ფინანსურად გვიჭირს, რომში ნუ ჩამოგვიყვანთ".

იტალიელმა თურმე დანარჩენებთან რომში შეხვედრა მას შემდეგ მოიწადინა, როცა შეატყო, მეტოქე გუნდების წარმომადგენლებთან შესარჩევი ციკლის კალენდარზე ვერ შეთანხმდებოდა. „სანამ უეფა თავად დაგვიდგენს მატჩების ჩატარების თარიღებს, რომშიც ვცადოთ, ეგებ შევთანხმდეთ", უთქვამს იტალიელს. ყიფიანი, რუმინელთა მწვრთნელი იენეი და უნგრელი ბეჩკაი ამაზე ყაბულს ყოფილან, მაგრამ ლიტველს ქვა აუგდია, თავი შეუშვერია.

მანამდე კი, თითქმის ექვსი საათის განმავლობაში ბერტალან ბეჩკაი ჯიუტობდა, მას მხოლოდ საკუთარი ვარიანტის გატანა სურდა და სხვათა აზრს არ ითვალისწინებდა.

ბუქარესტის თავყრილობისას იტალიას, რუმინეთსა და უნგრეთს საერთო ენა რომ გამოუნახავთ, ყიფიანისა და ბუზმაკოვასის თანხმობას ელოდნენ, მაგრამ არაფერი გამოსვლიათ, ჩვენებურს უთქვამს კატეგორიულად — ასეთი განრიგი ჩვენ არ გვაწყობსო.

ყოველივეზე გუშინ თავად დავით ყიფიანი გველაპარაკა კვიპროსიდან. მან ერთხელაც გაიმეორა, რომ ნაკრებისთვის უეფასეული განრიგი ერთობ ხელსაყრელია. რაც შეეხება რომში ხელმეორე შეხვედრას, ყიფიანის თქმით, ნაკლებ სავარაუდოა, ასე მოხდეს — არა მგონია ლიტველები იქ ჩამოვიდნენო.

უეფა კი ისეთ კალენდარს არ დაამტკიცებს, რომელიმე გუნდს ხელს თუ არ აძლევს. ასე რომ, თითქმის გადაწყვეტილია, მერვე ჯგუფის თამაშების განრიგს ჩვენსა და დანარჩენი ოთხი გუნდის უკითხავად დაადგენენ.

ამასობაში საქართველოს ნაკრები კვიპროსზე უკვე სრული შემადგენლობით შეიკრიბა და გუშინდელი საათნახევრიანი ვარჯიშის შემდეგ თითქმის ამდენივე ხანი სასტუმრო „მერიდიან ლიმასოლის" დარბაზში დაჰყო, მწვრთნელები ფეხბურთელებს ტაქტიკაზე ელაპარაკნენ.

რევაზ ძოძუაშვილმა, როგორც ყოველთვის, ახლაც ოპტიმისტურად გვითხრა, სლოვაკებს უნდა მოვუგოთ, ფსიქოლოგიური განწყობა გამოვიკეთოთო. დღევანდელი მეტოქის ძლევაში გუნდს ალბათ კაპიტანი გიორგი ნემსაძეც დაეხმარება, მას ფეხის ტკივილი უკვე დაამებია. ზაზა ჯანაშია კი ეროვნულ გუნდს გუშინ გამთენიისას შეუერთდა.

შეგახსენებთ, დღეს ლარნაკაში საქართველო — სლოვაკეთის მატჩი თბილისის დროით ხუთის ნახევარზე დაიწყება. ამ თამაშის ტელევიზიით ნახვა სატელიტური ანტენების პატრონებს შეეძლებათ.

**კობა ინასარიძე**

# ქამარს არავის გავატან!

## კობა გოგოლაძეს ტიტულის შენარჩუნებაში გიორგი ქინქლაძე და ძმები არველაძეები ეხმარებიან

პარასკევს თბილისის სპორტის სასახლეში კობა გოგოლაძე კვიპროსის დედაქალაქ ნიქოზიაში მოპოვებულ ინტერკონტინენტალის მსოფლიოს ჩემპიონის ქამარს დაიცავს ამერიკელი დევიდ ტერნერის ხელყოფისგან. დიახ, სწორედ ეს ოკეანისგაღმელი მოკრივე შეეცილება ჩვენებურს ჩემპიონის ტიტულს. რისი შემძლეა ტერნერი, ამაზე გოგოლაძის ბანაკმაც ბევრი არაფერი იცის, ცნობილი მხოლოდ ესაა — ამერიკელს პროფესიონალებში ოცდაათჯერ უჩხუბია, აქედან ათჯერ უმარჯვია, სამჯერ ნოკაუტით, დანარჩენ ბრძოლებში კი დამარცხებულა. თუმცა ამ მეჩხერი დოსიეთი ტერნერის სიძლიერეზე ლაპარაკი, ალბათ, უპრიანი არ იქნება. ამერიკელი იმუქრება — თბილისში მოვდივარ, ქამარი უნდა წავიღოო, გოგოლაძეც გულზეა — ოფლით მოპოვებულ ნადავლს აქედან არავის გავატანო. ერთი სიტყვით, პარასკევს სპორტის სასახლეში მისულ კრივის ქართველ გურმანებს თვალსასეირო ჩხუბი ელით. აქვე დავამატებთ: გოგოლაძე — ტერნერის ბრძოლამდე სამი ქართველი — უშანგი რურუა (60), კახა ბებურია (81) და ილია ტლაშაძე (მძიმე) პროფებში პირველ სარეიტინგო ბრძოლებს ჩაატარებენ.

იხილეთ მეთოთხმეტე გვერდი



კობა გოგოლაძე

ბადრი კეთილაძის ფოტო



გუშინ ვალრამ კილასონიას (ბურთით) შემჩერებელი არავინ იყო



გაგრი კოპალიანის ფოტო

„მერანმა" „სამგურალი" ალყაში მოაქცია

# მაშინ იყო, თუ იყო

## მესხის ტურნირს გაყინული და ცარიელი სპორტის სასახლე დახვდა

**არსენალი 2:4 ხობი**

0:1 ვ. ჩიტაია (3), 1:1 ასპინძელაშვილი (6), 1:2 ვართაგავა (18), 1:3 ვ. ჩიტაია (26), 2:3 აბაზაძე (39), 2:4 ვ. ჩიტაია (40)

**გორდა 7:1 მოყვარულები**

1:0, 2:0, 3:0 ვ. კილასონია (7,9,20), 4:0 მიშველიძე (22), 5:0 ვ. კილასონია (33), 6:0 გ. კილასონია (36), 7:0 ვ. კილასონია (37), 7:1 ზაკუტაშვილი (38)

**მერანი 3:0 სამგურალი**

1:0 თოლორდავა (10), 2:0 ლ. ამბიძე (20), 3:0 ივანიშვილი (38)

*ჭყონიამ (სამგურალი) ვერ გაიტანა პენალტი (9)*

**თბილისი 6:0 საქართველო U16**

1:0 ბურდული (1), 2:0 გოგიჩაიშვილი (12), 3:0 ტყებუჩავა (14), 4:0 ნორაკიძე (22), 5:0, 6:0 ლაბაძე (29, 37)

**იბერია 1:5 გორდა**

0:1 ბერიძე (8), 0:2 ვ. კილასონია (9), 0:3 გ. კილასონია (18), 0:4 ვ. კილასონია (29), 1:4 მუმლაძე (30), 1:5 ვ. კილასონია (37)

*გაძევება: პატარიძე (გორდა, 32)*

**დინამო 2:0 არსენალი**

1:0 დათუაძე (26), 2:0 შაშიაშვილი (27)

იყო დრო, მიხეილ მესხის სახელობის ტურნირს მინი-ფეხბურთში სპორტის სასახლე გადაჭედილი ხვდებოდა, მაშინ დიდი მესხიც ცოცხალი იყო და ხიხარულისგან ცრემლმომდგარი მადლობას უხდიდა ფეხზე მდგომ ქომაგს... მაშინდელი ტურნირიც გამორჩეული იყო, ეშხი, ცეცხლი და ლაზათი არ აკლდა, დღეს კი... აღარც მესხი, აღარც გულშემატკივარი (თხუთმეტი წუთით ელექტროენერგიამაც უმტყუნა გაყინულ და თითქმის ცარიელ დარბაზს)... ძველ დროებას მხოლოდ ორგანიზატორთა მაგიდაზე ამაყად დაბრძანებული გარდამავალი თასი თუ მოგაგონებთ.

უცერემონიოდ დაწყებული ტურნირის პირველ შეხვედრაში „არსენალი" „ხობს" დაუპირისპირდა. ხობელებმა მეტოქეს საგოლე მომენტების გამოუყენებლობა არ აპატიეს და ვლადიმერ ჩიტაიას ჰეთ-თრიქის წყალობით მატჩი გამარჯვებამდე მიიყვანეს. შემდეგ კი საქართველოს ნაკრების მაისურებით შემოსილი ჯონი ჯანელიძის მოყვარულები გაცამტვერდნენ „გორდასთან". დარბაზის ფეხბურთში კილასონიების ძალა ბევრ გუნდს გამოუცდია თავის თავზე. ერთ რამედ ღირდა გუშინ ძმების ნახვა, მშვიდად, ჩვეულ სტილში ითამაშეს. გიორგის უზადო პასებს ვარლამი უხვდებოდა, ძმურ ამბავს სხვა გორდელებიც არ ჩამორჩნენ და შედეგად მოყვარულებს ნუგეშად მხოლოდ მატჩის ბოლოს გატანილი ერთადერთი გოლი შემორჩათ. ვარლამ კილასონიას კი ერთ დროს რუსეთის პირველობაზე დამყარებული რეკორდის გამეორებაზე (ერთ მატჩში 7 გოლი) ორი ბურთი დააკლდა.

მესამე მატჩში „მერანმა" „სამგურალს" სძლია, თუმცა დასაწყისისთვის წყალტუბოელები ურიგოდ არ გამოიყურებოდნენ. ჭყონიას პენალტი რომ გამოეყენებინა, ვინ იცის, ეგებ სხვა სცენარითაც გაგრძელებულიყო მატჩი, მაგრამ ძელმა თავისი გააკეთა, საპასუხო შეტევაში კი თოლორდავამ დააწინაურა ტრანსპორტელები. ტაიმის ბოლო წუთზე ლაშა ამბიძემ ერთიც გაუტანა ბობოხიძეს და მეორე ნახევარში „მერანმა" მშვიდად დაასრულა საქმე.

დიდი ანგარიშით მოიგო „თბილისმა". ახალგაზრდებმა მათზე უმცროს თექვსმეტწლამდელებს ექვსი უპასუხო ბურთი გაუტანეს. ჯერ ბურდულმა დაიწყო პირველივე წუთზე, ბოლოს კი ლაბაძემ დუბლით დაასრულა. მერე ისევ „გორდას" ჯერი დადგა. ტურნირის რეგლამენტი იმგვარადაა მოწყობილი, რომ ზოგ გუნდს ერთ დღეს ორი თამაშის გამართვა უწევს. რუსთაველებიც სამგუნდა ჯგუფის ბოლო მეტოქეს, „იბერიას" შეებნენ და უპრობლემოდაც სძლიეს. ვარლამ კილასონიამ თავის აქტივს სამი გოლი შემატა და ბომბარდირთა დავაშიც დაწინაურდა. „გორდა" პირველი გავიდა ნახევარფინალში, სადაც „დინამო" — „ხობს" შორის უკეთესს შეხვდება. იმ ჯგუფის მესამე გუნდმა, „არსენალმა" კი გათამაშება დაასრულა, რადგან მეორე შეხვედრაშიც დამარცხდა, თუმცა ტოლი არ დაუდო „დინამოს". პირველი, უგოლო ტაიმის შემდეგ ჩემპიონი გააქტიურდა და დათუაძის გააზრებული თამაშის წყალობით ორი ბურთით სძლია მეტოქეს. ეს კი იმასაც ნიშნავს, რომ მეორე შეხვედრაში „დინამოს" მხოლოდ გამარჯვება სჭირდება „ხობთან", რადგან ფრეს შემთხვევაშიც კი ბურთების უკეთესი მაჩვენებლებით დასავლეთელები გავლენ ნახევარფინალში.

დღეს მატჩები 11 საათიდან დაიწყება და ჯგუფური ეტაპიც დასრულდება. ხვალ კი ნახევარფინალები და ფინალური მატჩები გაიმართება.

**პაატა ქვანტალიანი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **I ჯგუფი** | | | | | | |
| ხობი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:2 | 3 |
| დინამო | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| არსენალი | 2 | 0 | 0 | 2 | 256 | 0 |
| **II ჯგუფი** | | | | | | |
| თბილისი | 1 | 1 | 0 | 0 | 6:0 | 3 |
| საქართველო U16 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:6 | 0 |
| სიონი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| **III ჯგუფი** | | | | | | |
| მერანი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| სამგურალი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |
| დილა | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| **IV ჯგუფი** | | | | | | |
| გორდა | 2 | 2 | 0 | 0 | 12:2 | 6 |
| იბერია | 1 | 0 | 0 | 1 | 1:5 | 0 |
| მოყვარულები | 1 | 0 | 0 | 1 | 1:7 | 0 |

# ისწავლეთ, თორემ ვერ ითამაშებთ!



გაგრი კოპალიანის ფოტო

ეროვნული ჩემპიონატის ნაცნობი სურათი...

ოდესმე თუ გინახავთ (ან გსმენიათ) შეუმცდარი მსაჯი?

ასეთი ჯერ არ გამოჩენილა საფეხბურთო მსოფლიოში.

თანამედროვე ფეხბურთში თუ მოიძებნება ყოველმხრივ უნაკლო და უზადო ფეხბურთელი?

ძალიან გაჭირდება ასეთის პოვნა.

ერთმანეთში მოკამათე (მოქიშპე და მოჩხუბარიც) მსაჯი და ფეხბურთელი კი ხშირად გვიხილავს, მით უმეტეს, როცა საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატებს ადევნებ თვალყურს.

ზოგჯერ მსაჯი სცოდავს, მისი ქმედება ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს და იწყება ალიაქოთი საფეხბურთო მინდორზე.

ზოგჯერაც მსაჯი ცამდე მართალია. უბრალოდ, ფეხბურთელმა არც იცის თამაშის ელემენტარული წესები და ისევ იწყება ალიაქოთი.

რას აკეთებს ფეხბურის ფედერაცია, რათა საფეხბურთო მინდვრებზე გაუგებრობებმა და აურზაურმა იკლოს?

დიდსაც არაფერს, მხოლოდ ცდილობს, გაანათლოს მსაჯებიც და ფეხბურთელებიც. ხომ გაგიგონიათ, ცდა ბედის მონახევრეაო.

ფედერაციის სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის ხელმძღვანელ ანატოლი მილჩენკოს გადაუწყვეტია, სპეციალური მუშა ჯგუფი გამოყოს და საფეხბურთო კლუბებში ლექციები ჩაატაროს.

რაღაც ამდაგვარის მოწყობა რამდენიმე წლის წინ ძველი ფედერაციის მესვეურებმაც განიზრახეს. გვახსოვს, „დინამოში" წაიკითხეს ლექცია, კიდევ ერთი ორგან და ამით ამოიწურა პროგრამა.

მაშინ განათლებულობისა არაფერი დასტყობიათ ჩვენებურ მოთამაშეებს. არბიტრთა ცემატყეპა დღემდე გრძელდება.

ახლა რას აპირებს მილჩენკო? რას და რეგლამენტის შემოღებას. ფეხბურთელს, რომელსაც ფეხბურთის ელემენტარული წესები არ ეცოდინება, თამაშის უფლებას ჩამოვართმევთო. სანამ რეგლამენტი ამოქმედდება, მანამ გუნდებს (ალბათ, პირველჯგუფელთა უმრავლესობას) ლექციებს წაუკითხავენ.

სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტმა განმანათლებლობისთვის თავისთვის მეტად ხელსაყრელი დრო შეარჩია. მიხეილ მესხის ხსოვნის ტურნირზე პირველჯგუფელთა დიდი ნაწილი შეიკრიბა. გორელები და ბოლნისელები სასტუმრო „მესაზღვრეში" ბინადრობენ, ხობელები, წყალტუბოელები და სამტრედიელები კი — „შევარდენის" სტადიონზე.

უკეთესი ვარიანტი ფედერაციას არ ჩაუვარდებოდა. ცალცალკე ყველგან სპეციალური ჯგუფების მივლინება დიდი თანხა დაჯდებოდა და საღლაა ამდენი.

მისასალმებელი ფაქტია, მაგრამ საქართველოში ფეხბურთს მეორე ჯგუფშიც თამაშობენ დავაითუ გამოხტეს ვილაც ინტრიგანი სამართლიანი კითხვით, დანარჩენებს განათლება აწყენდათო?!

ასე რომ, თუ სერიოზულად გადაუწყვეტია ზემოაღნიშნული პრობლემების მოგვარება, ფედერაციამ ჯიბეზეც უნდა გაიკრას ხელი.

**დავით დანელია**

**ვიყიდი**

1973 წლის თბილისის „დინამოსა" და „ტოტენჰემ ჰოთსპურის" თბილისური მატჩის პროგრამას.

ტელ: 8 (99) 55 36 93

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვეზეტელი ლაშა ჯაკობია აბობოქრდა

გასული კვირის აღმოჩენად უდავოდ ბელგიის მეორე დივიზიონის „ვეზეტში“ ლიეჟის „სტანდარდიდან“ განათხოვრებული 19 წლის ქართველი ფორვარდი ლაშა ჯაკობია იქცა. შეიძლება ითქვას, რომ ლაშამ სული შთაბერა უიმედო აუტსაიდერ „ვეზეტს“ და თავის მე-6 შეხვედრაში მე-4 გოლი მიითვალა.

ამჯერად „ვეზეტმა“ ცხრილის შუაგულში მყოფ „ტირლემონტს“ უმასპინძლა და 1500 ფანის წინ 6:0 გაანადგურა. ჯაკობია მატჩის გმირი გახდა. მან ჯერ მესამე წუთზე დალაშქრა სტუმართა კარი, შემდეგ მესამე და მეოთხე გოლები პირონსა და დე გრეგორის გაატანინა. 87-ე წუთზე კი თავად დაუსვა წერტილი „ტირლემონტელთა“ შერცხვენას.

ამ გამარჯვებამ „ვეზეტს“ საშუალება მისცა, სეზონში პირველად, ბოლო, მე-18 ადგილი დაეტოვებინა და მე-17-ეზე აენაცვლა. მან „კაპელანი“ ჩამოიტოვა. მე-16-ეზე მყოფ „ჰაკენგემს“ კი 16 ქულა აქვს და „ვეზეტს“ 7 ქულით უსწრებს.

კვლავ კარგი შთაბეჭდილება დატოვა არჩილ არველაძემ „ვეენდამთან“ შეხვერაში. ქართველმა ისევ მიითვალა საგოლე პასი და მედიისგან „6“ დაიმსახურა. „ბრედამ“ 2:0 მოიგო და „ზვოლესთან“ ერთად 43-43 ქულით ლიდერობს ჰოლანდიის მეორე დივიზიონს.

2000 წელს პირველი ოფიციალური მატჩი წარუმატებელი გამოდგა ამსტერდამის „აიაქსისთვის“. იან ვაუტერსის გუნდი ტრავმირებული შოთა არველაძის გარეშე ესტუმრა „ამსტელის თასის“ მერვედფინალში „როდას“ და ბოლო წუთზე ბელგიელი პეეტერსისგან მიღებული გოლით გათამაშებას დაემშვიდობა.



ლაშა ჯაკობია მეურვეს გაურბის

„აიაქსისგან“ განსხვავებით, ინგლისის ასოციაციის თასის მეოთხედფინალში გააღწია „ნიუკასლმა“, მან სტუმრად პირველდივიზიონელ „ბლექბერნ როვერს“ 2:1 აჯობა. ქეცბაიას არც ამჯერად უთამაშია, ქართველი კვიპროსზე ნაკრებს შეუერთდა. „ნიუკასლს“ მეოთხედფინალში კიდევ ერთი პირველდივიზიონელი, „ტრანმერი“ ელის. რადგან „დერბი“ ამ გათამაშებიდან კარგა ხნის გავარდნილი იყო, ქინქლაძე და მისი გუნდი ისვენებდნენ.

ისრაელში კი ქართველებს არ გაუმართლათ. ჰაიფას „მაკაბიმ“ ნეთანიას წინააღმდეგობა ვერ გატეხა და მატჩი 1:1 დასრულა. გახოკიძე ელი კოენმა პირველი ტაიმის შემდეგ შეცვალა. ასევე ვერ ივარგა გიორგი დარასელიას ქვარ-სავამ, რომელმაც აუტსაიდერ ჰერცლიის „მაკაბის“ ვერ მოუგო (0:0). ფრემ გახოკიძის გუნდს ლიდერობა დააკარგვინა, მას ერთი ქულით გაუსწრო თელ ავივის „ჰაპოელმა“.

საბერძნეთში ნატროშვილის „პანაჰაიკმა“ ბერძნული საკლუბო ფეხბურთის ერთ-ერთ გრანდს, პირეოსის „ოლიმპიაკოსს“ უმასპინძლა. გოდერძის ჩვენთვის უცნობი მიზეზის გამო არ უთამაშია. პატრელები პირველ ტაიმში მედგრად იცავდნენ თავს, თუმცა მეორეში ორი გოლი მაინც მიიღეს. ერთი პირეოსში მიბრუნებულმა სლოვენიელმა ზაჰოვიჩმა გაიტანა.

ბელგიის უმაღლეს დივიზიონში კი გელა შეყილაძემ 3 გაფრთხილების გამო ვერ ითამაშა, თუმცა „ლიერსმა“ უმისოდაც სძლია „ჰარელბეკს“ და სატურნირო მდგომარეობა საგრძნობლად გაიუმჯობესა.

**სიმონ მენაბდე**

| სახელი გვარი | კლუბი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|
| | | | **ინგლისი** | | |
| | | | პრემიერლიგა | | |
| თემურ ქეცბაია<br>გიორგი ქინქლაძე | ნიუკასლი<br>დერბი | ს | ბლექბერნი 2:1 | 0 | ნაკრებშია გამოძახებული<br>გუნდი ისვენებდა |
| | | | პირველი დივიზიონი | | |
| კახი ცხადაძე | მანჩესტერ სიტი | | | | გუნდი ისვენებდა |
| | | | **ბელგია** | | |
| | | | უმაღლესი დივიზიონი | | |
| გელა შეყილაძე | ლიერსი | შ | ჰარელბეკი 2:0 | 0 | დისკვალიფიცირებულია |
| | | | მეორე დივიზიონი | | |
| ლაშა ჯაკობია | ვეზეტი | შ | ტირლემონტი 6:0 | 90 | 2 გოლი, 2 საგოლე პასი |
| | | | **საბერძნეთი** | | |
| | | | უმაღლესი დივიზიონი | | |
| გოდერძი ნატროშვილი | პანაჰაიკი | შ | ოლიმპიაკოსი 0:2 | 0 | |
| | | | **ისრაელი** | | |
| | | | უმაღლესი დივიზიონი | | |
| გიორგი დარასელია<br>გიორგი გახოკიძე | ჰაპოელი (ქვარსავა)<br>მაკაბი (ჰაიფა) | შ<br>შ | მაკაბი (ჰ) 0:0<br>მაკაბი (ნ) 1:1 | 90<br>45 | <br>შეცვალეს |
| | | | **ჰოლანდია** | | |
| | | | პირველი დივიზიონი | | |
| შოთა არველაძე | აიაქსი | ს | როდა 0:1 | 0 | ტრავმა |
| | | | მეორე დივიზიონი | | |
| არჩილ არველაძე | ბრედა | ს | ვეენდამი 2:0 | 80 | საგოლე პასი, შეცვალეს |



# დემეტრაძე ლიგაში: №27

## პრაღის დუკლასთან გიორგის გოლს მედიამ შედევრი უწოდა

გუშინ კვიპროსზე კიევის „დინამომ“ ბოლო საკონტროლო შეხვედრა გამართა და პრაღის „დუკლას“ 4:0 მოუგო. კალაძემ 90 წუთი ითამაშა. დემეტრაძე კი მეორე ტაიმში უზბეკი შაცკიხის ნაცვლად შევიდა. პირველი ტაიმი კიევმა მინიმალური სხვაობით მოიგო. 38-ე წუთზე თავი გუსინმა გამოიჩინა.

მეორე ტაიმის დასაწყისშივე კი გიორგიმ იომა და 50-ე წუთზე ულამაზესი გოლი გაუტანა ჩეხებს. ეს შეტევა კახა კალაძემ წამოიწყო, კოსოვსკიმ გააგრძელა და დემეტრაძემ დააგვირგვინა. „დემეტრაძის შესრულებით მეორე გოლი უბრალოდ შედევრი იყო“ — აღფრთოვანებულია უკრაინული მედია.

8 წუთის შემდეგ მიხაილენკოს გატანილ გოლში თავისი წვლილი ისევ კალაძემ შეიტანა, ქართველმა მცველმა ისევ გაიყვანა კარგ პოზიციაზე კოსოვსკი და ამანაც საგოლე პასი გადასცა მიხაილენკოს.

ამის შემდეგ ჩეხები მეტად გააქტიურდნენ, 10 წუთის მანძილზე 2 ასპროცენტიანი მომენტიც შექმნეს, თუმცა კიეველთა მეკარე კერნოზენკომ იმარჯვა.

70-ე წუთზე კი დემეტრაძემ რამდენიმე ჩეხს დაახვია თავბრუ და არბიტრმა პენალტი დანიშნა, რომელიც რებროვმა გაიტანა.

მატჩის შემდეგ ვალერი ლობანოვსკიმ უეფაში ახალი განაცხადი გააგზავნა, რომელშიც მხოლოდ ორი ცვლილებაა — რადჩენკოსა და კოსირინის ადგილები გიორგი დემეტრაძემ და იგორ კოსტიუკმა დაიკავეს.

ქართველი ფორვარდი ჩემპიონთა ლიგაში 27-ნომრიანი მაისურათი ისპარეზებს.

„დინამოს“ განაცხადი კი ასეთია: მეკარეები — 1. შოვკოვსკი, 12. კერნოზენკო, 13. რომანენკო; მცველები — 4. გოლოვკო, 5. ვაშჩუკი, 6. დმიტრულინი, 7. კალაძე, 17. ფედოროვი, 21. ეზერსკი 25. მამედოვი, 26. ნესმაჩნი; ნახევარმცველები — 2. ხაცკევიჩი, 3. გერასიმენკო, 8. ბელკევიჩი, 9. კოსოვსკი, 14. გუსინი, 15. იაშკინი, 18. კარდაში, 19. კორმილცევი, 20. მიხაილენკო, 28. კოსტიუკი; თავდამსხმელები — 10. ვეგლინსკი, 11. რებროვი, 16. შაცკიხი, 28. კონოვალოვი, 27. დემეტრაძე.

**სიმონ მენაბდე**

# არსოშვილიც ნივაში ჯდება

დიდი ხანი არაა, რაც თბილისის „ლოკომოტივის“ მცველთა დუეტი — ვაჟა თარხნიშვილი და დიმიტრი არსოშვილი მოლდოვურ „შერიფში“ გადაბარგდა. თუ პირველმა მყარად მოირგო ახალი კლუბის მაისურა, მეორემ სულ რამდენჯერმე იბურთავა მოლდოვურ ჩემპიონატში და მალე შინისკენ გამოეშურა.

არსოშვილის უთამაშებლობის მიზეზი ფეხბურთელის ტრავმა შეიქნა. თუმცა იმასაც ამბობდნენ, რკინიგზელი მცველი შერიფელობას ნაადრევად იმიტომ გამოეთხოვა, რომ კლუბებს შორის შეუთანხმებლობამ იჩინა თავიო.

ეროვნული გათამაშების კარიბჭეს მომდგარ არსოშვილს კარიერის გაგრძელება კვლავ „ლოკომოტივში“ სურდა, მაგრამ მოლდოვაში მიღებული ტრავმა გაურთულდა და მეთერთმეტე ჩემპიონატის პირველი ეტაპი მკურნალობას მოანდომა.

რკინ[illegible]ეთა გუნდში რევაზ ძოძუაშვილის მისვლამ ბევრი რამ შეცვალა კლუბის ცხოვრებაში. შემადგენლობის გადახალისების მიზნით მიხიჩას წარმოებულმა პოლიტიკამ არსოშვილს გვერდი აუარა და ტრავმამოშუშებული ფეხბურთელი თავის გზას დაადგა.

როგორც აღმოჩნდა, ეს გზა ტერნოპოლისკენ მიდიოდა. უკვე ერთი კვირაა, დიმიტრი „ნივაში“ ისინჯება და სულ მალე, ალბათ, ძმებ კაპანაძეებისა და კახა დგებუაძის თანაგუნდელიც გახდება.

კარგა ხნის უთამაშებელმა არსოშვილმა უკრაინაში გამგზავრებამდე დაკარგულის ნაწილობრივ ანაზღაურება სცადა და ორი კვირის განმავლობაში ინტენსიურად ვარჯიშობდა რუსთავის „გორდას“ ფეხბურთელებთან ერთად.

**ხვიჩა სანიკიძე**

# ფრიდონ გოცირიძემ ჯერ არ იცის

„დღეს გუნდის მთავარი მწვრთნელის ადგილი თავისუფალია. ვინ დაიკავებს მას, ეს თბილისური შეხვედრის შემდეგ გადაწყდება. არც ისაა გამორიცხული, კვლავ ფრიდონ გოცირიძე დაბრუნდეს. შეუძლებელია იმ ღვაწლის დავიწყება, რაც მას მიუძღვის ადგილობრივი ფეხბურთის განვითარების საქმეში“ ახალმა პრეზიდენტმა ენუქი თევზაძემ რამდენიმე დღის წინ „სარბიელისთვის“ მიცემული ინტერვიუში თქვა.

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში მინი-ფეხბურთში მიხეილ მესხის სახელობის ტურნირი „არსენალი“ — „ხობის“ მატჩით გაიხსნა. ხობელებს ფრიდონ გოცირიძემ უხელმძღვანელა. „კოლხეთში“ მთავარი მწვრთნელის საკითხი გადაწყვეტილად ჩავთვალეთ, თუმცა თამაშის შემდეგ თავად გოცირიძემ მოულოდნელი რამ განგვიცხადა: „არა, კლუბში დროებით ვარ. ორი დღის წინ ხობის გამგებელმა ანგული მიქავამ დამირეკა, მთხოვა, გუნდი შემეკრიბა, თბილისში წამომეყვანა და მესხის სახელობის ტურნირში გვეთამაშა“.

გოცირიძე გამგებლის თხოვნას გაგებით მოეკიდა. იგი თავად დაუკავშირდა ფეხბურთელებს, შეკრიბა, ერთი დღე წაავარჯიშა და თბილისში ტურნირზე სათამაშოდ წამოიყვანა. მწვრთნელი „ხობს“ დღეს და, თუ საჭირო გახდა, ხვალაც უთავკაცებს, მერე კი თავისი გზით წავა, თუმცა კვლავაც არ არის გამორიცხული, მეორე ეტაპზეც იგი წაუძღვეს „კოლხეთს“.

„დღევანდელი ხობის „კოლხეთის“ შემადგენლობის უმეტესობა ჩემი აღზრდილია. ამიტომ მათ ვერ მივატოვებ. გუნდს თუ დავჭირდი, მზად ვარ, დავბრუნდე. „კოლხეთს“, მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი წაუვიდა, ლიგაში ადგილის შენარჩუნება კვლავაც ძალუძს“ — გვითხრა გოცირიძემ.

შეგახსენებთ, პირველი ეტაპის შემდეგ „კოლხეთში“ მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. გუნდი პრეზიდენტმა, ვიცე-პრეზიდენტმა და რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვეს. გოცირიძე კი გაათავისუფლეს. „ხობი“ მე-15 ადგილზე იმყოფება, მდგომარეობას კი სტადიონის სეზონის ბოლომდე დისკვალიფიკაცია უფრო უმძიმებს.

ვანო ოქროპირიძე



ფრიდონ გოცირიძე

# ტორპედოს ტემპს უმატა

### ქუთაისელებმა თურქეთში ლატვიელები დაამარცხეს

თურქეთში, ანთალიაში მყოფმა ქუთაისის „ტორპედომ“ მეოთხე საკონტროლო მატჩი გამართა. ჩვენებურები ლატვიურ „ვენტსპილსს“ გაეჯიბრნენ ამხანაგურად და მეტოქე 2:1 დაამარცხეს.

ცნობისთვის იმასაც გეტყვით, რომ ორი დღის წინ „ვენტსპილსი“ ანთალიაში ქუთაისელთა მძლეველ იაროსლავლის „შინიკს“ 0:0 ეთამაშა.

„ტორპედოს“ გუშინდელ მატჩზე თხრობა გუნდის ერთ-ერთ მწვრთნელს, გელა კიკალეიშვილს ტელეფონით ვთხოვეთ:

— თავიდანვე გეტყვით, რომ ბიჭებმა საგრძნობლად გაუმჯობესეს თამაშის ხარისხი. „ვენტსპილთან“ მაღლაკელიძეს და შეყრილაძეს არ უთამაშიათ. პირველს მცირე ტრავმა აწუხებს, მეორე კი გაციებულია.

თამაში მთლიანად ჩვენი უპირატესობით წარიმართა. თუმცა პირველი ტაიმი 0:1 წავაგეთ. შევქმენით, მაგრამ უამრავი საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენეთ...

მეორე ნახევარში დაახლოებით 20 წუთი იქნებოდა გასული, როცა მეგრელაძემ წონასწორობა აღადგინა. გამარჯვების გოლი კი ჯანაშიამ გაიტანა მატჩის დამთავრებამდე 4 წუთით ადრე — გვითხრა კიკალეიშვილმა.

„ტორპედომ“ ამ შემადგენლობით ითამაშა: ჭანტურია, ამისულაშვილი, თავბერიძე, აზვლედიანი, თურმანიძე, ჩხეტიანი, კვეტენაძე, გოგიაშვილი, მეგრელაძე, ასათიანი, ჯანაშია.

შეცვლაზე მხოლოდ ბობოხიძე შევიდა.

გუშინ ქუთაისელებს შეუერთდა ეროვნულ ნაკრებში საკვიპროსოდ გამოძახებული და შინ დატოვებული ზურაბ იონანიძე. იგი, ალბათ, „ტორპედოს“ დღევანდელ შეხვედრაში მიიღებს მონაწილეობას. ქუთაისელები ერთ-ერთ თურქულ გუნდს უნდა შეხვდნენ.

ხვიჩა სანიკიძე

# საშუასეზონო მიდი-მოდი

| I–VIII | გასხვისებულები | ახალწვეულები | მატჩები |
| --- | --- | --- | --- |
| ტორპედო<br>*დავით ყიფიანი* | მაზანიშვილი (სიონი), კ. ჯანაშია (სამგურალი), ვ. მაისურაძე (თბილისი), ჩხაბერიძე (თავისუფალი აგენტი) | გ. გოგოლაძე, თავბერიძე, ვადაჭკორია, კვერნაძე, ბაბუნაშვილი (ინტერი), ქადაგიძე (ნორჩი დინამოელი) | ქოიზმეთესფორი (თურქეთი) 5:0, შინიკი (რუსეთი) 0:1, ნოსტა (ნოვოტროიცკი, რუსეთი) 2:2, ვენტსპილსი (ლატვია) 2:1 |
| დინამო<br>*ოთარ კორღალიძე* | აშვეთია (ალანია, რუსეთი), ალექსიძე (ჩელსი, ინგლისი), ლომაია (ლოკომოტივი), ზირაქიშვილი (ბელასიცა, პეტრიჩი, ბულგარეთი), ხომერიკი (ბათუმი), თ. კობიაშვილი (ვიტ ჯორჯია), ვ. გიგიაძე, ს. გიგიაძე (კრივბასი, უკრაინა) | გოგიჩაიშვილი, ქებაძე (ლოკომოტივი), კერძევაძე (ქიმვაზი, აზერბაიჯანი), ქემოკლიძე, ო. გველესიანი, ზამთარაძე, რუხაძე, მიქაძე, ა. ჩიხრაძე, ზ. ხიზანიშვილი (თბილისი), დათუაძე (სიონი), შელია (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), ლობჟანიძე (უეფას მიერ დისკვალიფიცირებული იყო), გადელია (ბათუმი), რ. არველაძე (ობერჰაუზენი, გერმანია), ჩხეიძე (?) | ვიტ ჯორჯია 3:2, ლოკომოტივი 1:2, საქართველო U21 2:2, ცაგ დინამო (ყირგიზეთი) 5:2, ვარზობი (ტაჯიკეთი) 3:5, ირტიშ ბასტაუ (ყაზახეთი) 5:2 |
| კოლხეთი<br>*გია ტყებუჩავა* | ქოხონელიძე (თსუ), ტრაპაიძე (შერიფი, მოლდოვა), დავითნიძე (ტორპედო, მოსკოვი, რუსეთი), ბულუხია (თამაში მიატოვა), მელაძე (?) | მ. ქობულაძე, შავგულიძე (ლოკომოტივი), გ. ჩიტაია (დილა) | |
| ბათუმი<br>*ჯანი კარნევალე* | პაპიძე (თბილისი), კანტიძე (თამაში მიატოვა), გადელია (დინამო), უვაკვე (?) | ხომერიკი (დინამო), ჩლაიძე, თარგამაძე (არსენალი), პეტრიაშვილი (სამგურალი), ბარნოვი (ლოკომოტივი), გ. ნოზაძე (საუ), კაკაბაძე (ცხუმი) | |
| ვიტ ჯორჯია<br>*სერგო კუტრიკაძე* | კ. ალადაშვილი (გორდა), მაზიაშვილი (ლოკომოტივი) | ლ. მელქაძე (თბილისი), ი. ხაჭაპურიძე (სამგურალი), მერლანი, ახალაძე (თსუ), თ. კობიაშვილი (დინამო), ვ. კაკაშვილი (თბილისი) | ზოოვეტი 5:0, დინამო 2:3, თსუ 6:4, დილა 1:0, მერანი 0:0, სიონი 1:0, საქართველო U21 1:0 |
| სიონი<br>*სპარტაკ არჩვაძე* | დათუაძე (დინამო), დ. გოდერძიშვილი (ლოკომოტივი), ნ. მინდიაშვილი, მ. მინდიაშვილი (?) | მაზანიშვილი (ტორპედო), ისიანი (თბილისი), დაუშვილი (არსენალი) | ვიტ ჯორჯია 0:1, არსენალი 1:3 |
| დილა<br>*მერაბ კოჭლაშვილი* | გ. ჩიტაია (კოლხეთი) | | ვიტ ჯორჯია 0:1, მერანი 0:0, ლოკომოტივი 3:1 |
| იბერია<br>*სოსო ფრუიძე* | კ. მეტრეველი (დნეპრი ან ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა) | | |

| IX–XVI | გასხვისებულები | ახალწვეულები | მატჩები |
| --- | --- | --- | --- |
| ლოკომოტივი<br>*რევაზ ძოძუაშვილი* | გოგიჩაიშვილი, ქებაძე (დინამო), მ. ქობულაძე, შავგულიძე (კოლხეთი), ბარნოვი (ბათუმი), ლ. მიქაძე (ანჟი, რუსეთი), დ. ჯანელიძე, დოლაბერიძე (?) | ლომაია (დინამო), კვარაცხელია, აბრამიძე (თბილისი), ხუროძე (სკონტო, ლატვია), ძოძუაშვილი (სამგურალი), რ. ახალკაცი (შუმენი, ბულგარეთი), გამცემლიძე (ტრავმის გამო არ თამაშობდა), დ. გოდერძიშვილი (სიონი), პარამონოვი (თბილისი 2), მაზიაშვილი (ვიტ ჯორჯია), ჯულელი (მეტალურგი, ლიპეცკი, რუსეთი) | დინამო 2:1, დილა 1:3, მერანი 2:2, 0:1 |
| გორდა<br>*იასონ ალაჯაშვილი* | | კ. ალადაშვილი (ვიტ ჯორჯია), გაბარაევი (მამული), დ. ნიკლაური (ხალიბი) | ხალიბი 4:3, 3:2 |
| თსუ<br>*თენგიზ კაცია* | მერლანი, ახალაძე (ვიტ ჯორჯია), ნინუა (ბელასიცა, პეტრიჩი, ბულგარეთი) | ფუტკარაძე (ინტერი), ჯავახიშვილი, გ. ილურიძე (განთიადი), ნანიშვილი (ცხუმი), სულავა (ნორჩი დინამოელი), ქოხონელიძე (კოლხეთი) | ვიტ ჯორჯია 4:6 |
| მერანი<br>*სერგო გაბელაია* | ხარებავა, ე. ალადაშვილი (არსენალი) | კოშკაძე, ავალიანი, მელიქია, კვანტალიანი, მიკუჩაძე (ამირანი), ქოიავა (არაგვი), თ. დოლიძე, მოსულიშვილი (?) | ცხუმი 6:0, ვიტ ჯორჯია 0:0, დილა 0:0, ლოკომოტივი 2:2, 1:0 |
| თბილისი<br>*რამაზ შუმლაძე* | ქემოკლიძე, ო. გველესიანი, ზამთარაძე, რუხაძე, მიქაძე, ა. ჩიხრაძე, ზ. ხიზანიშვილი (დინამო), კვარაცხელია, აბრამიძე (ლოკომოტივი), ისიანი (სიონი), ლ. მელქაძე (ვიტ ჯორჯია), ვალერი გაგუა (სკონტო, ლატვია) | გონჩაროვი (არსენალი), ვ. მაისურაძე (ტორპედო), პაპიძე (ბათუმი), ნორაკიძე, ჩივაძე, ახალია (თბილისი 2) | |
| სამგურალი<br>*იასონ ბზიკაძე* | ძოძუაშვილი (ლოკომოტივი), ი. ხაჭაპურიძე (ვიტ ჯორჯია), პეტრიაშვილი (ბათუმი), კოპალიანი (XXI საუკუნე) | კ. ჯანაშია (ტორპედო), გაბუნია (მეტალურგი), გ. ჯანელიძე (ტრავმის გამო არ თამაშობდა) | |
| ხობი<br>*უმწვრთნელოდ* | ლ. გვაზავა (ზიმბრუ, მოლდოვა), ონიანი (ლოკომოტივი), ნიქაბერიძე, ბაბუაძე, გოგიტაძე, ზ. კვეკვესკირი, თორია (?) | | |
| არსენალი<br>*ჯონი ჯანელიძე* | ჩლაიძე, თარგამაძე (ბათუმი), გონჩაროვი (თბილისი), დაუშვილი (სიონი), მ. მაისურაძე (?); მამუკა გეგეჭკორი (მწვრთნელი, დაითხოვეს) | ხარებავა, ე. ალადაშვილი (მერანი); ჯონი ჯანელიძე (მწვრთნელი) | სიონი 3:1 |

**შენიშვნა: ტრანსფერთა დიდი ნაწილი საბოლოო არ არის**

# ვინც მოვიდა, გაუმარჯოს!




№14

ილიკო ჭოლიძვილი

### აი, დოკუმენტი!

ახალკაცი და ჩივაძე სამი თვის შემდეგ ისევ ჩადიან შვეიცარიაში, ამჯერად — ფიფას კონგრესზე. პირველად — დელეგატის რანგში.

სამ ივლისს იმართება კენჭისყრა. სრული კეთილგანწყობა და მხარდაჭერა, ოვაცია და ტაში.

ამიერიდან საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ფიფას ნამდვილი წევრია.

იმ დღეს ფიფას კიდევ ათი წევრი შეემატა (რუსეთი, უკრაინა, ბელარუსი, სომხეთი, ხორვატია, სლოვენია, სამხრეთ აფრიკა, ნამიბია, კაიმანის კუნძულები, სენტ კიტსი და ნევისი, სამიც დაუბრუნდა (ლიტვა, ლატვია, ესტონეთი)

აი, დოკუმენტი:

„საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, ბატონ ნ. ახალკაცს; გენერალურ მდივანს, ბატონ დ. კვინიკაძეს. ძვირფასო პრეზიდენტო! ძვირფასო გენერალურო მდივანო! დიდი სიხარულით გაცნობებთ, რომ ფიფას 48-ე კონგრესმა 1992 წლის 3 ივლისს ოფიციალურად მიიღო თავის რიგებში საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია. კეთილი იყოს თქვენი შემობრძანება ფიფას დიდ ოჯახში. გისურვებთ დიდ წარმატებას მომავალში.

პატივისცემით, ფიფას პრეზიდენტი ჟ. აველანჟი, გენერალური მდივანი ი. ბლატერი". ციურიხი. 17 ივლისი, 1992 წელი".

მოკლედ — ვინც მოვიდა, გაუმარჯოს!

1990 წლის 15 თებერვალი — ფუძნდება საქართველოს ფეხბურთის დამოუკიდებელი ფედერაცია.

1992 წლის 3 ივლისი — საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ფიფას სრულუფლებიანი წევრია.

ამ ორ ამბავს შორის 2 წელი, 4 თვე და 18 დღეა.

ორივე კარგი ამბავია.

ერთი წლის შემდეგ, 1993 წლის 17 ივნისს ჟენევაში კიდევ ერთი კარგი ამბავი ხდება — უეფას რიგგარეშე კონგრესი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას უეფას მუდმივ წევრად ღებულობს.

### თამაშის დღეს, ნასადილევს

მანამდე იყო დროებითი წევრის სტატუსი და შეპირება უეფას აღმასკომის 1992 წლის 19 მაისის რიგგარეშე სხდომისა, რომ ქართულ გუნდებს უკვე 1992 წელს ვიხილავდით ევროპულ ტურნირებში (თბილისის „დინამოს" — ჩემპიონთა თასზე, სოხუმის „ცხუმს" — თასების თასზე, რუსთავის „გორდას" — უეფას თასზე). მაგრამ ჟენევაში, უკვე კენჭისყრაზე ჩასული ქართული დელეგაცია უარით გამოისტუმრეს, მოგვიანებით კი ოფიციალური განმარტებაც მოაყოლეს: „უეფას საკლუბო შეჯიბრებათა კომიტეტმა გადაწყვეტილება მიიღო წინასწარ მოპოვებული ინფორმაციის დაწვრილებითი განხილვის შემდეგ. კომიტეტმა ყველა ღონე იხმარა, რათა დაედგინა ნამდვილი მდგომარეობა თქვენი ქვეყნისა, რომელიც, სამწუხაროდ, არასტაბილურია. ასეთ პირობებში ეჭვქვეშ დგება სტუმარი გუნდების, ოფიციალური პირების, მსაჯების და ა. შ. უსაფრთხოება... სწორედ არასტაბილური პოლიტიკური სიტუაციის გამო, დღეისათვის თქვენს ქვეყანაში საერთაშორისო საფეხბურთო მატჩების გამართვა მიზანშეუწონელია. გულწრფელად ვიმედოვნებთ, რომ ვითარება გამოსწორდება და თქვენი კლუბები გაისიდან ევროტურნირებში ჩაებმებიან (ხელს აწერს უეფას გენერალური მდივანი გერჰარდ აიგნერი)".

ასეც ხდება. თბილისის „დინამოს", დიდი ძალისხმევისა და მისვლა-მოსვლის შემდეგ, ევროპის ჩემპიონთა თასის 1993-94 წლების წინასწარ ტურნირში ამწესებენ... ბელფასტის „ლინფილდთან" პირველივე მატჩში (1993 წლის 18 აგვისტო) მსაჯების მოსყიდვის მცდელობისათვის „დინამოს" აძევებენ ევროპული ტურნირიდან.

უეფას კონტროლისა და დისციპლინის კომიტეტის 1993 წლის 3 სექტემბრის გადაწყვეტილებას აპროტესტებს თბილისის „დინამო", მაგრამ შეუვალია უეფას სააპელაციო კომისიაც, რომელიც 9 სექტემბრის სხდომაზე ადგენს: „1. უარყოფილ იქნას თბილისის „დინამოს" აპელაცია; 2. თბილისის „დინამომ" გადაიხადოს პროცესის ხარჯი — 30 ათასი შვეიცარიული ფრანკი; 3. ეს გადაწყვეტილება საბოლოოა". კომისიის სხდომის ოქმში ნათქვამია, რომ „თამაშის დღეს, ოფიციალური სადილის შემდეგ, დაახლოებით 13 საათზე, მსაჯებმა დატოვეს რესტორანი, რათა თამაშისთვის მომზადებულიყვნენ. შალვა (ბადრი) ნინუამ, რომელსაც თბილისის „დინამომ" ორგანიზაციული და ფინანსური საკითხების მოგვარება დააკისრა, მსაჯებს შესთავაზა საკუთარი მანქანით ხუთასიოდე მეტრში მდებარე სასტუმროში მიყვანა და მანქანაშივე გადასცა ოთხი კონვერტი. მსაჯებმა, ნინუას მითითების მიუხედავად, გახსნეს კონვერტები. სამ კონვერტში 1000-1000 ამერიკული დოლარი აღმოჩნდა, ხოლო მთავარი მსაჯისთვის (ე. თოროღლუ) განკუთვნილში — 2000. მსაჯების მცდელობა, კონვერტები უკან დაებრუნებინათ, ეშედეგო აღმოჩნდა. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ, უეფას ოფიციალური დელეგატი კ. ფერტინგენი სასტუმროში შეხვდა მსაჯებს, რომლებმაც დაუყოვნებლივ აცნობეს აღნიშნული ფაქტის შესახებ... მსაჯების და დელეგატის მტკიცებით დასტურდება, რომ შალვა (ბადრი) ნინუას მოქმედება მსაჯების მოსყიდვის მცდელობაა. 5 ათასი დოლარის გადაცემის მიზანი იყო მსაჯებზე ზეგავლენა თბილისის „დინამოს" სასარგებლოდ".

განაჩენი შეუვალია, შედეგი — მეტისმეტად მძიმე: დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ევროპული დებიუტი ჩაფლავებულია. მკაცრად ისჯებიან ფეხბურთელები და მათი გულშემატკივრები, კლუბისა და ფედერაციის ხელმძღვანელებს შორის დაპირისპირება კი უფრო აშკარა და თვალშისაცემი ხდება. საქმე იქამდე მიდის, რომ 1994 წლის 17 სექტემბერს, ფეხბურთის ფედერაციის მესამე ყრილობაზე, თბილისის „დინამო" უარს ამბობს ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობაზე. ამ განცხადებას, „დინამოს" დირექტორატის სახელით, ვაჟა ჟვანია ახმოვანებს.

### ისევ ყრილობა, ისევ აურზაური

ყრილობას, თანაც საანგარიშო-საარჩევნოს, აბა, ხელიდან ვინ გაუშვებდა. ოპოზიციის „ჰაკბეკად" სწორედ ვაჟა ჟვანია მოგვევლინა და ეს არავის გაჰკვირვებია. ჟვანიამ, ჯერ კიდევ 1992 წელს, ფედერაცია და მისი პრეზიდენტი, საჯაროდ, ათას უბედურებაში დაადანაშაულა: თვითნებობა, ძალაუფლების უზურპაცია, კორუფცია, უეფადან მიღებული საკომპენსაციო თანხების მითვისება, თბილისის „დინამოს" ათვალისწუნება... მაშინ ფედერაციამ დუმილი ამჯობინა, ჟვანია კი სასამართლოთი დაიმუქრა.

და აი, ყრილობა. ფედერაციის გენერალურ მდივანს დავით კვინიკაძეს შესავალი სიტყვა დამთავრებული არც ჰქონდა, როცა ვაჟა ჟვანია მანდატების განაწილების მართლზომიერებით დაინტერესდა. ამ მომენტიდან აირია მონასტერი და უმეტესი საყრილობო დრო კვინიკაძე-ჟვანიას პაექრობამ წაიღო. საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ტურიზმის კომისიის თავმჯდომარემ ბეჟან ხურციძემ და სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ კახი ასათიანმა ყრილობის გადადება მოითხოვეს — შენიშვნები შევისწავლოთ და უახლოეს ხანში კვლავ შევიკრიბოთო. კრიტიკული რეპლიკებით გამოვიდნენ მურთაზ ხურცილავა, მანუჩარ მაჩაიძე, გივი ნოდია... ყრილობა პირად ურთიერთობათა გარკვევის არენად იქცა. არავის გახსენებია საანგარიშო მოხსენება, ქართული ფეხბურთის პრობლემები, სამომავლო საქმეები.

მოკლე სიტყვა თქვა ახალკაცმა. შეკრებილთ შეახსენა, რომ ფეხბურთის ფედერაცია დამოუკიდებელი ორგანიზაციაა და მის



1993 წელი. ჩემპიონთა თასი. „დინამო" — „ლინფილდი" 2:1. მატჩის თურქი არბიტრი ერმან თოროღლუ: წესიერად ითამაშეთ!..

საქმეში ჩარევას ნურავინ ეცდებაო.

დელეგატთა ერთმა ნაწილმა პროტესტის ნიშნად დატოვა დარბაზი.

ღია კენჭისყრით ფედერაციის პრეზიდენტად კვლავ ნოდარ ახალკაცი აირჩიეს.

„საბოლოო სიტყვა" ვაჟა ჟვანიამ ითხოვა: კამათს აზრი არა აქვს, ვატყობ, თქვენსას არ მოიშლით, მაგრამ იცოდეთ, დღეიდან თბილისის „დინამო" ფედერაციის შეჯიბრებებში არ გამოვაო.

ამ განცხადებას დარბაზი ოლიმპიური სიმშვიდით შეხვდა.

### წერილები, წერილები...

ყრილობა დამთავრდა, მაგრამ ბრძოლა გაგრძელდა. ამჯერად — პრესითა და ტელევიზიით. დავით კვინიკაძე ირწმუნება, რომ „ყრილობა მომზადებული და ორგანიზებული იყო მაღალ დონეზე". გივი ნოდია პასუხობს: „ეს ყრილობა ბათილად უნდა ჩაითვალოს". ილია დათუნაშვილი ამატებს: „დინამოს" ოსტატთა კლუბში გამართულმა ყრილობამ იმავე სცენარით ჩაიარა, როგორც 1990 წლის 15 თებერვალს ჭადრაკის სასახლეში. ორივე შემთხვევაში „დამდგმელი რეჟისორის" ერთი და იგივე ხელწერა იგრძნობოდა".

სხვათა შორის, ხელწერა არც ოპოზიციას შეუცვლია. ისევ დაიწერა საპროტესტო წერილები (თანაც ოთხი და თითქმის იდენტური): საფეხბურთო კლუბმა „დინამო" თბილისი, საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირმა, თბილისის ფეხბურთის ფედერაციამ და საქართველოს ფეხბურთის მსაჯთა ასოციაციამ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს და სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარეს კახი ასათიანს უპატაკეს „ქართულ ფეხბურთში შექმნილი საგანგებო მდგომარეობა" და ყრილობის ხელახალი გამართვა მოითხოვეს.

ცხადია, სახელმწიფოს მეთაური ამ საქმეში ვერ ჩაერეოდა, სპორტის დეპარტამენტის კოლეგიამ კი შესაშური ოპერატიულობით განიხილა შემოსული (თუ შეკვეთილი) წერილები და დაადგინა: „ყრილობის მომზადებისა და ჩატარებისთვის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის მიერ გაწეული მუშაობა ჩაითვალოს არადამაკმაყოფილებლად; ყრილობის ჩატარებასთან დაკავშირებით შემოსული მასალების შესწავლისა და სათანადო დასკვნის წარმოდგენის მიზნით, მიზანშეწონილად ჩაითვალოს სპეციალური კომისიის შექმნა საქართველოს პარლამენტის, იუსტიციის სამინისტროს, სპორტის დეპარტამენტისა და სხვა დაინტერესებული ორგანოების წარმომადგენელთა მონაწილეობით."

ამას გარდა, კახი ასათიანმა წერილი გაუგზავნა იუსტიციის სამინისტროს და სთხოვა „ფეხბურთის ფედერაციის მიმართ გამოყენებულ იქნას კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები". იუსტიციის სამინისტრომ კი ეს საქმე საქართველოს პროკურატურას გადაულოცა: „საქართველოს რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტის 1994 წლის 23 სექტემბრის კოლეგიის №03-35 დადგენილებაში მითითებულია საწესდებო მოთხოვნებისა და საერთოდ კანონის იმ სერიოზულ დარღვევებზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ფედერაციის ყრილობაზე ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნებისა და სხვა გადაწყვეტილებების მიღებისას, რომლის შემოწმების შესაძლებლობა სცილდება იუსტიციის სამინისტროს კომპეტენციას. გიგზავნით მასალებს მათზე რეაგირებისა და კანონით გათვალისწინებული ზომების მისაღებად".

რომელ კანონზე და რა ზომებზეა საუბარი?

1994 წლის 28 ივლისს სახელმწიფოს მეთაურმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას „სპორტის სფეროში გარდამავალ ეტაპზე სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ". ბრძანებულების თანახმად, სპორტულ ფედერაციათა საქმიანობის კოორდინაცია და საერთო ხელმძღვანელობა განეკუთვნება სპორტის დეპარტამენტის კომპეტენციას. დეპარტამენტს უფლება ეძლევა გააკონტროლოს ფედერაციის მიერ საწესდებო მოთხოვნათა შესრულება და აუცილებლობის შემთხვევაში მარეგისტრირებელ ორგანოსთან (იუსტიციის სამინისტრო) ერთად გაატაროს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები, ანუ დროებით შეაჩეროს ფედერაციის ხელმძღვანელთა უფლებამოსილება.

რა თქმა უნდა, სახელმწიფო მეთაურის ბრძანებულებაში ხელყოფილია საზოგადოებრივი ორგანიზაციის ელემენტარული უფლებები და ამას ნებისმიერი იურისტი დაგისაბუთებთ.

რა თქმა უნდა, ბრძანებულების პროექტის ავტორებმა მშვენივრად იცოდნენ, რას და რისთვის აკეთებდნენ.

რა თქმა უნდა, ახალკაცმაც კარგად იცოდა, ვისთან რა ენაზე ესაუბრა.

ქვემო აღწერილი ეპიზოდიც ამას ადასტურებს.

ფეხბურთის ფედერაციის მესამე ყრილობის შედეგთა რევიზია დაევალა კომისიას, რომელიც საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ტურიზმის კომისიის გადაწყვეტილებით შეიქმნა და რომელშიც, სხვებთან ერთად, კონტროლის პალატისა და საგადასახადო ინსპექციის თითო წარმომადგენელიც შეიყვანეს. კომისია პირველად 10 ოქტომბერს ეწვია ფედერაციას, ზუსტად იმ დროს, როცა ფედერაციის ხელმძღვანელობა, საქართველოს ნაკრებთან ერთად, აეროპორტში იყო და ბულგარეთში გასაფრენად ემზადებოდა (!?). კომისიის ვიზიტი 18 ოქტომბერს განმეორდა. ახალკაცი შეუვალი იყო: „მე ვიცნობ და პატივს ვცემ კომისიის წევრთა უმრავლესობას, მაგრამ არ ვცნობ ბეჟან ხურციძეს, როგორც კომისიის თავმჯდომარეს, პატივს არ ვცემ, როგორც პიროვნებას. ამის გამო, კომისიას ვერ მივიღებ."

### დამარცხებული ცნობილია

ამასობაში კახი ასათიანმა „ინტერფრონტი" გახსნა — უეფას გენერალურ მდივანს გერჰარდ აიგნერს წერილით მიმართა: „სპორტის დეპარტამენტში შემოვიდა საპროტესტო წერილები და განცხადებები. საფეხბურთო კლუბებისა და ადგილობრივ ფედერაციათა აბსოლუტური უმრავლესობა, მსაჯთა ასოციაცია, ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი და ფედერაციის სხვა სუბიექტები კატეგორიულად მოითხოვენ ფედერაციის ხელმძღვანელთა მხრიდან ერთმმართველობის მიუღებელი პრაქტიკის აღმოფხვრას და დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებას. მათ წერილებში მოყვანილია არასწორი საფინანსო ოპერაციების წარმოების კონკრეტული ფაქტები. აღნიშნულია, რომ ფედერაციამ არადანიშნულებისამებრ გამოიყენა უეფას მიერ გამოყოფილი კომპენსაციები და სხვა სახსრები, უცხოეთში მოთამაშე ფეხბურთელთა ტრანსფერის განაწილება მოახდინა უეფას მიერ დადგენილი წესების დარღვევით. ყოველივე ეს მოითხოვს სპეციალურ შესწავლასა და სათანადო დასკვნების გაკეთებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ გვაცნობოთ, თუ რა სახსრები გამოეყო ფედერაციას, რა მიზნებისთვის და სად იქნა ისინი ჩარიცხული".

ამას მოჰყვა ფეხბურთის ფედერაციის საპასუხო განცხადება: „...რაც ბოლო ჟამს მოხდა, დუმილის უფლებას არ გვაძლევს, რადგანაც შედეგები შეიძლება სავალალო და გამოუსწორებელი იყოს ქართული ფეხბურთისთვის. საქმე ისაა, რომ სანამ კამათი მიმდინარეობდა, სფფ დაბეზღებული, დიახ, დაბეზღებული იქნა ფიფასა და უეფაში. დამბეზღებელნი ისეთ აბსურდულ ბრალდებებს უყენებენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, რომ თმა ყალყზე დაგიდგება. ამას მტერი არ გააკეთებდა, მაგრამ რას იზამ, გაბოროტებულებს შეთქმულება რომ ჩაეშალათ, ახლა ფედერაციასა და ყრილობას სწამებენ ცილს. რა თქმა უნდა, ფიფასა და უეფას ყველაფერზე მიეცემა განმარტებანი, სფფ-ში კი ჩვენ არ დავუშვებთ უკანონო კომისიების თარეშს".

ცხადია, უეფაც და ფიფაც ახალკაცის მხარეს დადგნენ. ნახეთ იოზეფ ბლატერის ფაქსი: „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას. ძვირფასო ბატონებო! უეფა დაუკავშირდა ფიფას იმ წერილების თაობაზე, რომელიც გამოგზავნა საქართველოს სპორტის კომიტეტმა და საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა (წერილები თან ერთვის) საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მესამე ყრილობის ვითომდა ნაკლოვანებებით ჩატარების შესახებ. ჩვენ სავსებით გულგრილად ვეკიდებით აღნიშნულ წერილებს და გთხოვთ, თუ რაიმე პრობლემა გაგიჩნდათ ამ თვალსაზრისით, შეგვატყობინეთ".

საქმეში სადავოსა და საკამათოს რა გამოლევს, ოღონდ, დავთრები თუ აირია, დავა-კამათი, შესაძლოა, ჩხუბსა და მტრობაში გადაიზარდოს. ფეხბურთის ფედერაციისა და სპორტის დეპარტამენტის უსაშველოდ გაჭიანურებულ პაექრობაში საბოლოოდ, ალბათ, ვერავინ გაიმარჯვებს, რადგანაც დამარცხებული დიდი ხანია ცნობილია — ქართული ფეხბურთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სერ ალექსის რაინდული საქციელი



ალექს ფერგიუსონი

„მანჩესტერ იუნაიტედის" თავკაცი სერ ალექს ფერგიუსონი მსოფლიოს ფეხბურთის ისტორიაში ალბათ პირველი მწვრთნელია, რომელიც მსაჯებს გამოექომაგა და მათი ინტერესები გაითვალისწინა. ტრადიციულად საწინააღმდეგო ხდება — მწვრთნელები თავიანთი გუნდის მარცხს უმეტესწილად არასწორი მსაჯობით ხსნიან და ცდილობენ, ყველაფერი მათ გადააბრალონ.

სერ ალექსი კი ერთობ ჯენტლმენურად მოიქცა, როცა არბიტრების ნაცვლად თავისი შეგირდები გააკრიტიკა. მან გასულ შაბათს „მანჩესტერისა" და „მიდლსბროს" შორის გამართული შეხვედრის ერთი ინციდენტი გაიხსენა. მანჩესტერელთა მცველი იაპ სტამი საკუთარ საჯარიმოში მეტოქე ფეხბურთელს ეუხეშა, რის გამოც ჩემპიონთა კარში თერთმეტმეტრიანი დაინიშნა. „წითელმა ეშმაკუნებმა" არბიტრს გადაწყვეტილება არ მოუწონეს და შეკამათდნენ.

ფერგიუსონი შეგირდების საქციელით უკმაყოფილო დარჩა და ისინი სასტიკად გაკიცხა. „ვფიქრობ, ჩემი ბიჭები იმ მომენტში აშკარად შეცდნენ. ამ საკითხზე მათ უკვე ვესაუბრე და გავაფრთხილე, მსგავსი ქმედება აღარ გაიმეორონ, რადგან ეს არა მარტო გუნდის, არამედ ფეხბურთის რეპუტაციასაც ლახავს. მაყურებელი სტადიონზე სიამოვნების მისაღებად მოდის, მსაჯსა და ფეხბურთელებს შორის გაწევ-გამოწევა არავის მოსწონს" — ამბობს სერ ალექსი.

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ ფერგიუსონის ღირსეული საქციელი დააფასა. აღმსრულებელი დირექტორის, ადამ კროზიერის განცხადებით, თუ მწვრთნელთა უმეტესობა ამგვარად იმოქმედებს, სიტუაცია ნამდვილად გამოსწორდება, რითაც კლუბებსა და არბიტრებს შორის უთანხმოებას საბოლოოდ მოეღება ბოლო.

„მანჩესტერის" ინციდენტამდე რამდენიმე დღით ადრე ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ საგანგებო ყრილობაც მოიწვია, რომელშიც მსაჯობის თემას შეეხო. შეკრების დროს პრემიერლიგაში მოღვაწე არბიტრებს ურჩიეს, წითელ-ყვითელი ბარათები შეძლებისდაგვარად ნაკლებად აჩვენონ და ფეხბურთელებთან საერთო ენა გამონახონ.

**ნიკა შუბლაძე**

## ესენგეს თასის ფინალი

### სპარტაკი 3:0 ზიმბრუ

1:0 შირკო (28), 2:0 ბულატოვი (68), 3:0 ტიტოვი (81)

კიდევ ერთხელ მივუბრუნდეთ ამ უაზრო გათამაშებას. ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი თბილისის „დინამო" როგორც გამოვიდა ტურნირზე, ძალიან კარგად მოგეხსენებათ. „დინამო" მეორე ლიგაში ასპარეზობდა და „ელიტაში" ასვლასაც ლამობდა, თუმცა თამაშით და შედეგით საწადელს ვერ მიაღწია.

უფრო საინტერესო ამბები კი პირველ, ელიტარულ ლიგაში ხდებოდა. თავიდანვე ცნობილი იყო, რომ თასის ოთხგზის მფლობელი კიევის „დინამო" მოსკოვში მეორე შემადგენლობით აპირებდა ჩასვლას. ასეც მოხდა და კიეველებმა ჯგუფში სირცხვილიც ჭამეს, ლატვიის ჩემპიონ რიგის „სკონტოსთან" 0:5 განადგურდნენ. ის, რომ რუსეთის „სახალხო გუნდი", მოსკოვის „სპარტაკი" ფინალში გრიალ-გრიალით გავიდოდა, რა ძნელი მისახვედრი იყო. გასარკვევი მხოლოდ ის გახლდათ, ვინ იქნებოდა „სპარტაკის" მოცილე.

კიეველთა 5:0 განადგურების შემდეგ ასეთად „სკონტო" მიიჩნეოდა, მაგრამ ზაფხულში ჩვენი „დინამოს" შემარცხვენელმა კიშინიოვის „ზიმბრუმ" პროგნოზები თავდაყირა დააყენა — ბალტიისპირელებს ნახევარფინალში 2:0 სძლია და პირველად ესენგეს თასის ფინალშიც გავიდა. იქ კი ყველაფერი ლოგიკურად დასრულდა. ძნელი წარმოსადგენი იყო, კიევის „დინამოს" არყოფნაში (სათადარიგო შემადგენლობას შეგნებულად არ ვთვლით) მოსკოველებს თავიანთი შანსი ხელიდან გაეშვათ, ისინი ხომ ერთი თავით სჯობდნენ დანარჩენებს.

ფინალში „სპარტაკმა" არც „ზიმბრუ" დაინდო, შირკოს, ბულატოვისა და ტიტოვის გოლებით 3:0 მოუგო და „სანუკვარ თასს" მეოთხედ დაეუფლა, რითაც „დინამოს" გაუთანაბრდა. ისიც აღსანიშნავია, რომ ეს რიგით მერვე გათამაშება იყო და იგი მხოლოდ რუსებსა და უკრაინელებს მოუგიათ.

რაც შეეხება „ზიმბრუს", მოლდოველებს კარგი შთაბეჭდილება დაუტოვებიათ. მთავარი „სკონტოსთან" მატჩი იყო, დარწმუნებული ვარ, „სპარტაკთან" წაგებას ცხვირში არ ამოგვადენენო — უთქვამს ნამატჩევს მოლდოველთა მწვრთნელს.

... და ჩვენი „დინამო"? იგი შედეგით ვერა, მაგრამ კოლოსკოვის გადაწყვეტილებით, „ელიტაში" მომავალი წლიდან დაბრუნდება, მანამდე კი ჩემპიონობის მოპოვებაა საჭირო. „მომავალი წლიდან განთესვა არ იქნება, თხუთმეტივე ქვეყნის ჩემპიონი და პლუს უკონკურსოდ მონაწილე რუსეთის ახალგაზრდული ნაკრები ოთხ ქვეჯგუფში გადანაწილდებიან" — განაცხადა ვიაჩესლავ ივანიჩმა.

**გიორგი ვაშაძიძე**

# ჰარის ტედი უნდა

„ვესტ ჰემის" მწვრთნელმა, ჰარი რედნაპმა თქვა, რომ შესაძლოა „მანჩესტერ იუნაიტედის" ბებერი ვარსკვლავის, ტედი შერინგემის ყიდვას შეეთამაშოს. შერინგემი, როგორც ცნობილია, „ოლდ ტრეფორდზე" დასარჩენად ახალ მოლაპარაკებებს აწარმოებს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ „იუნაიტედში" იგი სათადარიგო ფეხბურთელად იქცა და ამიტომაც არ არის გამორიცხული, „წითელ ეშმაკებს" ზურგი აქციოს.

ასეა თუ ისე, რედნაპი შეეცდება შანსი ხელიდან არ გაუშვას და 33 წლის ფორვარდი ლონდონში დააბრუნოს.

„დღეს ამ თემაზე ვრცლად ლაპარაკი ნაადრევია, მაგრამ ტედი ნამდვილად მაღალი კლასის ოსტატია, ხოლო მე მისი კალიბრის ფეხბურთელი მჭირდება" — აცხადებს „ჰემერთა" თავკაცი.

რედნაპი არც იმას მალავს, რომ გუნდის ინტერტოტოს თასზე გასაყვანად ემზადება და მიუხედავად იმისა, რომ მის შედარებით მცირერიცხოვან ამალას ამით დამატებითი თამაშები დააწვება, პოლიტიკა აქეთკენ აქვს მიმართული.

„ცხადია ვიცი, რომ ზედმეტი მატჩები დაღს დაგვასვამენ. გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ ინტერტოტოზე მონაწილეობის შემდეგ გუნდი სეზონს ოდნავ დაღლილი და ტრავმირებული იწყებს, მაგრამ ამ ევროშეჯიბრებაში წარმატების მიღწევა ჩვენთვის ძლიერ მნიშვნელოვანი გახლდათ და აშკარად მინდა კიდევ ერთხელ ვცადოთ ბედი" — განაგრძობს იგი — „გასულ გათამაშებაში „მეცთან" და „ჰერენვენთან" დაუვიწყარი მატჩები გვქონდა".

ამასობაში ნახევარმცველი ჯონ მონკუ გამოჯანმრთელდა და „ჩარლტონ ატლეტიკთან" სარეზერვო გუნდის შემადგენლობაში ძალთა მოსინჯვის შემდეგ ძირითად შემადგენლობაში დასაბრუნებლად მზად გახლავთ.

სტივ პოტსი და პოლ კიტსონიც გავიდნენ მოედანზე ამ შეხვედრაში, მაგრამ გამოჩნდა, რომ ორიოდ კვირის დასვენება მაინც სჭირდებათ.

## ინგლისი

### ასოციაციის თასი

მერვედფინალი

**ბლექბერნი 1:2 ნიუკასლი**

0:1 შირერი (20), 1:1 იანსენი (25), 1:2 შირერი (79)

ბლექბერნი: დინ კელი, გრეისონი, დეილი, პიკოკი, დევიდსონი, მაკატირი, კარსლი (ჯონსონი 46), ფრანდსენი, დაფი, ბლეკი, იანსენი

ნიუკასლი: ჰარპერი, უ. ბარტონი, დაბიზასი, პისტონე, ჰელდერი (ა. ჰიუზი 50), დაიერი (მარიჩი 89), სპიდი, ლი, გალაჰერი (დომი 68), შირერი, დ. ფერგიუსონი

გაფრთხილება: გრეისონი, ჰელდერი, შირერი, ჯონსონი

მსაჯი: დარკინი

ალან შირერის ორმა გოლმა „ნიუკასლ იუნაიტედს" „ბლექბერნ როვერსთან" შეხვედრაში გამარჯვება მოუტანა და ინგლისის თასის გათამაშების მეოთხედფინალში გაიყვანა.

ანგარიში სტუმრებმა, „ნიუკასლის" ფეხბურთელებმა გახსნეს. 20-ე წუთზე ალან შირერმა თავის ყოფილ კლუბს პირველი ბურთი გაუტანა და „კაჭკაჭები" დააწინაურა. გოლი საკმაოდ მარტივ კომბინაციას მოჰყვა. მეკარე სტივ ჰარპერის გრძელი პასი შოტლანდიელმა დანკან ფერგიუსონმა თავით ალან შირერს გაუგრძელა, რომელსაც გატანა აღარ გასჭირვებია.

„ნიუკასლის" რიგებში ტრავმის შემდეგ კვლავ დაბრუნდა რობერტ ლი, რომელმაც დაშავებული პერუელი ლეგიონერის, ნოლბერტო სოლანოს ადგილი დაიკავა.

25-ე წუთზე „ბლექბერნმა" ანგარიშის გათანაბრება მოახერხა. მცველმა დარენ პიკოკმა მოედნის საკუთარი ნახევრიდან ზუსტი პასით მეტ იანსენი მოძებნა, ფორვარდმა მეკარე ადვილად მოატყუა და გოლი გაიტანა.

შეხვედრის გადამწყვეტი მომენტი კი 79-ე წუთზე დადგა. საფრანგეთის 21-წლამდელთა ნაკრების წევრმა დიდიე დომიმ ალან შირერს ზუსტად მიაწოდა ბურთი, რომლის კარში გადაგზავნაც გამოცდილი ფორვარდისთვის, ცხადია, იოლი საქმე იყო.

მოკლედ, „ნიუკასლმა" 2:1 გაიმარჯვა და მეოთხედფინალის საგზური მოიპოვა.

„შირერმა დაამწუხრა გულშემატკივარი, რომელიც ხუთი წლის წინ მის მზეს ფიცულობდა" — ამგვარი სათაურებით აჭრელდა ინგლისური პრესა. თავად ალანი კი ამბობს: „მართალია, უსიამოვნო გრძნობაა, როცა ყოფილ კლუბს ორ გოლს გაუტან და ასპარეზობიდან გამოთიშავ, მაგრამ რას იზამ. ფეხბურთელი თუ ხარ, შენი მოვალეობა უნდა შეასრულო, ჩემი საქმე გოლების გატანაა". შირერი მომავალი მეტოქის თემასაც შეეხო: „შემდეგ ეტაპზე „ტრანმერს" შევხვდებით. დიდი ბრძოლა გველის, მაგრამ მთავარი მაინც პრემიერლიგაა, გუნდი მთელ ყურადღებას ჩემპიონატზე ამახვილებს".

**მეოთხედფინალის წილისყრა**

ჩელსი — ჯილინგემი; ევერტონი — ასტონ ვილა; ბოლტონი — ჩარლტონი; ტრანმერი — ნიუკასლი

*მატჩები გაიმართება 19-20 თებერვალს*

# გერმანიამ იუბილე იზეიმა



გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი ეგიდიუს ბრაუნი

28 იანვარს გერმანიის ქალაქ ლაიპციგში დიდი სტუმრიანობა იყო. ქვეყნის საფეხბურთო კავშირმა დაარსებიდან 100 წლისთავი იზეიმა. საღამოს ბევრი ცნობილი პიროვნება დაესწრო — პოლიტიკის, კულტურისა და ცხადია სპორტის სფეროდან. ლაიპციგში იყო ფიფას პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი, რომელსაც ბუნდესპრეზიდენტმა იოჰანეს რაუმ, კანცლერმა გერჰარდ შრიოდერმა და გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა ეგიდიუს ბრაუნმა არაერთხელ გადაუკრეს სიტყვა 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ამ ქვეყანაში ჩატარებაზე.

ლაიპციგში თავშეყრილ 1200 სტუმარს, მათ შორის მუსიკისა და კინოს ვარსკვლავებს, წუთითაც არ მოუწყენია. საღამოზე საზოგადოების განვითარებაში ფეხბურთის დიდ როლზეც ბევრი უსაუბრიათ.

# კრულ იყოს!

შეურაცხყოფა! — იღრიალა ბოგოტის გაზეთმა „ელ ესპექტადორმა". „გოლების სამარცხვინო ფესტივალი" — მხარი აუბა „ელ ტემპომ". ყველაფერი კი იმის გამო, რომ კოლუმბიის ოლიმპიურმა ნაკრებმა ბრაზილიასთან 0:9 წააგო. ეს გახლდათ ბოლო 40 წლის უდიდესი კოლუმბიური მარცხი, არადა მანამდე გუნდმა ჩილეს 5:1 მოუგო და მწვრთნელმა, ხავიერ ალვარესმა, ამაყად განაცხადა: „ალბათ, ბრაზილია ჩვენთან შეხვედრის წინ ღელავს".

ალვარესზე ყველაზე მსუბუქად რადიო „კარაკოლის" წამყვანმა, ივან მეხიამ თქვა, ამ წუთასვე უნდა გადადგესო, „ელ ტემპოს" მიმომხილველმა კი დაწერა: „ის კაცი რომ არ არის, გამოჩნდა".

შეურაცხყოფას ალვარესი აიტანს, მთავარია გადარჩეს. კოლუმბიაში ხომ ფეხბურთი ძალიან და ძალიან თავისებურად უყვართ.



AP ფოტოქრონიკიდან

ალან შირერმა ყოფილ თანაგუნდელებს დუბლი შეუსრულა

# იტალიელებმა ფანჯარა დახურეს

31 იანვარს იტალიაში სატრანსფერო სეზონი დაიხურა. ახალი ფეხბურთელების შესაძენად სერია A-ს კლუბებმა ჯამში 146 მილიონი დოლარი გაიღეს. ყველაზე ძვირადღირებული გარიგება მილანის „ინტერსა" და მადრიდის „რეალს" შორის შედგა. იტალიელებმა კლარენს ზეედორფი 20,5 მილიონად იყიდეს. „ინტერს" ოდნავ ჩამორჩა „რომა". დედაქალაქელებმა პერუჯელთა სალარო 19,2 მილიონი დოლარით შეავსეს და სანაცვლოდ ჰიდეტოში ნაკატა მიიღეს. იმავდროულად ნაკატა უძვირესი იაპონელი ფეხბურთელიც გახდა. ნაკატასნაირად შეფასდა ხოსე მარი, რომელმაც საბრალდებო სკამზე მოხვედრილი ხესუს ხილის „ატლეტიკო" დატოვა და „მილანში" ჟორჟ ვეას ადგილი დაიკავა. თუმც „მილანი" და „ატლეტიკო" მხოლოდ ამ გარიგებით არ დაკმაყოფილდნენ და ხოსე მარის იტალიაში თანაგუნდელი ხოსე ანტონიო შამოტიც გაჰყვა. მილანელებმა კიდევ ერთი არგენტინელი ფაბრიციო კოლოჩინი გადაიბირეს „ბოკა ხუნიორსიდან". სამხრეთამერიკელები სილვიო ბერლუსკონის გუნდს აქამდეც მრავლად ჰყავდა.

სასურველ ფეხბურთელთა გადაბირების მეორე გზა იჯარით აყვანაა. ამ ხერხს უმეტესად ნაკლებშეძლებული კლუბები მიმართავენ, თუმცა გრანდებიც იყენებენ ხოლმე. „ინტერი" და „პარმა" დამატებითი ხარჯების გაღებას მოერიდნენ და სეზონის ბოლომდე ერთმანეთს თითო ფეხბურთელი გაუცვალეს. „ინტერმა" მიკელე სერენა წაიყვანა, ხოლო „პარმამ" — პორტუგალიელი პაულო სოუზა. მოკრძალებული „ვენეცია" ასევე სეზონის ბოლომდე ერთბაშად სამი მილანელით გამდიდრდა. ვენეციელებმა მაურიციო განცი, პიერლუიჯი ორლანდინი და ბრუნო ნგოტი აიყვანეს.

დაბოლოს, სამშობლოს დაუბრუნდა ფაბრიციო რავანელი. იტალიელებმა „ლაციოს" მენეჯერებს ვაჭრობის ნიჭი შეუქეს. რომაელებს ჭაღარა ქართველთმძლეველის შეძენა სულ რაღაც 750 ათასი დოლარი დაუჯდათ.

**გიორგი დარჯანია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რამ განარისხა ალენ ბოკშიჩი?




ალენ ბოკშიჩი (№8) „ლაციოს“ ტიფოზებმა გააწბილეს

რამ განარისხა ალენ ბოკშიჩი? იგი შოკირებულია იტალიელ ტიფოზთა ნამოქმედარით. „ბარისთან“ მატჩში ტრიბუნაზე პლაკატი გამოჩნდა: „პატივი და დიდება ვეფხვ არკანს, ჩვენ შენთან ვართ.“

„მე სწორედ იმან გამაცოფა, რომ პლაკატი ჩემი გუნდის ქომაგებმა გამოფინეს, რამაც გული ძალიან მატკინა. ამას ნამდვილად არ მოველოდი“ — დასძინა ბოკშიჩმა. რა მისახვედრია, რატომ აღშფოთდა ბოკშიჩი. არკანი სერბია, ფეხბურთელი — ხორვატი. არკანს კი 90-იანი წლების დასაწყისში ბოკშიჩის არაერთი თანამემამულე გაუჟლეტია.

თავად იტალიელ ტიფოზებს თურმე ფეხბურთელის წყენინება გულშიც არ გაუვლიათ, მათ მხოლოდ იტალიის ცნობილი დიქტატორის, ბენიტო მუსოლინის ხსოვნისათვის მიუციათ პატივი, რომლის პორტრეტიც რომის „ოლიმპიკოს“ ერთ-ერთ ტრიბუნასაც ამშვენებდა.

საინტერესო კი ის არის, რომ ასეთი ფაქტები იტალიაში პირველი არაა და რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, მეტწილად რომში და სწორედ „ლაციოს“ მატჩებისას ხდება.

რომის მერმა, ამავე დროს ქვეყნის დემოკრატიული პარტიის მემარცხენე ფრთის წევრმა ფრანჩესკო რუტელიმ ამასთან დაკავშირებით თქვა, ამ საქმეში პოლიციელები უნდა ჩაერიონო. „ამიერიდან ასეც იქნება, „ტიფოზებთან“ საქმეს კარაბინიერები დაიჭერენ“ — დასძინა მერმა.

რუტელისგან განსხვავებით კი ტიფოზებს, არც მეტი, არც ნაკლები, თავად დუჩე მუსოლინის (დიქტატორს ასეც უწოდებდნენ) შვილიშვილმა, იტალიის პარლამენტის წევრმა ალესანდრამ დაუჭირა მხარი, თან საქვეყნოდ განაცხადა, „ლაციოს“ გადამკვდარი ქომაგი ვარო.

მომხდარ ფაქტს გამოეხმაურა დედაქალაქის მეორე გუნდის, „რომას“ პრეზიდენტი ფრანკო სენსი, მან მატჩების შეწყვეტა მოითხოვა. „თუ ასე გაგრძელდება, რა აზრი აქვს ფეხბურთის თამაშს, ავდგეთ და ტრიბუნებს შევხედოთ“ — ბრძანა სენსიმ. მერმა რუტელიმ კი „რომას“ პრეზიდენტს ასეთი პასუხი გასცა: „ეს მხოლოდ ექსტრემისტებს მისცემს ხელს, ზომები თავად მატჩების დაწყებამდე ან შემდეგ უნდა მივიღოთ, მათი შეწყვეტა ან ჩაშლა კი იმათთვის იქნება მისაღები, ვისაც ეს სურს.“

ა, ასეთი ამბავი მოხდა „სტადიო ოლიმპიკოზე“. ახლა იტალიური ელიტის წარმომადგენლებმა განსაჯონ, სამართლიანად აღშფოთდა თუ არა ბოკშიჩი.

გახსოვთ 90-იანი წლების დასაწყისი? იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ერთიანობა რომ შეირყა და მასში შემავალმა ქვეყნებმა ეროვნული თავისუფლებისთვის ბრძოლა დაიწყეს. ჯერ ხორვატიამ და სლოვენიამ გამოთქვეს დამოუკიდებლად ცხოვრების სურვილი, მერე ბოსნია — ჰერცეგოვინასა და მაკედონიის ჯერიც დადგა. იუგოსლავია კი სერბეთისა და ჩერნოგორიის ამარა დარჩა. ცხადია, — ცენტრი“ ამ ფაქტს გულდამშვიდებით ვერ შეხვდებოდა. ბალკანეთის ნახევარკუნძულზეც ომმა, სისხლისღვრამ და კაცისკვლამ დაისადგურა.

ევრო 2000-ის შესარჩევში ჩვენმა თანაჯგუფელმა სლოვენიამ თითქმის უპრობლემოდ გამოაღწია, აი, ხორვატიაში კი...

მკითხველი იტყვის, სად პოლიტიკა და სად ფეხბურთიო და მართალიც იქნება. პოლიტიკასთან მართლაც არაფერი გვესაქმება, თუმცა ყველაფრის თავიდათავი სწორედ ესაა.

იტალიის წლევანდელი ჩემპიონატის ლიდერ რომის „ლაციოში“ თამაშობენ ეროვნებით ხორვატი ფეხბურთელი, ფორვარდი ალენ ბოკშიჩი და იუგოსლაველი (სერბი) მცველი სინიშა მიხაილოვიჩი. მიხაილოვიჩის თაობაზე იტალიელი ჟურნალისტები არაფერს იუწყებიან, აი, ალენ ბოკშიჩზე კი...

ახლახან ბელგრადის ერთ-ერთ სასტუმროში დახვრიტეს „სერბი ბასავი“, უფრო კონკრეტულად კი იუგოსლავიის არმიის სამხედრო-საველე მეთაური, გვარად არკანი. ფეხბურთელი ბოკშიჩიც სწორედ ამ ფაქტთან დაკავშირებულ, ერთი შეხედვით არცთუ უმნიშვნელო ამბავს აღუშფოთებია.

სერია A-ს ბოლო ტურის მატჩში „ლაციომ“ „ბარის“ უპრობლემოდ მოუგო 3:1. ხორვატი ამ მატჩში არ მონაწილეობდა, იგი სათადარიგოთა სკამზე იყო გამწესებული: „მოედანზე რომც ვყოფილიყავი, ერთი წუთითაც არ ვითამაშებდი, საკუთარი ნებით დავტოვებდი მინდორს“ — განაცხადა ნამატჩევს ბოკშიჩმა.

**გიორგი ვაშაკიძე**




„ლაციოს“ ფანები: „პატივი და დიდება ვეფხვ არკანს“



როლფ ჰელერი წუხს

# ვინ გადაარჩენს აინტრახტს?

## გერმანულ ფეხბურთში სკანდალი მწიფდება

ფრანკფურტის „აინტრახტის“ პრეზიდენტი როლფ ჰელერი ორშაბათს თანამდებობიდან გადადგა. უფრო სწორად, კლუბის მმართველთა საბჭომ გადააყენა. ჰელერს უნდობლობა გამოუცხადეს და აიძულეს, წასულიყო.

„სამი წელი ვუხელმძღვანელე „აინტრახტს“. ამ ხნის განმავლობაში ბევრჯერ სტრესულ მდგომარეობაშიც ჩავვარდნილვარ. ყოველთვის მწამდა, რომ კლუბის კრიზისიდან გამოყვანას შევძლებდი, მაგრამ როგორც ჩანს, ეს ჩემს ძალებს აღემატება. ამიტომ გადავწყვიტე, წავიდე“ — ასე დაემშვიდობა ჰელერი „აინტრახტს“. პრეზიდენტმა ეს სიტყვები კლუბის 1500 წევრს განუცხადა. მათაც იგი აპლოდისმენტებით გააცილეს. ყოფილმა პრეზიდენტმა, მართალია, კლუბს სულ სამი წელი უთავკაცა, მაგრამ თანამშრომელთა და „აინტრახტის“ ქომაგთა გულის მოგება მოასწრო. მისმა წასვლამ განსაკუთრებით გულშემატკივრებს დასწყვიტა გული. ეს გასაგებიცაა — ჰელერმა მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებული „აინტრახტი“ კვლავ პირველში ალაზევა.

მიუხედავად იმისა, რომ ასე უყვარდათ, ჰელერს კლუბის დატოვების საფუძვლიანი მიზეზი ჰქონდა. სპეციალისტების ვარაუდით, იგი ადრეც უნდა წასულიყო, რადგან ბოლო ხანს „აინტრახტის“ წინაშე წამოჭრილ პრობლემებს ველარ აგვარებდა. კლუბს ვალები დაუგროვდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ფრანკფურტელთა წინააღმდეგ ქვეყნის ხაზინის უფროსმაც გაილაშქრა. ცოტა ხნის წინ კი „აინტრახტს“ ლიცენზიის ჩამორთმევითაც დაემუქრნენ, არადა, კლუბის დავალიანება ასტრონომიულ თანხას სულაც არ შეადგენს. იგი სულ 13,6 მილიონი მარკა, ანუ დაახლოებით 8 მილიონი ამერიკული დოლარია.

აღსანიშნავია, რომ ჰელერი გადადგომას მაინც არ აპირებდა. იგი იმედოვნებდა, რომ ვალს მალე დაფარავდა, თუმცა ამ საქმეში გადამწყვეტი როლი მმართველთა საბჭომ შეასრულა, რომელმაც მასმედიას განუცხადა, პრეზიდენტს „აინტრახტის“ კრიზისიდან გამოყვანა არ ძალუძსო. ყოველივე ამან ნათელი გახადა — კლუბში არცთუ მეგობრული ატმოსფერო სუფევდა. როგორც ჩანს, საკმაოდ გავლენიან პირებს ჰელერის ჩამოცილება სურდათ და მიზანსაც მიაღწიეს. ამაზე გერმანული პრესაც საუბრობს, თუმცა საკმაოდ ფრთხილად.

ჰელერის გადადგომა იმას სულაც არ ნიშნავს, რომ კლუბის პრობლემები მოგვარებულია. პირიქით, ამან მდგომარეობა შეიძლება კიდევ უფრო გაამძაფროს და იქნებ საქმე დიდ სკანდალამდეც მივიდეს. თავად განსაჯეთ, „აინტრახტს“ ვალის სწრაფად გასტუმრებას სთხოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ლიცენზიის ჩამორთმევით ემუქრებიან. ლიცენზიის ჩამორთმევა კი კლუბის გაუქმების ტოლფასია. მანამდე გარკვეული ზომების მიღებას გერმანიის საფეხბურთო კავშირი აპირებს. იგი „აინტრახტს“ ჯერ გააფრთხილებს, მერე გარკვეულ ვადას მისცემს და ქულებსაც დააკლებს. თუ საქმეს მაინც არ ეშველა, მაშინ ფრანკფურტელებს მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითება და სოლიდური ფულადი ჯარიმა არ ასცდებათ. მეორე ბუნდესლიგაში თამაშს კი „აინტრახტს“, ალბათ, აღარავინ დააცდის — გუნდს ლიცენზიას ჩამოართმევენ.

**ვანო ოქროპირიძე**

### პორტუგალია

**სეტუბალი 1:2 სპორტინგი**

1:0 მაკი (33), 1:1 მპენზა (60), 1:2 ალბერტო აკოსტა (70)

### იტალია

**სერია B**

**კოზენცა 1:3 რავენა**

1:0 ჯაბოვი (38), 1:1 გრაბი (49), 1:2 ორტიზი (58), 1:3 გრაბი (86პ)

**სერია C1/A**

**ლივორნო 1:1 პიზა**

### ჰოლანდია

**მეოთხედფინალის წილისყრა**

ტილბურგი — ალკმარი; უტრეხტი — როდა; ნაიმეგენი — დორდრეხტი; ვალვაიკი — ვიტესი

*მატჩები გაიმართება 26-29 თებერვალს*

**ნახევარფინალის წილისყრა**

I წყვილის გამარჯვებული — III წყვილის გამარჯვებული; IV წყვილის გამარჯვებული — II წყვილის გამარჯვებული

*მატჩები გაიმართება 12 აპრილს*

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია **საქტელეკომ პლუსი**
☎ 99 67 67, 98 30 20



REUTERS

კამერუნი — ტოგო 0:1. კამერუნელი ინოსენტ ჰაგმა (№18) ტოგოელების ლანტამე უადჯასა და მამანის (№8) მოტყუებას ცდილობს

# GhanaNigeria2000
# აფრიკის თასი
განანიგერია-22იანვარი13თებერვალი

## III ტური

### A ჯგუფი

**განა 0:2 კოტ დივუარი**

0:1 კალუ (45), 0:2 სიე (84)

განა: კინგსტონი, ს. კუფური, ჯონსონი, ბაიდო, ე. კუფური (გარგო 60), ედუსეი, ო. ადო (პრეკო 78), ნიარკო, აკონორი, აევუ, აშინფული (ოფორი კუაე 61)

კოტ დივუარი: გუამენე, ტებილი, აკასუ, სამ აბუო, კონე (კუასი კოფი 90), დიე, სიბი ბადრა, გუელი, კალუ, დიალო (ბაკაიოკო 72), ზოკო (სიე 67)

**კამერუნი 0:1 ტოგო**

0:1 ჩანგაი (19)

კამერუნი: ალიუმი, სონგი, მეტომო, ნჯანკა, ჰამგა (ოლემბე 62), ჯერემი, ლორენი, ფოე, მბომა, მაუვე, დეზირე ჟობი (ჩუტანგი 46)

ტოგო: აგასა, სენაია, ჩანგაი, აბალო, აზიავონუ, ასიგნონი, ტ. სალუ, უადჯა, ოიავოლე, მამან ტურე (აკაპო 80), კუბადჯა

A ჯგუფელებმა ურთიერთობა გაარკვიეს და მეოთხედფინალისტები გამოავლინეს. შემდეგ ეტაპზე ის გუნდები გავიდნენ, ვისაც უწინასწარმეტყველებდნენ. თუმცა გასვლაც არის და გასვლაც.

ბოლო ტურში მსოფლიოს ჩემპიონატების ოთხგზის მონაწილე, აფრიკის თასის ორგზის მფლობელი და სულაც ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტი კამერუნი უსახელო ტოგოს დაუპირისპირდა. ტოგოელებს ჯერ კიდევ შეჯიბრის დაწყებამდე სათვალავში არავინ აგდებდა. შემდეგ ძალიან უცნაური ამბები მოხდა. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ ნაკრების მოვლა-პატრონობაზე ხელი აიღო, ხოლო გუნდის გერმანელი თავკაცი გოტლიბ გოელერი გაურკვეველი მიმართულებით გაუჩინარდა. აი, ასეთი მეტოქე ერგო კამერუნს, ვისაც მეოთხედფინალში გასასვლელად ერთი ქულაც ჰყოფნიდა. თამაში დაიწყო და უკვე მე-19 წუთზე ტოგოელი მცველის მასამესო ჩანგაის გოლმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა. ამის შემდეგ ტოგოელი „ქორები“ დაცვაში გამაგრდნენ და ერთბურთიანი უპირატესობის შენარჩუნებას შეეცადნენ, რაც გამოუვიდათ კიდეც. ევროპული კლუბების მოთამაშეთაგან შემდგარი კამერუნელთა ეროვნული გუნდი უტევდა, თუმცა გოლის გატანა ვერა და ვერ შეძლო. ყველაზე კარგი მომენტი მადრიდელ ჯერემი ნჯიტაპს ჰქონდა, რომელმაც დამატებულ დროში ბურთი ძელს მოარტყა.

კამერუნელთათვის წაგებას გული დიდად არ დაუწყვეტია. მინიმალური ანგარიშით დამარცხება მათ გატანილი და გაშვებული ბურთების დადებით სხვაობას უნარჩუნებდა, რაც მეორე ადგილზე გასვლისთვის საკმარისი იყო. თუმცა განა — კოტ დივუარის მატჩის შედეგმა კამერუნელი „ლომები“ პირველზე გაიყვანა.

მატჩის წინ განელებს და კოტ დივუარელებს თავთავიანთი მიზნები ჰქონდათ. ტურნირის თანამასპინძლები ჯგუფიდან ორბურთიანი სხვაობით წაგების შემთხვევაშიც გადიოდნენ, თუმც მაშინ მეოთხედფინალში მათი სავარაუდო მეტოქე სამხრეთ აფრიკის უძლიერესი ნაკრები იქნებოდა, რისი პერსპექტივაც ნაკლებ მომხიბვლელი ჩანდა. კოტდივუარელ „სპილოებს“ კი მხოლოდ მოგება აძლევდათ ხელს, ისიც მინიმუმ სამბურთიანი უპირატესობის შემთხვევაში. წინასწარი პროგნოზით შეხვედრა განელთათვის ხელსაყრელი ანგარიშით უნდა დასრულებულიყო. ასეც მოხდა, თუმცა „შავ ვარსკვლავთა“ ქომაგებს მეოთხედფინალის საგზური ლამის აუხდენელ ოცნებად ექცათ. აქვე ერთი საინტერესო ამბავიც. ეს გუნდები 1992 წლის აფრიკის თასის ფინალში შეხვდნენ ერთმანეთს. უგოლო 120 წუთის შემდეგ მაყურებლებმა ტელესერიალებივით გაწელილი პენალტების სერია იხილეს, რომელიც კოტ დივუარმა 11:10 მოიგო. გუშინდელი თამაში რანგით დაბალი იყო, მაგრამ ნაკლებად პრინციპული არ ყოფილა.

შეხვედრის პირველი 45 წუთი უგოლოდ მიილია და ფეხბურთელები უკვე შესვენებისთვის ემზადებოდნენ. აქ მსაჯის მიერ დამატებულ დროში ბონავენტურე კალუმ ბომბარდირული თვისებები გამოაჩინა და განელებს პირველი გოლი შეუგდო. ტოგოსთან მატჩშიც ასე იყო და ახლაც იგივე განმეორდა — ჯუზეპე დოსენამ თავისი მოთამაშეები მეორე ტაიმში ანგარიშის შენარჩუნებაზე სათამაშოდ დამოძღვრა და კინაღამ დაისაჯა.

შესვენების შემდეგ გუნდები ისე ირაკებოდნენ, როგორც მათ მიზნებს შეეფერებოდა — კოტდივუარელები უტევდნენ, განელები კი მეტწილად თავს იცავდნენ და მეტოქის კონტრიერიშზე გამოჭერას ლამობდნენ. დრო გადიოდა, გოლი კი არ ჩანდა. 67-ე წუთზე „სპილოების“ თავდაცვის მარტინ გბონეკ ტიამ მინდორი დონალდ ოლივიე სიეს, ხოლო ხუთიოდე წუთის შემდეგ იბრაჰიმ ბაკაიოკოც შეუშვა. მარსელელის სასტარტო შემადგენლობაში არყოფნა მეორე ტურში მისმა ულიმღამო თამაშმა განაპირობა. კამერუნელების წინააღმდეგ შეხვედრაში ბაკაიოკომ რამდენიმე მეტად ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენა. ფეხბურთელმა ვერც ამჯერად გაახერხა რამე, სიემ კი მწვრთნელს იმედი გაუმართლა და 84-ე წუთზე ანგარიში ორამდე გაზარდა. მან მეტოქის მცველთა შორის თავისუფალი სივრცე შეამჩნია, რომელიც არც მეკარე კინგსტონს ჰქონდა დაცული და შანსი ხელიდან არ გაუშვა. სიეს ეს გოლი ნანატრი სამბურთიანი უპირატესობის მომტანი იქნებოდა, ოთხი წუთით ადრე მასვე ძელისთვის რომ არ გაერტყა. შემდეგ მსაჯის საფინალო სასტვენის ხმაც გაისმა და განელებმა შვებით ამოისუნთქეს, თუმც გულშემატკივართა რისხვას ვერ გადაურჩნენ. საქმე იმდენად გამწვავდა, რომ ფეხბურთელთა ავტობუსი პოლიციელთა დასაცავი შეიქნა. ჯუზეპე დოსენას კი საჯაროდ მობოდიშებაც მოუხდა. „ჩვენს დღევანდელ ცუდ თამაშს გამართლება არა აქვს. განელ ხალხს პატიებას ვთხოვ და გპირდებით, რომ ღრმა ანალიზს გავაკეთებთ“ — თქვა იტალიელმა.

ისე, ერთიცაა, გეხსომებათ, იტალიის ნაკრებმა რის ვაი-ვაგლახით გააღწია ესპანეთის მსოფლიოს ჩემპიონატის პირველი ჯგუფური ეტაპიდან, შემდეგ კი ტრიუმფალური ალმასვლა დაიწყო. ჯუზეპე დოსენას ბეარზოტისეული ნაკრების 10-ნომრიანი მაისურა ეცვა (ის მოედანზე ერთხელაც არ გამოუყვანიათ) და ეგებ განელებიც იმ გზით მიჰყავს? ეს მოგვიანებით გამოჩნდება. ახლა კი პასუხი სამხრეთაფრიკელებზეა. მათ ასარჩევად აქვთ საქმე. თუკი ისინი ალჟირელებს მედგარ წინააღმდეგობას გაუწევენ, მეოთხედფინალში განას შეხვდებიან. განელების შემთხვევაში კი მეტოქედ კამერუნი ერგებათ.

გიორგი დარჯანია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კამერუნი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:2 | 4 |
| განა | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| კოტ დივუარი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| ტოგო | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | 4 |

*მეოთხედფინალში გავიდნენ კამერუნი და განა*




**ესპანურმა** „რეალ ბეტისმა“ მთავარი მწვრთნელი კარლოს გრიგუოლი თანამდებობიდან დაითხოვა. „ბეტისი“ ამჟამად კრიზისს განიცდის, პრიმერადივიზიონის გათამაშების ცხრილში მე-15 ადგილზეა და ბოლო ექვს შეხვედრაში მხოლოდ ოთხი ქულის მოგროვება შეძლო. კლუბის ხელმძღვანელობამ შექმნილი ვითარება გაითვალისწინა და არგენტინელი ფეხბურთის სპეციალისტის გათავისუფლება გადაწყვიტა. „ბეტისის“ მთავარ მწვრთნელად მადრიდის „რეალის“ ყოფილი თავკაცი გუს ჰიდინკი დაინიშნა, რომელმაც კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

**იტალიურმა** სპორტული ნაწარმის ფირმა „დიადორამ“ ინგლისის პრემიერლიგაში მოასპარეზე „ასტონ ვილასთან“ ახალი სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. კლუბს არანაკლებ ცნობილ ფირმა „რიბოკთან“ ხელშეკრულების ვადა დაუმთავრდა და სამი წლის მანძილზე „დიადორასთან“ ურთიერთობა არჩია. შეთანხმება მომავალი სეზონის დასაწყისიდან ამოქმედდება. იტალიურმა ფირმამ კლუბს 10 მილიონი დოლარი გადაუხადა. „ასტონ ვილასთან“ ერთად ჩვენი ფირმა რამდენიმე ცნობილი კლუბის სპონსორია. მაგალითად, „რომა“, „უდინეზე“ და „ბოლონია“ „დიადორას“ პარტნიორები არიან. ახალი შეთანხმებებით ევროპის საფეხბურთო ბაზარზე დამკვიდრებას ვაპირებთ“ — განაცხადა ფირმის გენერალურმა დირექტორმა ლუიჯი რებელატომ. შეგახსენებთ, რომ „ასტონ ვილამ“ გასულ კვირაში სატელევიზიო კომპანია ენტეელთან ახალი კონტრაქტი უკვე გააფორმა და 26 მილიონი გირვანქა მიიღო.

**ბოლივიური** ფეხბურთის ერთ-ერთი თვალსაჩინო წევრი, 80-იან წლებში მოასპარეზე კარლოს არაგონესი ქვეყნის ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად დანიშნეს. მან თანამდებობაზე არგენტინელი ექტორ ვეირა შეცვალა, რომლის მოღვაწეობაც ბოლივიის ფეხბურთის ფედერაციამ არადამაკმაყოფილებლად მიიჩნია. არაგონესი ერთი ხანობა ბოლივიის ახალგაზრდულ ნაკრებსაც ავარჯიშებდა, შემდეგ პოსტი დატოვა და ქვეყნის ჩემპიონ „ბლუმინგს“ ჩაუდგა სათავეში. ახლა იგი ნაკრებს 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრაში დაეხმარება. ბოლივიელებს 28 მარტს ურუგვაის ნაკრების წინააღმდეგ შესარჩევი ციკლის შეხვედრა ელით.

**იტალიურმა** მილანის „ინტერმა“ პორტუგალიელი ნახევარმცველი პაულო სოუზა სეზონის ბოლომდე „პარმას“ ათხოვა. სამაგიეროდ კი „პარმადან“ იმავე ვადით მიკელე სერენა გადაიბირა. გუნდებმა შეთანხმებას იტალიის სატრანსფერო სეზონის დახურვამდე რამდენიმე საათით ადრე მიაღწიეს. პაულო სოუზა „პარმაში“, ალბათ, ტრავმირებული ალენ ბოგოსიანის ადგილს დაიკავებს. პორტუგალიელს მარჩელო ლიპის მისვლის შემდეგ „ინტერის“ ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის შანსი თითქმის აღარ ეძლეოდა.

**რუსეთის** ნაკრებისა და მოსკოვის „სპარტაკის“ ფორვარდი სერგეი იურანი ავსტრიის ჩემპიონის, გრაცის „შტურმის“ რიგებს შეუერთდა. თავდამსხმელი ავსტრიაში მინიმუმ სეზონის ბოლომდე დარჩება. სერგეი იურანი „სპარტაკის“ ძირითად შემადგენლობაში გასული წლის აგვისტოდან ველარ ხვდებოდა. კლუბის განცხადებით, ფეხბურთელი მთავარი მწვრთნელის ოლეგ რომანცევის ტაქტიკურ გეგმებს ვერ მოერგო.

**საფრანგეთის** პირველი დივიზიონის აუტსაიდერმა „მონპელიემ“ პორტუგალიური „ბალენენსეშიდან“ ორი ფეხბურთელი სეზონის დასასრულამდე ითხოვა. თავდამსხმელი რუი პატაჩა და ნახევარმცველი ანტონიუ ჯოუველა სეზონს „მონპელიეში“ ჩაამთავრებენ, მერე კი შესაძლოა კლუბმა ორი მოთამაშე საბოლოოდ შეიძინოს. სამაგიეროდ, გუნდის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე ნიკოლა უედეკი მომავალ კვირას განათხოვრებით, ალბათ, შოტლანდიაში გადაბარგდება, სადაც „ჰართსის“ ან „მიდლოტიანის“ ღირსებას დაიცავს.

**ინგლისის** საფეხბურთო ასოციაციამ ლონდონის „ჩელსის“ ფრანგი მცველი ფრანკ ლებეფი ორმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. ლებეფი გასული წლის დეკემბერში „ლიდს იუნაიტედთან“ შეხვედრაში მეტოქე ჰარი კიუელს ეუხეშა, რის გამოც მოედანი ნაადრევად დატოვა. სადისციპლინო კომიტეტმა დაადგინა, რომ ფრანგს „უოტფორდისა“ და „ნიუკასლ იუნაიტედის“ წინააღმდეგ გასამართი მატჩების გამოტოვება მოუწევს.

**გერმანიის** ჩემპიონატი ზამთრის შესვენების შემდეგ დამდეგ უქმეებზე განახლდება. დორტმუნდის „ბორუსია“ პარასკევს „კაიზერსლაუტერნს“ შეხვდება. „ბორუსიას“ მთავარ მწვრთნელ მიხაელ სკიბეს რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელის ჯანმრთელობის საკითხი აწუხებს. კუნთის დაჭიმვის გამო წამყვანი ნახევარმცველი ანდრეას მიოლერი დაახლოებით ოთხ კვირას ვერ ითამაშებს. თავდამსხმელ ფრედი ბობიჩის ასპარეზობაც საეჭვოა, ხოლო ნიგერიელი ვიქტორ იკპება და განელი ოტო ადო თავიანთი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებებს აფრიკის თასის გათამაშებაში ეხმარებიან. „კაიზერსლაუტერნის“ წინააღმდეგ შეხვედრაში სკიბე, ალბათ, განელ იბრაჰიმ ტანკოსა და ჰაიკო ჰერლიხს იხმობს.

**ინგლისური** ლონდონის „არსენალის“ ჰოლანდიელი თავდამსხმელი დენის ბერხკამპი ტრავმის შემდეგ ნელ-ნელა ფორმაში შედის. გასული წლის დეკემბრის ბოლოს მან საზარდულის ტრავმა მიიღო და მას შემდეგ აღარ უასპარეზია. მთავარი მწვრთნელის, არსენ ვენგერის განცხადებით, ბერხკამპმა, შესაძლოა 12 თებერვალს „ლივერპულის“ წინააღმდეგ შეხვედრაშიც ითამაშოს.

**ინგლისური** „შეფილდ უენსდის“ თავკაცი დენი უილსონი იანვრის საუკეთესო მწვრთნელად დასახელდა. ინგლისში ანალოგიური გამოკითხვა ყოველი თვის ბოლოს ეწყობა. „შეფილდ უენსდიმ“, რომელიც პრემიერლიგის გათამაშების ცხრილის უკანასკნელ საფეხურზე იმყოფებოდა, იანვარში ორი საკმაოდ პრინციპული მატჩი მოიგო. ჯერ „ბრედფორდი“ დაამარცხა 2:0, ხოლო შემდეგ „ტოტენჰემს“ სძლია 1:0. ინგლისის თასის გათამაშებაში კი პენალტების სერიით „ვულვერჰემპტონს“ აჯობა, თუმცა მომდევნო ეტაპზე „ჯილინგემთან“ წააგო და ასპარეზობას გამოეთიშა. „უენსდის“ ზოგიერთი გულშემატკივარი უილსონის თანამდებობიდან გათავისუფლებას მოითხოვდა, მაგრამ მწვრთნელმა საბოლოოდ პოსტი შეინარჩუნა და ერთ თვეში საკმაო წარმატებასაც მიაღწია.

**გერმანული** „შტუტგარტის“ მეკარე ფრანც ვოლფარტი ავსტრიაში დაბრუნდა და თავის ყოფილ კლუბს, ვენის „აუსტრიას“ შეუერთდა. ამ კვირაში კიდევ ერთი ავსტრიელი ფეხბურთელი, ტონი პოლსტერი მიონხენგლადბახის „ბორუსიადან“ „ზალცბურგში“ გადაბარგდა. პოლსტერი ახალ კლუბს სეზონის განახლებისთანავე, დაეხმარება, ხოლო ვოლფარტი ტრავმის გამო, ალბათ, ცოტა ხანს ვერ ითამაშებს.



ანდრეი შევჩენკო

# ანდრეი შევჩენკო: ჩემს გოლებს სკუდეტოში ვცვლი

*ანდრეი შევჩენკოს მილანში ურაგანი შეარქვეს. უკრაინელ ვარსკვლავს, რომელსაც შავ-წითელი გუნდის ქომაგები დიდი იმედით შეჰყურებენ, ტემპის ცვლის დიდი უნარი, უდავო კლასი, ტექნიკა და სიმძლავრე ახასიათებს. სერია A-ში გადმოსულმა პირველსავე ტურებში დიდი ეფექტი მოახდინა და დღეს, 19 ტურის შემდეგ 14 გოლით ბომბარდირთა სიას სათავეში უდგას. ბოლო ტურში, პერუჯაში მან ჰეთ თრიკიც შეასრულა.*

— გულშემატკივარს დიდ მადლობას ვუძღვნი. ბედნიერი ვარ, რომ „მილანმა“ ასე საჭირო გამარჯვება მოიპოვა. მთავარი გუნდია, პირად წარმატებას კი იმდენ ყურადღებას არ ვაქცევ — ამბობს ყოფილი კიევის დინამოელი.

**— რომ ვთქვათ პერუჯაში, სერია A-ში გადასვლის შემდეგ, შევჩენკოს საუკეთესო მატჩი იყოო, მართალი იქნება?**

— არა. მართალია დღეისათვის კარგად ვთამაშობ, მაგრამ პერუჯაში ჩატარებულ შეხვედრას საუკეთესოს მაინც ვერ დავარქმევდი. ბევრი ხელსაყრელი მომენტი გავუშვი ხელიდან. ვატყობ, რომ როგორც თავდამსხმელს, არცთუ ცოტა მაქვს სამუშაო და გამოსასწორებელი.

**— ალბათ, იმ ეპიზოდებს გულისხმობთ, სამი გოლის გატანამდე რომ გქონდათ.**

— ძალიან გამანაწყენა პირველ ტაიმში დაშვებულმა შეცდომამ, როდესაც კარში დარტყმის ნაცვლად ბურთი ბირჰოფს გადავაწოდე. ვწუხვარ, რომ ოლივერსაც გავურთულე მდგომარეობა. ბოდიშს ვუხდი.

**— მოკლედ, ბოლომდე კმაყოფილი მაინც არ ხართ.**

— ჯერჯერობით სრულყოფილებაზე ლაპარაკი ნაადრევი მგონია. ახალგაზრდა ვარ და, ცხადია, უამრავი რამ მაქვს სასწავლი.

**— თქვენი აზრით, როდის იგრძნობთ თავს „მილანის“ ღვიძლ შვილად?**

— ამ მხრივ საქმე ცუდად არ მიდის, როგორც ძაკერონის ტაქტიკასთან ადაპტაციის, ასევე დანარჩენ გუნდთან შეგუების თვალსაზრისით. თანაგუნდელების დიდი მადლობელი გახლავართ. მათ ყველა ღონე იხმარეს, რომ იტალიურ ფეხბურთს შეძლებისდაგვარად უმტკივნეულოდ შევგუებოდი.

**— დღეს კი, ალბათ, თითქმის ტელეპატიურად უგებთ პარტნიორებს.**

— ცხადია. ვიცი ვინ ცაციაა, ვინ კი მემარჯვენე, ვინ როგორ და საით გაიქცევა და სად სჭირდება ბურთის მიწოდება. რასაც თქვენ მოედანზე ხედავთ, კვირების განმავლობაში საწვრთნელ ცენტრში მუხლჩაუხრელი შრომის შედეგია. აშკარაა, რომ სწორედ ვმუშაობთ.

**— ძაკერონისა და თქვენს მენტორს, ლობანოვსკის შორის უთუოდ ბევრი უნდა იყოს საერთო.**

— მიჯობს ისინი ერთმანეთს არ შევადარო. ორივე დიდი მწვრთნელია, საკუთარი სტილით.

**— სახლი გენატრებათ?**

— ცოტა. მთავარია, რომ ოჯახის წევრები მილანში არიან. მალე კიეველი მეგობრებიც ჩამომაკითხავენ.

**— მილანში გადაბარგების მერე უკრაინა ხომ არ მიივიწყეთ?**

— უკრაინაში ხშირად ჩასასვლელად დრო არ მაქვს, მით უფრო, რომ საამისოდ ციურიხში ერთი თვითმფრინავიდან მეორეში უნდა გადავჯდე. ბოლოს კიევში საშობაოდ გახლდით.

**— მილანიდან წასვლის წინ ჟორჟ ვეამ განაცხადა, რომ 2000 წელს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი თქვენ იქნებით.**

— მოდით, ხუმრობას თავი დავანებოთ. ამაზე არასდროს მიფიქრია. ჩემთვის, მოგეხსენებათ, უმთავრესი გუნდის შედეგი გახლავთ.

**— ასეა თუ ისე, დღეს თქვენ საუკეთესო ბომბარდირობის უდიდესი შანსი გაქვთ.**

— ყველა გოლს სკუდეტოში ვცვლი.

**— ერთ სეზონში, კარიერაში რამდენი გოლი გაქვთ გატანილი?**

— ოცი, მაგრამ უკრაინის პირველობაზე გატანილ გოლებს დიდ ყურადღებას ნუ მივაქცევთ. იტალიაში ფეხბურთი სხვა თამაშია.

**— გრძნობთ, რომ განსაკუთრებული სეზონი გიდგათ?**

— განსაკუთრებული მაშინ იქნება, თუ სკუდეტოს მოვიპოვებთ. ჯერჯერობით მხოლოდ ერთი ემოცია მაქვს — გული მტკივა, რომ ევრო 2000-ზე ვერ ვითამაშებ. დიდებული შანსი გვქონდა, მაგრამ თავი სლოვენიას გავაგდებინეთ. ახლა მსოფლიოს ჩემპიონატს ვუმიზნებ, თუმცა ჯერ სკუდეტო უნდა მოვიგო.

თარგმნა
მიხეილ სურგულაძემ

# ლობანოვსკის შემბლი ელის

გასაკვირი ამბები ხდება. ამ რამდენიმე დღის წინ ინგლისელებმა რამდენიმე ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციებს წერილები დაუგზავნეს, სპარინგ-პარტნიორებს ვეძებთ და თუ თქვენი სურვილიც არის, 31 მაისს ჩამობრძანდით, ვითამაშოთო... ქართველი გულშემატკივარი გაოცდება, ინგლისის წინააღმდეგ ძალის მოსინჯვაზე უარს ვინ იტყვის, შეერჩიათ, ვინც უნდოდათ და პირდაპირ მისთვის მიემართა, ამდენ ქაღალდს რად აფუჭებდნენო. არც ასე ყოფილა საქმე. ჯერჯერობით ვიცით ორი ადრესატის ვინაობა, ვინაც ბრიტანელთა უსტარი მიიღო. ესენი რუსეთი და უკრაინაა. რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტის ვიაჩესლავ კოლოსკოვის პასუხი ასეთია, ვითამაშოთ, ოღონდ ერთი პირობით — 2001 წელს საპასუხო ვიზიტით უნდა გვეწვიოთ და ბურთაობით მოსკოველი გულშემატკივრებიც გავახაროთო. აი, უკრაინელები კი არანაირ პირობას არ აყენებენ. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ვალერი პუსტოვოიტენკო (ის ქვეყნის პრემიერ-მინისტრადაც მუშაობს) ამბობს: „2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად უკეთეს მეტოქეს ვერც ვინატრებთ. მზად ვართ, მიწვევა მივიღოთ და ლონდონს ვესტუმროთ. ინგლისელები კიევში ჩამოსვლას თუ დათანხმდებიან, კარგი იქნება. თუმცა ეს ჩვენი სურვილია და არა მოთხოვნა“.

ინგლისელთა არჩევანს მალე შევიტყობთ და ეს, ალბათ, უკრაინა იქნება. აქ ერთი კითხვა უნდა დავსვათ. ვინ უხელმძღვანელებს ლურჯ-ყვითლებს? მოგეხსენებათ, იოჟეფ საბოს გადადგომის შემდეგ ნაკრებში მწვრთნელის ადგილი ვაკანტურია.

სლოვენიისგან ძლეულმა უკრაინელებმა თავდაპირველად ვალერი ლობანოვსკის სთხოვეს დახმარება და უარი მიიღეს, ჯანმრთელობა არ მიწყობს ხელსო. შემდეგ ლეონიდ ბურიაკის ვარიანტი გაჩნდა, თუმც პუსტოვოიტენკო საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას არ ჩქარობდა, ვალერი ვასილიევიჩის დაყოლიების იმედი ჰქონდა. როგორც ჩანს, ფედერაციის პრეზიდენტის მონდომებამ ნაყოფი გამოიღო. ლობანოვსკის უთქვამს, ჩემს სამუშაო გეგმას გაეცანით და თუ მოიწონებთ, ნაკრებს ჩავიბარებო. საოცარი იქნება, ლობანოვსკის პროგრამა ვინმემ დაიწუნოს. ამ კაცს დიდი წონა აქვს, უკრაინაში მისი სიტყვა ძვირად ფასობს.

დაველოდოთ. გაუთვალისწინებელი თუ არაფერი მოხდა, 31 მაისს „უემბლიზე“ (სანამ რეკონსტრუქცია დაიწყება) კიგანისეული ინგლისის ნაკრები ლობანოვსკის ტაქტიკური სქემებით გამდიდრებულ უკრაინას დაუპირისპირდება.



ვალერი ლობანოვსკი

# კოსმოპოლიტური მიმოხილვა




აი, პელე — ამბობს პელე

ესპანური „ლოს რიკოს ტამბიენ ლორანის“ კორესპონდენტმა როხელიო სალვატიერომ ინტერვიუ სთხოვა იტალიური სერია B-სა და ესპანური მეორე დივიზიონის ცნობილი გუნდების წვრთნით სახელგანთქმულ იუგოსლავიელ სპეციალისტს, ზლობომირ აგრესოვიჩს, რომლისგანაც აგრესიული თანხმობის მიღების შემდეგ საუბრის ადგილიდან მიიმალა. დაუყოვნებლივ გამოცხადდა ძებნა, რომელშიც ევროკავშირის სამძებროს სპეცაგენტების გარდა უამრავი მოხალისეც მონაწილეობდა. ჟურნალისტ სალვატიეროს ადგილმდებარეობას ორშაბათს მიაგნეს — დაკავების მომენტში იგი „ლოს რიკოს ტამბიენ ლორანის“ რედაქციაში მალულად ფრენბურთზე წერდა სტატიას. დაკავებულმა ჩადენილი აღიარა, სასამართლომ კი მას დაზარალებულისგან ხუთი ვრცელი ინტერვიუს ჩამორთმევა მიუსაჯა.

— სასამართლომ ლმობიერება გამოამჟღავნა. ჩვენ დამნაშავის შვიდი ინტერვიუთი დასჯას ვითხოვდით — განაცხადა პროკურორმა იგნასიო ბლანკო ლოპედევეგამ.

— თავად პროკურორიც გულჩვილი გამოდგა. სალვატიეროს სულ მცირე ათჯერ-თორმეტჯერ მაინც უნდა ჩამოერთმია ჩემთვის ინტერვიუ, მაგრამ, ვინაიდან დროება წახდა...

— ბატონო აგრესოვიჩ — ჩაერია საუბარში დამნაშავე სალვატიერო — თქვენ ამბობთ, რომ დროება წახდა, მაგრამ ამას ხომ დამტკიცება სჭირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში გალმა გიჩივლებთ და გამოლმა შემრჩება.

— შე ახვარო — უპასუხა აგრესოვიჩმა — აბა, ამას რა დამტკიცება უნდა. ჩამოთვალე რა ფეხბურთელები თამაშობდნენ ადრე: პელე, ბობი ჩარლტონი, გარინჩა, დი სტეფანო, ბეკენბაუერი, კრუიფი... ახლა? ახლა ვინ თამაშობს?!

— მიატოვიჩი, იუგოვიჩი, სტანკოვიჩი, სავიჩევიჩი... გავაგრძელო?

— ბიჭოს. რაღაცაში მართალი ხარ, ხო იცი. არც ისეთი ნაგავი ყოფილხარ, თავიდან რომ მეგონა, მაგრამ ჩემს დროს მაინც სხვა იყო.

— მარადონაც ხომ ახლო წარსულია. ნუთუ სხვა მარადონა აღარ დაიბადება?

— აბა, როგორ. ორი შვილი ჰყავს და ორივე გოგოა, ბიჭის გამკეთებელი კი ეგ აღარ არის.

— ბიჭიც ხომ ჰყავს ნეაპოლში?

— ნაბიჭვარი? ბიჭო, შე კაზიოლო, ნაბიჭვრებზე როგორ მელაპარაკები, გამო გვერდზე შენი...

— მაშინ თქვენ აღზარდეთ ვინმე. მწვრთნელი არა ხართ?

— გავზრდი. ვზრდი უკვე.

— ვის?

— ერთი სერბი ბიჭი მყავს და ერთიც ქართველი. ცოტა ძნელი კია, მაგრამ...

— რა არის ძნელი? ან, იქნებ, მათი ვინაობა გაგვიმხილოთ.

— სერბს ჰქვია ვესელკო ტაშიჩი, ქართველს დათუშკი ჩემიკაიძე. შენ პროსტო უნდა ნახო ბურთთან როგორ არიან, ტო, მაგრამ...

— რა მაგრამ?

— ტაშიჩი რეჟიმს არღვევს ხშირად. ღამ-ღამობით იპარება, ჩემიკაიძეს კი ტრუსიკიანი სირბილი უტყდება.

— შეიძლება რაღაც გირჩიოთ?

— შენ?

— ჰო

— მიდი, აბა

— ტაშიჩი დაკოდეთ, ჩემიკაიძეს კიდევ ჯინსებში თამაშის ნება მიეცით

— შე დამპალო, შენი...

*კაკუნა ძიდია*

**ავტორი სამძიმარს უცხადებს როხელიო სალვატიეროს ოჯახს და წუხს, რომ ბოლო დროს გახშირდა სინათლესთან ერთად წყლის შეწყვეტის შემთხვევები. თუმცა, როგორც რედაქციაში თქვეს იმედით, ცოცხლობს ადამიანი.**

# ბაჩო სხიერელი: დინამო ფულს გადაიხდის და...



ბაჩო სხიერელი

ერთ დროს ქართული კალათბურთის ფლაგმანს, თბილისის „დინამოს“ დღეს რომ ძალიან უჭირს, ეს უკვე აღარავისთვისაა უცხო. დუხჭირმა ცხოვრებამ და უფულობამ იქამდე მიიყვანა, რომ სადღეისოდ იოტისოდენა ამბიციაც აღარ შერჩა და მეცხრე ეროვნულშიც საგულდაგულოდ ტკეპნის აუტსაიდერთათვის განკუთვნილ ადგილს. სეზონის წინ „დინამოდან“ წავიდა მწვრთნელი ლევან მოსეშვილი. მეტ-ნაკლებად ნორმალური მოთამაშე ვინც იყო, ყველამ სხვა კლუბებს მიუშურა. ალბათ, სწორედ ეს გახლავთ ზემოთქმულის ლოგიკური დაბოლოება...

მაგას ვინ ჩივის, ეროვნული ჩემპიონატიდან მოკვეთის საფრთხე დაემუქრა „დინამოს“. 3100 ლარი ჰმართებს კალათბურთის ფედერაციისა და დღემდე ვერ მოუყარა ამ თანხას თავი, ვალი ვერ გადაიხადა. ამისთვის აკი დაისაჯა კიდეც უკანასკნელ ტურში, სტუ-სთან 0:20 წაგება და 0 ქულა გამოეწერა რეცეპტივით.

დრო კი არ ითმენს. ფედერაცია ითხოვს იმას, რაც წესითა და რიგით ეკუთვნის, წინაამდეგ შემთხვევაში, თამაშს საერთოდ აგიკრძალავო, თან აფრთხილებს „დინამოს“, თან იმუქრება.

ერთხელ უკვე წამოეგო „დინამო“ ანკესზე, ანკესზე, რომელიც სხვებისთვისაც ისევე იყო გამიზნული როგორც მისთვის...

რა იქნება ხვალ? რა ბედი ეწევა ჩვენი კალათბურთის ოდინდელ სიამაყეს? ყოფნა, არყოფნა — ესღაა საკითხავი.

„დინამოს“ პრეზიდენტი ბაჩო სხიერელი ახალგაზრდა კაცია. სულ ახლო წარსულში იგი თავად თამაშობდა კალათბურთს, საქმეში ჩახედულია და შავისა და თეთრის გარჩევაც არ ეშლება. და რაც მთავარია, ოპტიმისტურად არის განწყობილი, მომავლის ეიმედება. სადღეისოდ კი აი, რას ეუბნება „სარბიელს“:

— სამწუხაროდ, ვერ მოვახერხეთ მოკლე დროში ამ ფულის შოვნა. ფედერაციაც თავისაზე დადგა და სხვა რა გზა გვქონდა, იძულებული გავხდით, ბედს შევრიგებოდით.

ხვალ რა იქნება? ყველაფერი დალაგდება. დარწმუნებული ვარ, ეს ასე მოხდება. „დინამოს“ დაშლას ერთი წუთითაც გულში ნუ გაივლებენ. „დინამო“ ყოველთვის იარსებებს და არა მხოლოდ იარსებებს...

მაგ თანხას მაქსიმუმ ორ დღეში მიიღებს ფედერაცია. ჩვენ აუცილებლად გადავჭრით ამ პრობლემას და ცხოვრებაც გაგრძელდება...

გიორგი ბიძაშვილი

ვაქირავებ ან ვყიდი
გარემონტებულ 1-ოთახიან
იზოლირებულ ბინას
ტელეფონით და ბუნებრივი
აირით
სარაჯიშვილის მეტროსთან
☎ 60 21 23

## სლოვენია

XX ტური

კრკა — ლოკა კავა 98:78, მარიბორი — სავინსკი 83:85, პივოვარნა — ტრიგლავი 108:61, ზაგორიე — ჰელიოსი 76:73, როგლა ატრასი — კრაშკი ზიდარი 87:79

**სლოვანი 58:69 ოლიმპია**

სლოვანი: ლაკოვიჩი (8), ჟაკელი (6), ჯურკოვიჩი (16), პავიჩი (7), ბოისა (3), მარავიჩი (12), შუშტარშიჩი (6)

ოლიმპია: ბეჩიროვიჩი (10), გოლემაცი (2), დუშჩაკი (6), ბრეჟეცი (4), ზდოვცი (20), კოტნიკი (16), მილიჩი (9), იასიკევიჩუსი (2), პარავინია, მოდრიჩი

ლიუბლიანური დერბის შედეგის გამოცნობა არათუ სპეციალისტს, არამედ ყველაზე დილეტანტ გულშემატკივარსაც არ გაუჭირდებოდა. არ არის „სლოვანი“ იმ დონის გუნდი, რომ „ოლიმპიას“ რამე დააკლოს. თუმცა, ქართველების გუნდმა ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია მრისხანე მეტოქეს და მხოლოდ თერთმეტი ქულით დამარცხდა.

პირველად ამ სეზონში „სლოვანის“ სათადარიგოთა სკამზე გამოჩნდა გუნდის კიდევ ერთი ქართველი წევრი ირაკლი კეიდია. იგი მოედანზე არ შესულა. ასევე არ უთამაშია ნიკა ცქიტიშვილს და დავით უგრეხელიძეს, ისინი კვლავინდებურად ავად არიან. საერთოდ, „სლოვანს“ გრიპის გამო ხუთი მოთამაშე აკლდა.

ვლადიმერ ბოისა, მოგეხსენებათ, „ოლიმპიას“ საკუთრებაა და „სლოვანშია“ განათხოვრებული. ვოვას მფლობელი გუნდის წინააღმდეგ დიდად არ გამოუდია თავი: 19 წუთში თითო ორქულიანი და საჯარიმო ჩააგდო, ერთი პასი გააკეთა და ოთხი პერსონალური მიიღო.

რეგულარული ჩემპიონატის ბოლომდე ორი ტური დარჩა. ექვსეულში მოხვედრისთვის ბრძოლა არნახულად დაიძაბა. პირველი სამი ადგილის ბედი გარკვეულია. „ოლიმპიას“, „პივოვარნას“ და „კრკას“ თავი ქუდში აქვთ. დარჩენილ სამ ადგილზე კი ოთხ გუნდს აქვს პრეტენზია და მათი შანსები დაახლოებით თანაბარია. „სლოვანმა“ ბოლო ორ ტურში საგრძნობლად დათმო პოზიციები და მეოთხედან მეექვსე ადგილზე ჩამოქვეითდა. „ზაგორიემ“ და „ტრიგლავმა“ ლიუბლიანელებს თითო მოგებით გაასწრეს. „სლოვანს“ მეექვსე ადგილშიც მოზიარე გამოუჩნდა: „სავინსკიმ“ სტუმრად მოუგო „მარიბორს“ და ქართველების გუნდს ქულებით გაუსწორდა.

მომდევნო ტურში, 12 თებერვალს, „სლოვანი“ დომზალეში ესტუმრება „ჰელიოსს“, „ტრიგლავი“ და „ზაგორიე“ ერთმანეთში ითამაშებენ, ხოლო „სავინსკი“ „კრკას“ შეხვდება. ბოლო ტურში „სლოვანი“ უმასპინძლებს „ტრიგლავს“ და, შესაძლოა, ყველაფერი სწორედ მაშინ გადაწყდეს.

5 თებერვალს სლოვენიის „ოლ სტარია“, რომელშიც ერთმანეთს შეხვდებიან ჩემპიონატში მოთამაშე სლოვენიელი და უცხოელი კალათბურთელებისგან შემდგარი გუნდები. ლეგიონერთა გუნდში მოხვედრის შანსი აქვს ვლადიმერ ბოისას. საბოლოო შემადგენლობები ხუთშაბათს გამოცხადდება. ნიკა ცქიტიშვილი კი მონაწილეობას მიიღებს „ოლ სტარის“ პროგრამით გამართულ ჩატენვების კონკურსში.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპია | 20 | 19 | 1 | 1765:1210 | 39 |
| პივოვარნა | 20 | 18 | 2 | 1762:1413 | 38 |
| კრკა | 20 | 16 | 4 | 1594:1395 | 36 |
| ზაგორიე | 20 | 11 | 9 | 1471:1560 | 31 |
| ტრიგლავი | 20 | 11 | 9 | 1448:1545 | 31 |
| სლოვანი | 20 | 10 | 10 | 1441:1405 | 30 |
| სავინსკი | 20 | 10 | 10 | 1584:1555 | 30 |
| როგლა ატრასი | 20 | 6 | 14 | 1435:1588 | 26 |
| მარიბორი | 20 | 6 | 14 | 1426:1690 | 26 |
| ლოკა კავა | 20 | 5 | 15 | 1401:1577 | 25 |
| ჰელიოსი | 20 | 5 | 15 | 1504:1701 | 25 |
| კრაშკი ზიდარი | 20 | 3 | 17 | 1421:1613 | 23 |

## ესპანეთი

### სამეფო თასის გათამაშება

28-31 იანვარი. ვიტორია

მეოთხედფინალი

პამესა — უნიკახა 75:53, ბარსელონა — რეალი 73:68, ესტუდიანტესი — ტაუ 79:65, კახა სან ფერნანდო — კანარიასი 71:60

ნახევარფინალი

პამესა — ბარსელონა 75:73, ესტუდიანტესი — კახა სან ფერნანდო 80:65

ფინალი

**ესტუდიანტესი 73:63 პამესა**

ესტუდიანტესი: ტომპსონი (9), მარტინესი (4), რობლესი (5), აიშა (7), ვანდივერი (14), აზოფრა (18), ა. რეიესი (26), ფ. რეიესი, ხიმენესი

პამესა: ჰოფკინსი (19), ალვარესი (5), ალბერტი (3), მალუენდა (2), ბერდი (11), როდილა (14), მარკოვიჩი (5), ლუენგო (4)

### სამეფო თასის მფლობელები

(1992 წლიდან)

| | | |
|---|---|---|
| 1992 | ესტუდიანტესი | (მადრიდი) |
| 1993 | რეალი | (მადრიდი) |
| 1994 | ბარსელონა | |
| 1995 | ტაუგრესი | (ვიტორია) |
| 1996 | ტდკ | (მანრესა) |
| 1997 | ხუვენტუდი | (ბადალონა) |
| 1998 | პამესა | (ვალენსია) |
| 1999 | ტაუ | (ვიტორია) |
| 2000 | ესტუდიანტესი | (მადრიდი) |

## იტალია

### თასის გათამაშება

26-29 იანვარი. რეჯო კალაბრია

მეოთხედფინალი

ბენეტონი — აეროპორტი 79:74, სკავოლინი — ეისი 81:72, კინდერი — ვიოლა 89:62, სიენა — ფორტიტუდო 75:74

ნახევარფინალი

ბენეტონი — სკავოლინი 87:74, კინდერი — სიენა 95:65

ფინალი

**ბენეტონი 78:59 კინდერი**

ბენეტონი: ნიკოლა (20), ედნი (6), პიტისი (15), მარკონატო (16), ბულერი (3), სანტოსი (3), ნეესი (2), შეპარდი (13)

კინდერი: დანილოვიჩი (16), აბიო (4), ეკონომუ (5), შტომბერგასი (4), სკონოჩინი (10), ბინელი (2), ფროზინი (7), რიგოდო (7), ანდერსენი (4)

### იტალიის თასის მფლობელები

(1990 წლიდან)

| | | |
|---|---|---|
| 1990 | კინდერი | (ბოლონია) |
| 1991 | გლაქსო | (ვერონა) |
| 1992 | სკავოლინი | (პეზარო) |
| 1993 | ბენეტონი | (ტრევიზო) |
| 1994 | ბენეტონი | (ტრევიზო) |
| 1995 | ბენეტონი | (ტრევიზო) |
| 1996 | ოლიმპია | (მილანი) |
| 1997 | კინდერი | (ბოლონია) |
| 1998 | ფორტიტუდო | (ბოლონია) |
| 1999 | კინდერი | (ბოლონია) |
| 2000 | ბენეტონი | (ტრევიზო) |

## საბერძნეთი

XVIII ტური

აეკ — ირაკლიონი 75:61, პანიონიოსი — ირაკლისი 89:79, დაფნი — პანათინაიკოსი 71:81, მარუსი — ესპეროსი 75:62, პერისტერი — არისი 62:55, პაოკ — სპორტინგი 94:72, ნიარ ისტი — ოლიმპიაკოსი 57:72

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აეკ | 18 | 15 | 3 | 1347:1170 | 33 |
| პანათინაიკოსი | 18 | 15 | 3 | 1368:1141 | 33 |
| ოლიმპიაკოსი | 18 | 14 | 4 | 1281:1136 | 32 |
| პაოკ | 18 | 12 | 6 | 1342:1254 | 30 |
| პერისტერი | 18 | 11 | 7 | 1317:1282 | 29 |
| პანიონიოსი | 18 | 10 | 8 | 1332:1298 | 28 |
| ირაკლისი | 18 | 8 | 10 | 1273:1248 | 26 |
| მარუსი | 18 | 8 | 10 | 1236:1262 | 26 |
| ნიარ ისტი | 18 | 7 | 11 | 1309:1441 | 25 |
| არისი | 18 | 7 | 11 | 1260:1277 | 25 |
| ირაკლიონი | 18 | 7 | 11 | 1305:1311 | 25 |
| დაფნი | 18 | 7 | 11 | 1275:1401 | 25 |
| ესპეროსი | 18 | 3 | 15 | 1201:1436 | 21 |
| სპორტინგი | 18 | 2 | 16 | 1196:1385 | 20 |

## თურქეთი

XIX ტური

დარუშაფაკა — მიდონოსე 73:81, ეფესი — ითუ 75:64, ქომბასანი — ოაქი 75:66, ტროი — ბეშიქთაში 69:76, ტელეკომი — ფენერბაჰჩე 72:57, ულქერი — ქარშიაქა 89:59, გალათასარაი — თოფაში 76:68

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ეფესი | 19 | 15 | 4 | 1440:1330 | 34 |
| თოფაში | 19 | 14 | 5 | 1394:1268 | 33 |
| ბეშიქთაში | 19 | 13 | 6 | 1413:1352 | 32 |
| ულქერი | 19 | 13 | 6 | 1439:1338 | 32 |
| ქარშიაქა | 19 | 12 | 7 | 1396:1327 | 31 |
| ტელეკომი | 19 | 12 | 7 | 1426:1357 | 31 |
| გალათასარაი | 19 | 10 | 9 | 1425:1377 | 29 |
| დარუშაფაკა | 19 | 10 | 9 | 1427:1441 | 29 |
| ფენერბაჰჩე | 19 | 10 | 9 | 1459:1419 | 29 |
| ტროი | 19 | 6 | 13 | 1460:1539 | 25 |
| მიდონოსე | 19 | 6 | 13 | 1473:1550 | 25 |
| ქომბასანი | 19 | 6 | 13 | 1330:1367 | 25 |
| ითუ | 19 | 5 | 14 | 1264:1428 | 24 |
| ოიაქი | 19 | 1 | 18 | 1241:1494 | 20 |

## საფრანგეთი

XXI ტური

ლე მანი — სტრასბური 77:72, ანტიბი — საონი 66:58, ევრე — შოლე 64:73, შამპანი — მონპელიე 66:94, დიჟონი — ნანსი 106:75, ბეზანსონი — პარი სენ ჟერმენი 61:74, პო ორტეზი — ლიმოჟი 61:63, ვილერბანი — გრაველინი 88:80

საფრანგეთის საკალათბურთო ჩემპიონატში ამ უქმეებზე 21-ე ტურის შეხვედრები გაიმართა. უკვე ზედიზედ სამი ტურია გათამაშების ერთ-ერთი ლიდერთაგანი აგებს და ამჯერადაც ასე მოხდა. „პო-ორტეზმა“ წინა ტურში პსჟ-სთან განადგურებას ახლა შინ „ლიმოჟთან“ მარცხი მიაყოლა და „გრაველინის“ მჯობნი „ვილერბანი“ ერთპიროვნულად გაუშვა წინ.

ფინანსური შეჭირვების მიუხედავად ლიმოჟელებმა ბრწყინვალედ ითამაშეს პოში და მეტად დაძაბული მატჩი მოიგეს. მასპინძლებისთვის კი ეს უბრალოდ წაგება არ იყო. ამ მარცხით მათ 1996 წლის თებერვალში დაწყებული სერია შეწყვიტეს. ამ ხნის განმავლობაში საფრანგეთის ჩემპიონატის შეხვედრებში „პო-ორტეზი“ შინ ერთხელაც არ დამარცხებულა.

თამაში ყოველგვარი დაზვერვის გარეშე დაიწყო. ყველაზე აქტიური მასპინძელთაგან რიზაშე იყო, რომელიც ერთადერთი არ შერცხვა წინა ტურში „პარი სენ ჟერმენთან“. სტუმართა თამაშის სულისჩამდგმელი კი ბონატო იყო. მე-5 წუთისთვის „ლიმოჟი“ ერთი ქულით დაწინაურდა (7:6). ეს მას შემდეგ რაც ჯერ კიდევ მისმა და მომავალი სეზონიდან „ნიუ იორკის“ ცენტრმა ფრედერიკ ვეისმა კონტრიერიშისას ბურთით მთელი მოედანი გაირბინა და ეფექტურად ჩატენა მეტოქის კალათში.

ლიმოჟელები თავდასხმაში ძალიან აქტიურად თამაშობდნენ და მოწინააღმდეგეს ჯარიმების მიღებას აიძულებდნენ. „პო-ორტეზს“ საწყის ხუთ წუთში ხუთი პერსონალური ჯარიმა მოუგროვდა, დიდიე გადუმ კი ტექნიკურიც მიიღო მსაჯებთან კამათისთვის. დაცვაში ერთი-ერთზე თამაშისას რომ არაფერი გამოუვიდათ, პოელებმა ზონურ დაცვას მიმართეს და მალე მთელი რვა ქულითაც დაწინაურდნენ (მე-11 წუთი). ამ პერიოდში ყველაზე შედეგიანი დიდიე გადუ იყო, რომელმაც ორი სამქულიანი ჩააგდო.

თუმცა მასპინძლების ზონურ დაცვას მშვენივრად აუღო ალღო ბრაუნმა, რომელმაც პირველ ტაიმში თავისიანებს მთელი 23 (!) ქულა შესძინა. მისი წყალობით სტუმრებმა ანგარიშში ჩამორჩენა პირველივე ტაიმში აღმოფხვრეს — 35:35.

მეორე ტაიმის დასაწყისში კალათბურთელებს სროლები აშკარად არ წაუვიდათ. პირველ ხუთ წუთში ორივე გუნდმა ჯამში ხუთი ქულა გააკეთა. თუმცა ორივემ კი არა, ეს ხუთი ქულა მთლიანად „პო-ორტეზის“ მონაგარი იყო და 26-ე წუთისთვის ის 40:35 დაწინაურდა, მალე კი ანგარიშში სხვაობამ ათ ქულას მიაღწია (48:38). აქ კი ცენტრების დუელი დაიწყო. ვეისმა აშკარად დაჩაგრა თავისი ვიზავი გულიაში და ეს მალე ანგარიშსაც დაეტყო. სტუმართა ცენტრმა ოთხჯერ დაუფარა მასპინძელთა რუმინელ გოლიათს და ფარიდან ასხლეტილ ბურთებსაც ის უფრო ხშირად ეუფლებოდა. დაცვაში ლამის მთელი „პო-ორტეზი“ ვეისის შესაჩერებლად გადაერთო, ამით კი „ლიმოჟის“ უკანახაზელებმა ისარგებლეს და 34-ე წუთზე ბონატოს ზუსტი სამქულიანის შემდეგ ანგარიში გათანაბრდა — 54:54. საფინალო სირენამდე წუთით ადრე ანგარიში კვლავ საყაიმო იყო (61:61), ბურთი კი „პო-ორტეზს“ ჰქონდა, მაგრამ გულიაში ოთხი მოწინააღმდეგის გარემოცვაში მოხვდა და... „ლიმოჟს“ უკანასკნელმა შეტევამ ორი ქულა და მეთხუთმეტე გამარჯვება მოუტანა.

„ვილერბანმა“ კი ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე მოუგო მაჩანჩალა „გრაველინს“. სონკოს აქტიურობის წყალობით მასპინძლები მალევე დაწინაურდნენ და მატჩი გამარჯვებამდე მშვიდად მიიყვანეს. ლოგიკური იყო პსჟ-ს ბეზანსონში მოგებაც, რადგან დედაქალაქის გუნდი ამჟამად ალმავლობას განიცდის და ზედიზედ მეოთხე მეტოქეც დაამარცხა. მიყოლებით მეათე გამარჯვება ვერ მოიპოვა „საონმა“. მან ერთ-ერთ აუტსაიდერ „ანტიბსა“ და მის ლიდერ ჯორჯი ადამსს (15 ქულა) ვერ მოუხერხა ვერაფერი.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ვილერბანი | 21 | 17 | 4 | 1605:1436 | 38 |
| პო ორტეზი | 21 | 16 | 5 | 1631:1540 | 37 |
| ლიმოჟი | 21 | 15 | 6 | 1570:1451 | 36 |
| პსჟ | 21 | 13 | 8 | 1546:1370 | 34 |
| საონი | 21 | 13 | 8 | 1574:1466 | 34 |
| დიჟონი | 21 | 12 | 9 | 1627:1526 | 33 |
| ლე მანი | 21 | 12 | 9 | 1562:1527 | 33 |
| შოლე | 21 | 12 | 9 | 1539:1509 | 33 |
| სტრასბური | 21 | 11 | 10 | 1511:1524 | 32 |
| ბეზანსონი | 21 | 8 | 13 | 1538:1539 | 29 |
| ნანსი | 21 | 8 | 13 | 1447:1498 | 29 |
| ევრე | 21 | 8 | 13 | 1452:1518 | 29 |
| ანტიბი | 21 | 7 | 14 | 1399:1574 | 28 |
| შამპანი | 21 | 6 | 15 | 1461:1576 | 27 |
| მონპელიე | 21 | 6 | 15 | 1452:1602 | 27 |
| გრაველინი | 21 | 4 | 17 | 1420:1678 | 25 |



AFP ფოტო

პო ორტეზი — ლიმოჟი 61:63. მასპინძელი გადუ ლიმოჟელ უილიამსს გასცდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეგულარული ჩემპიონატი

# ჰარდევეიმ ჯადო აიხსნა

31 იანვარი

**ვანკუვერი 87:92 მილუოკი**

ვანკუვერი: რიდზი (22 ქულა, 15 მოხსნა), ბიბი (16 ქულა, 12 პასი)

მილუოკი: რობინსონი (25), კასელი (21)

**დენვერი 83:80 ფილადელფია**

დენვერი: მერსერი (15)

ფილადელფია : აივერსონი (29)

**ორლანდო 113:117 ფინიქსი**

ორლანდო: ამსტრონგი (26 ქულა, 11 პასი)

ფინიქსი: რობინსონი (28), ჰარდევეი (21), კიდი (20 ქულა, 14 პასი, 8 მოხსნა)

**მინესოტა 105:90 საკრამენტო**

მინესოტა: გარნეტი (31 ქულა, 12 მოხსნა, 7 პასი), ჯეკსონი (17 ქულა, 12 პასი, 11 მოხსნა)

საკრამენტო: ვებერი (14)

**მაიამი 104:82 დეტროიტი**

მაიამი: მაშბურნი (23), მურნინგი

დეტროიტი: სტეკჰაუზი (17)



REUTERS ორლანდოდან

ორლანდო — ფინიქსი. ორლანდოელი კორი მეჯიტი (ბურთით) და ჯეისონ კიდი

უცნაური გუნდია „ორლანდო მეჯიქი“, ჯერ იყო და დაანგრია ვარსკვლავებით სავსე გუნდი, მერე კი თავიდან შეუდგა ალმშენებლობას. იმ გუნდიდან, რომელსაც 1995 წელს ფინალში თამაშის ბედნიერება ხვდა წილად, ბოლო მერცხლები ანფერნი ჰარდევეი და ჰორას გრანტი იყვნენ და მიმდინარე სეზონის დასაწყისში კლუბმა ისინიც გაუშვა. ახლა ჰორას გრანტი „სიეტლში“ ქართველი ვოვა სტეფანიას გვერდით ატარებს ალბათ ერთ-ერთ ბოლო სეზონს თავის მრავალწლიან კარიერაში. რაც შეეხება ჰარდევეის, ეს არცთუ ასაკოვანი, მაგრამ მრავალნაცადი კალათბურთელი არიზონას „უდაბნოში“, ქალაქ ფინიქსში დასახლდა და იქაური „სანზის“ ერთ-ერთ ლიდერადაც იქცა. ჰარდევეიმ და კიდმა შექმნეს მძლავრი უკანა ხაზი, რომლის დარი ლიგაში არ მოიძებნება და „ფინიქსის“ მთავარი მამოძრავებელი ძალაც ძირითადად ეს დუეტია.

რაც შეეხება „ორლანდოს“, მას ერთადერთი რიგიანი მოთამაშეღა შერჩა — გამთამაშებელი დარელ ამსტრონგი, კაცი, რომელიც წინა სეზონში გუნდის სასტარტო ხუთეულის წევრიც არ იყო. ახლა კი იგი ლიდერია ულიმლამო მოთამაშეთა ჯგუფისა, რომელიც სეზონის დაწყებამდე ბრბოს უფრო მოგვაგონებდა, ვიდრე გუნდს. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამ ხალხითაც შეიძლება თამაშების მოგება. კლუბის მამებს არც ახალი მწვრთნელის, გლენ „დოკ“ რივერსის სასაყვედურო ეთქმით რაიმე, პირიქით, მან იმაზე გაცილებით მეტი გააკეთა, რასაც მისგან ელოდნენ. რივერსმა „ჯადოები“ მოულოდნელად პლეი ოფისთვის მებრძოლი გუნდების მარაქაში გარია და ახლა „ორლანდოს“ იქ მოხვედრის შანსი აქვს.

ორშაბათს, ანფერნი ჰარდევეი თავის შვიდწლიან კარიერაში პირველად თამაშობდა ამ გუნდის წინააღმდეგ, რომელიც მან (შაკილ ონილთან ერთად) ფეხზე დააყენა. ბუნებრივია, ჰარდევეი თავისი ყოფილი გუნდის მიმართ კეთილგანწყობილი სულაც არ არის და აკი არც დაიშურა მწარე სიტყვები კლუბის ბოსების მისამართით. კალათბურთელი განსაკუთრებით გუნდის მფლობელს გადასწვდა, თუმცა არც სხვა ხელმძღვანელებს დააკლო ხელი, ორი წლის განმავლობაში ისეთ დღეში ვიყავი, არ ვიცოდი დღეს გამყიდდნენ თუ ხვალ, მერე კი ჩემგან თამაშში საშუალოდ 25 ქულას ითხოვდნენო.

კალათბურთელს სამაგიერო „ორლანდოს“ გულშემატკივრებმა ერთიასად გადაუხადეს, მაშინ, როცა სულ რამდენიმე თვის წინ ჰარდევეი მათი კერპი იყო. ათასობით ფანი დაუფარავად გამოხატავდა ზიზღს ფინიქსელის მიმართ. როგორც კი იგი ბურთს მიიღებდა, იწყებოდა ერთი გნიასი, სტვენა და ლანძღვა-გინება. თუმცა ზოგიერთმა ქომაგმა, როგორც ჩანს, გაუგო კალათბურთელს და ბოლომდე მისი ერთგული დარჩა. ორიოდე კაცმა პლაკატებიც გამოფინა წარწერით: „პენი, ჩვენ კვლავ გვჯერა შენი“, თუმც ასეთები ერთეულები იყვნენ. „გულშემატკივარი ყოველთვის მერყევია, მე ეს კარგად მესმის, მათ ადგილზე იქნებ მეც ასევე მოვქცეულიყავი — ამბობდა პენი მატჩის შემდეგ, კმაყოფილი იმით, რომ მისმა თავგამოდებამ ნაყოფი გამოიღო და „ფინიქსმა“ დაძაბულ ბრძოლაში სძლია ყოფილ გუნდს — სანამ თამაში დაიწყებოდა, ძალიან ვღელავდი. ეს ბუნებრივია, მე ხომ პირველად ვთამაშობდი „ორლანდოს“ წინააღმდეგ, თან ისე მინდოდა იმ გუნდის დამარცხება, რომელშიც ამდენი ხანი გამიტარებია“.

იმ დღეს „ორლანდოს“ კიდევ ერთი ყოფილი ორლანდიელი დაუპირისპირდა — „ფინიქსის“ მწვრთნელი სკოტ სკაილზი, ვინც „მეჯიქის“ დაარსებიდან თავისი სპორტული კარიერის დასასრულამდე ამ გუნდის ერთგული იყო. ახლა მან სულ რამდენიმე კვირის წინ „ფინიქსის“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე საკუთარი ნებით გადამდგარი დენი ეინჯი შეცვალა და ჰარდევეის მსგავსად, პირველად დაეჭიდა ყოფილ გუნდს.

საინტერესო მატჩი გაიმართა ვანკუვერში. ამ ქალაქის გუნდმა „ვანკუვერ გრიზლიზმა“ რამდენიმე დღის წინ თვით „იუტა ჯაზს“ აჭამა ალიყური და ახლა სხვებთანაც მიეცა იმედი. „დათვები“ ბოლო წუთებამდე თავდადებით ებრძოდნენ მილუოკელ ხვად ირმებს, მაგრამ მათ გემო მაინც ვერ გაუსინჯეს. ჯორჯ კარლის ბიჭებმა ბოლო წუთებზე გამოსტაცეს ხელიდან გამარჯვება აგრერიგად მონდომებულ მასპინძლებს და დამრიგებლის ქებაც დაიმსახურეს, რაც ერთობ იშვიათი შემთხვევაა — კარლი საყოველთაოდ ცნობილია თავისი სიმკაცრით. ახლა მწვრთნელს კარიერაში 556 მოგება დაუგროვდა, მან ერთით გა[illegible]რო ელვინ ეტლისს და გაუტოლდა მე-19 ადგილზე მყოფ ამჟამად უმუშევარ დელ ჰარისს.

მოულოდნელად, საკმაოდ იოლად მოიგო „მინესოტამ“. მოულოდნელად იმიტომ, რომ საკრამენტოელ „მეფეებთან“ დაპირისპირებულმა „მგლებმა“ ერთ-ერთი ლიდერი, გამთამაშებელი ტერელ ბრენდონი მოისაკლისეს. ბედად, „მინესოტას“ შევსება იქიდან მოუვიდა, საიდანაც ნაკლებად ელოდა. ბრენდონის ადგილი ბობი ჯეკსონმა დაიკავა და თავის კარიერაში პირველად სამმაგი დუბლი გაახერხა — 17 ქულა, 12 პასი და 11 მოხსნა, მაშინ, როცა მისი მაჩვენებლებია მატჩში საშუალოდ 4,9 ქულა, 2,3 მოხსნა და 2,7 პასი. ასეთმა მოკრძალებულმა შედეგიანობამ ჯეკსონს ხელი ვერ შეუშალა მოედანზე სრულიად ებატონა. რაც შეეხება საკრამენტოელთა ლიდერ კრის ვებერს, იგი მასპინძელთა ლიდერმა კევინ გარნეტმა დაიბრიყვა. სტუმართა კიდევ ერთი წამყვანი მოთამაშე, იუგოსლავიელი ცენტრი ვლადე დივაცი კი მასზე ბევრად გამოუცდელმა სლოვენიელმა რადოსლავ ნესტეროვიჩმა (14 ქულა) გააუვნებლა და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ტყუილად არ არის „მინესოტას“ სასტარტო ხუთეულის წევრი. ერთ დროს ლიუბლიანის „ოლიმპიაში“ ჩვენებური ვოვა სტეფანიას თანაგუნდელი ნესტეროვიჩი უკვე კარგა ხანია, „ტიმბერვულვზის“ შეუცვლელ ცენტრად იქცა და ღირსეულადაც უმშვენებს მხარს ლიგის ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშეს, კევინ გარნეტს.

**ირაკლი ფირაშვილი**

# ჯერ ხალხი ირჩევს

კვირას, 29 იანვარს, გაირკვა „ოლ სტარში“ მონაწილე აღმოსავლეთისა და დასავლეთის გუნდების სასტარტო ხუთეულები. ისინი კალათბურთის გულშემატკივართა საყოველთაო გამოკითხვის შედეგად დადგინდა. ეს მუდამ ასეა, „ოლ სტარის“ სასტარტო ხუთეულებს ხალხი ასახელებს, დანარჩენ შვიდ-შვიდ კალათბურთელს კი რამდენიმე დღეში აირჩევენ ასოციაციის 29 გუნდის თავკაცები. ხოლო აღმოსავლელებსა და დასავლელებს სათავეში ჩაუდგებიან ის მწვრთნელები, რომელთა გუნდებიც თავიანთ კონფერენციებში პირველნი იქნებიან კვირას, 6 იანვრის თამაშების შემდეგ. აქვე უნდა ითქვას, რომ დასავლეთს უკვე ჰყავს მწვრთნელი, იგი „ლეიკერსის“ დამრიგებელი ფილ ჯეკსონი გახლავთ. რაც შეეხება აღმოსავლეთს, აქ ორი კანდიდატია — „მაიამის“ პატ რაილი ან „ნიუ იორკის“ ჯეფ ვან განდი. იქნებ ეს ადგილი „ინდიანას“ ლარი ბერდსაც დაეკავებინა, მისი გუნდი ხომ ახლა აღმოსავლეთს ლიდერობს და რაღა ამ რამდენიმე დღეში დაქვეითდებოდა, მაგრამ უარი თვითონ მწვრთნელმა თქვა. არავისთვისაა საიდუმლო, რომ ლეგენდარულ კალათბურთელს არც მოთამაშეობის ჟამს ეხატებოდა გულზე ეს ვარსკვლავთშეკრება.

„ოლ სტარი“ წინა სეზონში არ გამართულა. რომელი „ოლ სტარი“ უნდა გამართულიყო, როცა ლოკაუტის გამო თვით სეზონის ჩატარებას დაემუქრა საფრთხე. ამიტომ წლეულს მას დიდი აჟიოტაჟი ახლავს. სასტარტო ხუთეულების დასახელებაში ერთბაშად ოთხმა მილიონმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. გამოკითხვას მოულოდნელობები და სიურპრიზები არ შემოუთავაზებია, თუმც არის სიახლეც — აღმოსავლეთის რიგებში თავის პირველ „ოლ სტარის“ მატჩს ითამაშებენ უკანახაზელი ალენ აივარსონი და ფრთა ვინს კარტერი. ამ უკანასკნელმა საერთოდ ყველას, განურჩევლად ამპლუისა, აჯობა და სულ 1 911 973 მიიღო. კარტერი სულ მეორე და ბრწყინვალე სეზონს ატარებს. ამ ბიჭს კარგად ეხერხება მოედანზე საკალათბურთო შოუს დადგმა, მის სანახაობრივ თამაშს უამრავი თაყვანისმცემელი გამოუჩნდა და კარტერმაც გამოკითხვაში ბევრად აჯობა სხვა თავდამსხმელებს. ამასთან კარტერი პირველი ტორონტოელია ვინც ოლსტარს ითამაშებს. ასევე იოლად იმარჯვა ლიგის პირველმა ბომბარდირმა ალენ აივერსონმა და სასტარტო ხუთეულში ადგილი გამოკითხვის დამთავრებამდე კარგა ხნით ადრე დაიბევა. აღმოსავლეთის სხვა ძირითადებს — ედი ჯონსს, ალონზო მურნინგსა და გრანტ ჰილს „ოლ სტარში“ თამაშის გამოცდილება საკმაოდ ავქთ. ჰილი მეხუთედ ითამაშებს ყველა ვარსკვლავის შეხვედრაში და ხუთეულშიც მეხუთეჯერ მოხვდება. არც დანარჩენები არიან „ბებრები“, ყველაზე ასაკოვანი 28 წლის ალონზო მურნინგია.

დასავლეთის ხუთეულში ახალბედებისთვის არ მოიძებნა ადგილი. ისინი ახლოსაც არ გაიკარეს დასავლელმა სუპერვარსკვლავებმა. თუმც არც იქ შეხვდებით კალათბურთში დაბერებულ ხალხს. აღმოსავლეთის არ იყოს, ყველაზე ასაკოვანი 28 წლის შაკილ ონილია, რომელმაც ალონზო მურნინგთან ერთად 1992 წელს შემოაბიჯა ლიგაში. ონილს მხარს დაუმშვენებს „ლეიკერსში“ მისი თანაგუნდელი კობი ბრაიანტი, კალათბურთელი, რომელიც „ოლ სტარების“ ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა მონაწილეა. გამოკითხვაში ბრაიანტმა თვით „სიეტლის“ სუპერგამთამაშებელ გერი პეიტონს აჯობა.

ხუთეულები ასე გამოიყურება:

**აღმოსავლეთი**

ალენ აივერსონი (ფილადელფია)
ედი ჯონსი (შარლოტი)
ვინს კარტერი (ტორონტო)
გრანტ ჰილი (დეტროიტი)
ალონზო მურნინგი (მაიამი)

**დასავლეთი**

ჯეისონ კიდი (ფინიქსი)
კობი ბრაიანტი (ლეიკერსი)
კევინ გარნეტი (მინესოტა)
ტიმ დანკანი (სან ანტონიო)
შაკილ ონილი (ლეიკერსი)

# ჯორდანმა ვიზარდსს ხელი მოუჭირა

სულ რამდენიმე დღეა, რაც ლეგენდარული კალათბურთელი მაიკლ ჯორდანი „ვაშინგტონ ვიზარდსის“ პრეზიდენტად დაინიშნა. ჯორდანი არეულ-დარეულ გუნდში მივიდა, მკლავები დაიკაპიწა და პირველ რიგში ხელში მთავარი მწვრთნელი გარ ჰერდი მოხვდა. მას სხვა სამუშაოს შოვნა მოუწევს. ახალმა პრეზიდენტმა ყველას დაანახა, რომ კლუბის ადმინისტრაციაში ეს ადგილი მხოლოდ სიმბოლურად არ უკავია. ახალი პრეზიდენტის სიმკაცრე თავის თავზე გამოსცადა მწვრთნელყოფილმა. როდესაც ჯორდანმა პრესკონფერენცია მოაწყო, აღნიშნა, განსაკუთრებით დისციპლინას მივაქცევ ყურადღებას და საქმისადმი არასერიოზულ დამოკიდებულებას არავის ვაპატიებო. მან მთავარი მწვრთნელიდან დაიწყო. ჯორდანმა მოთამაშეებსაც დაუცაცხანა, მეტი ჯიგრით უნდა ითამაშოთ, თუ ამას არ გააკეთებთ, თქვენს თავს დააბრალეთო. მკაცრი გამოდგა კალათბურთელობაში ლაღი მაიკლი, მაგრამ „ვაშინგტონი“ იმდენად უსუსურად გამოიყურება სხვა კლუბებთან, მხოლოდ ამგვარი გზით თუ უშველი. ჯორდანიც მისვლისთანავე ენერგიულად ჩაერთო კლუბის ყოველდღიურ საქმიანობაში და საქმეში ჩახედული კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს, ყოველ შემთხვევაში, ამაზე მეტყველებს მის მიერ გატარებული რეფორმები.

„ვიზარდსი“ უმწვრთნელოდ დიდხანს არ ყოფილა, ჰერდის ჯერ კიდევ თბილ სკამზე მისი მეგობარი და ერთ დროს თანაგუნდელი დარელ უოლკელი დასვეს. ეს ოფიციალურად ორშაბათს, 31 იანვარს გაფორმდა. ჯორდანის თანაგუნდელი, ცხადია, გამოცდილი მწვრთნელი ვერ იქნება. სულ სეზონნახევრის განმავლობაში ედგა სათავეში „ტორონტო რეპტორზს“ 1996-98 წლებში, მანამდე კი ბრენდან მელოუნის თანაშემწე იყო ამავე გუნდში. უოლკერი თანამდებობიდან 1998 წლის თებერვალში გაათავისუფლეს, რადგან ის სეზონი „ტორონტომ“ ურიგოდ დაიწყო, 49 მატჩიდან მხოლოდ 11 მოიგო. უოლკერმა ნბა-ში სამუშაო ველარ ნახა და კონტინენტურ საკალათბურთო ასოციაციაში გადაინაცვლა, იქ „რიკფორდ ლაითნინგს“ საკმაოდ კარგად უთავკაცა და კვლავ მიიქცია ნბა-ელთა ყურადღება. ოცნება რეალობად მექცაო, ამბობს უოლკერი, რომელიც ალბათ, ვერც ჩაუდგებოდა ნბა-ს გუნდს სათავეში, მაიკლ ჯორდანი რომ არა. „ვაშინგტონის“ მწვრთნელს და პრეზიდენტს ერთმანეთის გვერდიგვერდ მხოლოდ ნახევარი სეზონი უთამაშიათ. უოლკერი „ვაშინგტონის“ კალათბურთელიც იყო 1987-91 წლებში.

უოლკერი სავსებით იზიარებს ჯორდანის აზრს, რომ უპირველესი ყურადღება დისციპლინას უნდა მიექცეს, უამისოდ შორს ვერავინ წავა. უოლკერი დაცვით კალათბურთს ამჯობინებს. ამასთან, ახალ მწვრთნელს ძნელი ამოცანა აქვს გადასაწყვეტი. მან უნდა მოთოკოს თავგასული ვარსკვლავები, რომელთაც მოედანზე ხეირიანი გარჯა ეზარებათ და ვარჯიშისას თუ თამაშისას თავს მაინცდამაინც არ იკლავენ. „რამდენიმე წლის წინ მეც მათსავით ვთამაშობდი და კარგად ვიცი ყველას ავანჩავანი. ვფიქრობ, შევძლებ მოთამაშეებთან საერთო ენის გამონახვას და ისინიც უფრო გულმოდგინედ მოეკიდებიან საქმეს — ამბობს ჯორდანის რჩეული და მომავალსაც ნათელ ფერებში სახავს — თორმეტი წლის განმავლობაში არ მოუგია ვაშინგტონის პლეი ოფის მატჩი. მე არ ვამბობ, რომ წლეულსვე ვითამაშებთ ფინალში, მაგრამ ამ გუნდით იქ მოხვედრა სავსებით შესაძლებელია მომავალში.“ ასე რომ, უოლკერს ჯერ ყველაფერი წინ აქვს, იგი მხოლოდ 38 წლისაა, ასეთი ახალგაზრდა მთავარი მწვრთნელი კი ნბა-ში დიდი იშვიათობაა. როგორც ჩანს, ჯორდანსაც ბოლომდე სჯერა მისი.

ახლა უოლკერის ბედს ძაღლი ნამდვილად არ დაჰყეფს. ხუმრობა ხომ არ არის ამხელა ოჯახის გამოკვება — ცოლი ლიზა, ქალიშვილი ფელისია და ოთხი ვაჟი, სეხნია დარელი, ჯარელი, ჯარეტი და ჯარენი.

**ივანე ძოწიაშვილი**

# სცენარი უკვე დაიწერა

**სიდნეიში** გაიმართა 2000 წლის ოლიმპიური თამაშების კალათბურთის ტურნირის კენჭისყრა. ვაჟთა 12 გუნდი ორ ჯგუფში ასე განაწილდა:

A ჯგუფი: ლიტვა, ახალი ზელანდია, ჩინეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, საფრანგეთი, იტალია

B ჯგუფი: რუსეთი, ანგოლა, კანადა, ავსტრალია, ესპანეთი, იუგოსლავია

ჯგუფებში მატჩები გაიმართება წრიული სისტემით. მომდევნო ეტაპზე, მეოთხედფინალში ჯგუფიდან ოთხი გუნდი გადის და თამაშობს ჯვარედინი პრინციპით (A1-B4, A2-B3, A3-B2, A4-B1) და ა.შ.

ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრების თამაშთა განრიგი:

17 სექტემბერი: აშშ — ჩინეთი
19 სექტემბერი: აშშ — იტალია
21 სექტემბერი: აშშ — ლიტვა
23 სექტემბერი: აშშ — ახალი ზელანდია
25 სექტემბერი: აშშ — საფრანგეთი

*მერვედფინალები გაიმართება 28 სექტემბერს, ნახევარფინალები — 29 სექტემბერს, ფინალი — 1 ოქტომბერს*

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ინგლისი. პრემიერლიგა. გადადებული მატჩი | | | |
| | 2 თებერვალი | | | |
| 001 | უენსდი-მანჩესტერი | 6,0 | 3,5 | 1,45 |
| | საფრანგეთი. I დივიზიონი. 24-ე ტური | | | |
| | 2 თებერვალი | | | |
| 008 | მარსელი-რენი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 009 | ნანსი-ტრუა | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 010 | სენტ ეტიენი-ლანსი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 011 | სედანი-მონპელიე | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 012 | სტრასბური-ლიონი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 013 | ნანტი-მეცი | 2,0 | 2,7 | 3,6 |
| 014 | ლე ავრი-ბასტია | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | საფრანგეთი. II დივიზიონი. 25-ე ტური | | | |
| | 2 თებერვალი | | | |
| 015 | ლილი-ტულუზი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 016 | ლორიანი-ლე მანი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 017 | ვალანსი-კაენი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 018 | კანი-კრეტეი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 019 | ლავალი-აიაჩო | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 020 | ამიენი-ლუანი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 021 | გინგამი-შატორუ | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 022 | სოშო-ვასკალი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 023 | ნიმი-ნიცა | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 024 | გენიონი-ნიორი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | ჰოლანდია | | | |
| | 2 თებერვალი | | | |
| 026 | ტვენტე-ალკმაარი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 027 | კამბური-ნაიმეგენი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 028 | ჰერენვენი-აიაქსი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 029 | ვიტესი-გრააფსხაპი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 030 | ვიტესი-დენ ბოსხი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 031 | ვალვაიკი-ტილბურგი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| | 3 თებერვალი | | | |
| 032 | პსვ-ფეიენოორდი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | თურქეთი. გადადებული მატჩი | | | |
| | 2 თებერვალი | | | |
| 033 | ვანი-გიოზთეფე (14[00]) | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| | შოტლანდია. გადადებული მატჩი | | | |
| | 2 თებერვალი | | | |
| 034 | დანდი იუნაიტედი-რეინჯერსი | 5,3 | 3,1 | 1,6 |
| | ესპანეთი. თასის 1/8 ფინალი. II მატჩები | | | |
| | 2 თებერვალი | | | |
| 038 | რაიო ვალეკანო-ლეიდა | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 039 | ოვიედო-მერიდა | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 040 | დეპორტივო-ოსასუნა | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 041 | ბარსელონა-ორენსე | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 042 | ატლეტიკო-უნიონი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 3 თებერვალი | | | |
| 043 | რეალი-სარაგოსა | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | პორტუგალია. თასი. გადათამაშება | | | |
| | 2 თებერვალი | | | |
| 044 | ნავალი-რიუ ავე | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| | ბელგია. თასი | | | |
| | 2 თებერვალი | | | |
| 045 | აალსტი-ბეერსხოტი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| | თურქეთი. თასის 1/4 ფინალი | | | |
| | 2 თებერვალი | | | |
| 047 | ანკარა-ნაზილი (15[00]) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 048 | ანთალია-დარდანელი (15[00]) | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 049 | ბურსა-გაზიანთეფი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 050 | ტრაბზონი-გალათასარაი | 3,2 | 2,9 | 2,1 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | შოტლანდია. ლიგის თასის 1/4 ფინალი | | | |
| | 2 თებერვალი | | | |
| 051 | კილმარნოკი-ჰართსი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| | აფრიკის თასი | | | |
| | 2 თებერვალი | | | |
| 503 | ს.აფრიკა-ალჟირი | 1,7 | 2,8 | 5,3 |
| 504 | დრ კონგო-გაბონი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | 3 თებერვალი | | | |
| 505 | ნიგერია-მაროკო | 1,7 | 2,8 | 5,3 |
| 506 | ტუნისი-კონგო | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | კალათბურთი | | | |
| | 2 თებერვალი | | | |
| 810 | ბოსტონი-მაიამი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 811 | ნიუ ჯერსი-ატლანტა | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 812 | ვაშინგტონი-მინესოტა | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 813 | დეტროიტი-საკრამენტო | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 814 | დენვერი-მილუოკი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 815 | ფინიქსი-კლივლენდი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 816 | გოლდენ სტეიტი-ვანკუვერი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 817 | სიეტლი-ჩიკაგო | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| | 3 თებერვალი | | | |
| 818 | ნიუ იორკი-პორტლენდი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 819 | დალასი-შარლოტი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 820 | ჰიუსტონი-ფილადელფია | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 821 | სან ანტონიო-ტორონტო | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 822 | იუტა-მილუოკი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| | კალათბურთი. ევროლიგა | | | |
| | 2 თებერვალი | | | |
| 823 | ფორტიტუდო-ულქერი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 824 | ვილერბანი-პო ორტეზი | 1,2 | 12,0 | 2,5 |
| | 3 თებერვალი | | | |
| 825 | ბარსელონა-ჟალგირისი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 826 | ცსკა-თოფაში | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 827 | ბენეტონი-ალბა | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 828 | პანათინაიკოსი-ცრ.ზვეზდა | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 829 | ოლიმპია-შოლე | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 830 | რეალი-პაოკ | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 831 | ოლიმპიაკოსი-კახა ს.ფ. | 1,2 | 12,0 | 2,8 |
| 832 | მაკაბი-ბუდუჩნოსტი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 833 | ეფესი-პივოვარნა | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 834 | ციბონა-ვარეზე | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| | ჰოკეი | | | |
| | 2 თებერვალი | | | |
| 843 | აილენდერსი-ნეშვილი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 844 | რეინჯერსი-ნიუ ჯერსი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 845 | ფლორიდა-მონრეალი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| 846 | დალასი-ატლანტა | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| 847 | ედმონტონი-ჩიკაგო | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| | 3 თებერვალი | | | |
| 848 | ბოსტონი-ტორონტო | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 849 | ბუფალო-ოტავა | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 850 | ვაშინგტონი-კაროლინა | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| 851 | ნიუ ჯერსი-ნეშვილი | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| 852 | ფილადელფია-ანაჰაიმი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| 853 | პიტსბურგი-აილენდერსი | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| 854 | ატლანტა-რეინჯერსი | 2,4 | 4,4 | 1,7 |
| 855 | ტამპა ბეი-მონრეალი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 856 | კოლორადო-სან ხოსე | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| 857 | კალგარი-ჩიკაგო | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| 858 | ვანკუვერი-სენტ ლუისი | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| 859 | ფინიქსი-დალასი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 860 | ლოს ანჯელესი-დეტროიტი | 2,0 | 4,4 | 2,0 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

## გათამაშების წესები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

# მცირე უსამართლობა

 იქნებ მცირე კი არა, დიდ უსამართლობადაც მოგეჩვენოთ, მაგრამ უიმბლდონის ჩემპიონი და ახლახან დასრულებული ავსტრალიის ღია პირველობის გამარჯვებული ლინდსი დევენპორტი მაინც მსოფლიოს მეორე ჩოგნად რჩება.

ზორბა ამერიკელი კლასიფიკაციაში პირველს, მარტინა ჰინგისს 500-ზე მეტი ქულით ჩამორჩება, თუმცა თავად ეს დიდად არ აღარდებს: „პირველი ჩოგნობა მაშინ გამიხარდა ძალიან, პირველად რომ გამოვცადე, თუმცა ამჟამად ამას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს. მირჩევნია, რაიმე პრესტიჟული, ან დიდი სლემის ტურნირი მოვიგო. მარტინა სტაბილურობით ყოველთვის მჯობდა, ის ლამის ყოველ კვირაში ფინალში მაინც გადის.“

წარუმატებელი მელბურნული კამპანიით, როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე მეტად ამელი მორესმომ იზარალა. შარშანდელმა ფინალისტმა წლეულს მეორე წრეში პატი შნიდერთან წააგო და კარიერაში საუკეთესო, მეექვსე ადგილიდან ერთბაშად მეთოთხმეტეზე ჩაინაცვლა.

ყველაზე გამორჩეული ფაქტი კი ორშაბათს გამოქვეყნებულ ნუსხაში ჯენიფერ კაპრიატის საუკეთესოთა ოცეულში დაბრუნებაა. ყოფილი ვუნდერკინდი ელიტარულ კომპანიაში უკანასკნელად 1994-ში, 17 წლის ასაკში გამოჩნდა და მავანთა აზრით, გაცილებით წინ წაწევაც ძალუძს.

„სახალხოდ მინდა განვაცხადო, რომ მარტო სურვილი კი არ მაქვს, არამედ უკვე დავბრუნდი“ — აღნიშნა ჯენიმ მელბურნში.

კაცების სახეცვლილი კლასიფიკაცია ჯერჯერობით მხოლოდ ოთხი კვირის ასპარეზობის შედეგებს ასახავს და ცხადია, ძალათა ობიექტურ შემფასებლადაც ვერ გამოდგება.

„ოუფენის“ ჩემპიონი ანდრე აგასი ამჟამად უდავოდ საუკეთესოა კოლეგებში და პირველი ხუთეულის სხვა წევრებიც ნამდვილად იმსახურებენ იქ ყოფნას, მაგრამ ტრავმის ან სხვა მიზეზების გამო მასში მარსელო რიოსი, გრეგ რუზეცკი, პატრიკ რაფტერი და სხვები საერთოდ არ არიან. სამაგიეროდ, შეიძლება ისეთ ამოუცნობ მოთამაშე ობიექტს წააწყდეთ, როგორიცაა ბელგიელი კრისტოფ როშიუ

**ავთანდილ სვანიძე**

## კლასიფიკაცია

| კაცები | | ქალები | |
|---|---|---|---|
| 1. ანდრე აგასი (აშშ) | 200 | 1.1. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 5793 |
| 2. ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) | 141 | 2.2. ლინდსი დევენპორტი (აშშ) | 5263 |
| 3. მაგნუს ნორმანი (შვედეთი) | 140 | 3.3. ვინუს უილიამსი (აშშ) | 4109 |
| 4. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) | 100 | 4.4. სერენა უილიამსი (აშშ) | 3015 |
| 5. პიტ სამპრასი (აშშ) | 90 | 5.5. მარი პირსი (საფრანგეთი) | 2467 |
| 6. იუნეს ელ აინაუი (მაროკო) | 73 | 6.8. ნატალი ტოზია (საფრანგეთი) | 2237 |
| 7. ნიკოლას კიფერი (გერმანია) | 72 | 7.13. კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) | 1981 |
| 8. ჰიშამ არაზი (მაროკო) | | 8.11. ჟული ალარი (საფრანგეთი) | 1932 |
| 9. კრის ვუდრაფი (აშშ) | 51 | 9.7. მონიკა სელეში (აშშ) | 1880 |
| 9. ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) | 51 | 10.9. ბარბარა შეტი (ავსტრია) | 1834 |
| 11. ნიკოლა ესკუდე (საფრანგეთი) | 46 | 11.12. ანა კურნიკოვა (რუსეთი) | 1796 |
| 12. რაინერ შუტლერი (გერმანია) | 42 | 12.10. ამანდა კუტცერი (სამხრეთ აფრიკა) | 1771 |
| 13. სლავა დოსედელი (ჩეხეთი) | 41 | 13.15. არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი) | 1768 |
| 14. ტიმ ჰენმანი (ინგლისი) | 38 | 14.6. ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 1611 |
| 15. ჟერომ გოლმარი (საფრანგეთი) | 36 | 15.14. სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი) | 1593 |
| 16. კრისტოფ როშიუ (ბელგია) | 34 | 16.18. ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) | 1579 |
| 16. არნო კლემანი (საფრანგეთი) | 34 | 17.21. ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) | 1557 |
| 18. ჯეისონ სტოლტენბერგი (ავსტრალია) | 33 | 18.16. დომინიკ ვან რუსტი (ბელგია) | 1399 |
| 19. მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) | 30 | 19.17. ანკე ჰუბერი (გერმანია) | 1391 |
| 19. უეინ ფერერა (სამხრეთ აფრიკა) | 30 | 20.24. აი სუგიამა (იაპონია) | 1294 |

## ვინ რამდენი $ მოიხვეჭა 2000 წელს

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. ანდრე აგასი | 501 320 | 1. ლინდსი დევენპორტი | 477 955 |
| 2. ევგენი კაფელნიკოვი | 264 619 | 2. მარტინა ჰინგისი | 275 589 |
| 3. მაგნუს ნორმანი | 188 246 | 3. კონჩიტა მარტინესი | 127 164 |
| 4. ფაბრის სანტორო | 159 810 | 4. რენე სტაბსი (ავსტრალია) | 126 963 |
| 5. ლეიტონ ჰიუიტი | 146 856 | 5. ჯენიფერ კაპრიატი | 116 417 |
| 6. პიტ სამპრასი | 125 496 | 6. ლაიზა რეიმონდი (აშშ) | 102 076 |
| 7. უეინ ფერერა (სამხრეთ აფრიკა) | 115 548 | 7. არანჩა სანჩეს-ვიკარიო | 91 879 |
| 7. რიკ ლიჩი (აშშ) | 115 548 | 8. ამელი მორესმო | 90 108 |
| 9. იუნეს ელ აინაუი | 115 326 | 9. ანა კურნიკოვა | 87 359 |
| 10. ნიკოლას კიფერი | 112 826 | 10. მარი პირსი | 86 917 |



# ის მაინც დარბის

მძლეოსნობის იამაიკელი ბებო მერლინ ოტი სპორტს არა და არ ანებებს თავს. მიუხედავად იმისა, რომ დოპინგ-სკანდალში გახვევამ რეპუტაცია გვარიანად შეურყია, 40 წლის სპრინტერი დღეს ვალენსიაში ასპარეზობას აპირებს.

ოტის გასულ ზაფხულში, ზედ მსოფლიოს ჩემპიონატის წინ სისხლში აკრძალული ნივთიერება ნანდროლონი აღმოუჩინეს და მას შემდეგ არსად ურბენია. თავად მძლეოსანი მტკიცედ უარყოფდა ყოველივეს, აქაოდა თოვლივით სპეტაკი ვარო, მშობლიური ფედერაციაც სიტყვაზე ენდო და ბრალდებები მოუხსნა.




მერლინ ოტი

ოღონდ ეგ არის, მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაცია (IAAF), ოტისდა სამწუხაროდ, ისეთივე მიმნდობი არ არის და იამაიკელთა გადაწყვეტილებას ეჭვის თვალით უყურებს. მათ უახლოეს ხანში საარბიტრაჟო საბჭო უნდა მოიწვიონ და სავსებით შესაძლებელია, იამაიკელი რამდენიმე წლით სპორტიდან მოკვეთით დასაჯონ.

მანამ კი ოტის კანონი სირბილს არ უკრძალავს და სპრინტერიც ვალენსიაში 60 მეტრ დისტანციაზე კანჭების გავარჯიშებას აპირებს.

ორგანიზატორებმა თავიანთი გადაწყვეტილება ასე გაამართლეს: „ჩვენ ვალდებული ვართ, ტურნირი მაქსიმალურად მიმზიდველი გავხადოთ. არც IAAF-ს და რაც ეროვნულ ფედერაციას (RFEA) ჯერჯერობით პროტესტი არ გამოუთქვამთ ოტის მოწვევის გამო“.

თუმცა RFA-ს პრეზიდენტი ხოსე მარია ოდრიოზოლა უახლოეს ხანში სწორედ ამის გაკეთებას აპირებს: „ორგანიზატორებს ვერაფრით დავავალდებულებთ, რადგან კანონით ოტი მოკვეთილი არ არის. მაგრამ ეს მძლეოსნობისთვი ცუდი იქნება, ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნება, რომ ესპანეთში დოპინგის წინააღმდეგ მკაცრად არ იბრძვიან“.

ოდრიოზოლას რომ კუჭი ეწვის, ძნელი გასაგები არ არის, ის ბიოქიმიის პროფესორი, IAAF-ის საბჭოს წევრი და დოპინგის ხმარების მხურვალე მოწინააღმდეგეა.

რამდენიმე დღის წინ ოტის კარლსრუეშიც უნდა ესპარეზა, მაგრამ მაშინ ამის წინააღმდეგ გერმანიის მძლეოსნობის ფედერაციამ გაილაშქრა.

„უარის შესახებ მერლინს მაშინ შევატყობინე, როცა თვითმფრინავით ფრანკფურტში მიემგზავრებოდა. ფედერაცია დიდ ზეწოლას ახდენდა ორგანიზატორებზე და ამას შეიძლებოდა დამღუპველი ზეგავლენა მოეხდინა სხვა სპორტსმენებზე. ასეთ პრობლემას ესპანეთში აღარ მოველი. წინასწარ გავიკითხე ყველაფერი და ისინი ისევ თანახმანი არიან“ — განუცხადა „როიტერს“ ოტის აგენტმა დენიელ ციმერმანმა.

ციმერმანი თურმე თავის ადვოკატებსაც დაუკავშირდა და სავსებით შესაძლებელია, გერმანიის მძლეოსნობის ფედერაციას სასამართლოშიც უჩივლოს.

**კახა არჯევანიძე**






გარი კასპაროვი და იუდით პოლგარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჭადრაკი ავტობუსი არ არის

## კასპაროვმა პოლგარს არ დაუთმო

ვიიკ-აან-ზეეს საჭადრაკო სუპერტურნირმა ჩააცხრო ვიქტორ კორჩნოისა და იუდით პოლგარის დიდი ამბიციები. ვერც ერთმა და ვერც მეორემ ვერაფერი დაამტკიცეს. მათ — ტურნირის უხუცესმა და უმშვენიერესმა მონაწილეებმა — სატურნირო ცხრილის ფსკერზე ჰპოვეს საბოლოო ნავსაყუდელი, ერთიმეორის გვერდით და სულ ორად ორი მოჭადრაკე დაიყენეს უკან: სომეხი სმბატ ლპუტიანი და ჰოლანდიელი ლუკ ვან ველი. ბოლო, მე-13 ტურის წინ პოლგარი კორჩნოის ერთი ქულით უსწრებდა, მაგრამ „დიდმა ვიქტორმა“ ფინიშზე ჩვეული შეუპოვრობა გამოავლინა, ვაჟკაცურად შეებრძოლა აქამდე სულ მოწინავეებში მყოფ პიკეტს და ყურიც აუწია, ანუ მოუგო. და რაღა ქნა იუდით პოლგარმა, ერთადერთმა მდედრმა გარსშემოჯარულ მრისხანე მამრთა შორის? ჯერ ის ვთქვათ, რომ ბოლო ტურმა უნგრელს მეტოქედ კასპაროვი არგუნა, ერთპიროვნული ლიდერი, რომელსაც ნახევარი ქულაც ჰყოფნიდა პირველი პრიზის დასაუფლებლად. ჯენტლმენური მენტალიტეტის ადამიანი, გარის ადგილზე სწორედ ამ ნახევარ ქულას დასჯერდებოდა, რაც არ უნდა ყოფილიყო ძნელი მოსაპოვებელი, მით უფრო თეთრებით თამაშისას, მაგრამ კასპაროვისთვის დაფა და სქესი, ეტყობა, შეუთავსებელი ცნებებია. სიცილიური დაცვის ნაიდორფის სისტემაში მან შესწირა პაიკი, მერე ხარისხი და შეუტია. პოლგარი კაპასად იცავდა თავს, მეტოქეს ხარისხი დაუბრუნა და თამაშის ენდშპილში გადაყვანა მოახერხა, თუმცა კასპაროვის დახვეწილმა მანევრებმა მალე გამოავლინა უნგრელის პოზიციური სისუსტეები და იგი საბოლოოდ მაინც დანებდა. კასპაროვმა მანდილოსნის დამარცხებით ტურნირის მოგებაც გაიფორმა, თუმცა ამაში უკვე XII ტურის შემდეგაც არავის ეპარებოდა ეჭვი. მაშინ მსოფლიოს ჩემპიონი შავებით თავის უახლოეს მდევარს, ვლადიმერ კრამნიკს შეხვდა. პოზიციური თამაშის მიმდევარმა კრამნიკმა უეჭველად იცოდა, რომ ამჯერად მხოლოდ გამარჯვება აძლევდა ტურნირის მოგების რეალურ შანსს, ხოლო მეორე მხრივ გარკვეულ ფსიქოლოგიურ ტვირთად აქამდე ზედიზედ წაუგებელი 70 პარტია დაწოლოდა. კრამნიკმა არ ისურვა, მეორე ნომრის ბედს შეჰგუებოდა და მე-14 სვლით ინიციატივის ხელში ჩაგდებაზე მკვეთრი განაცხადი გააკეთა. ორიოდე სვლის შემდეგ განაცხადი რეალობას დაემსგავსა, მაგრამ კასპაროვი რის კასპაროვი იქნებოდა, რაიმე ორიგინალური არ მოეფიქრებინა? მისი მხედრის მანევრმა თითქმის მთელი დაფა მოიცვა, რასაც ერთი ტაქტიკური დარტყმაც მოჰყვა და 27-ე სვლაზე პოზიცია უკვე იმდენად საყაიმო გახდა, თამაშის გაგრძელებამ აზრი დაკარგა. მეტოქეებმა 10 ფორმალური სვლა მაინც გააკეთეს და შემდეგ დაზავდნენ. ტურნირის გამარჯვებულის ბედიც ამ პარტიაში გადაწყდა.

ახლა ანანდს შევხედოთ. ვიშიზე დღეს უკვე აღარავინ ლაპარაკობს, როგორც კასპაროვის ალტერნატივა მეტოქეზე. წარსულს ჩაბარდა აღფრთოვანებული კომენტარები მისი სწრაფი საჭადრაკო აზროვნების შესახებ. კრამნიკი და შიროვი, უკვე ცნობილ მოჭადრაკეთაგან და ორი ახალგაზრდაც — მოროზევიჩი და ლეკო ის ხალხია, ვინც კასპაროვის მემკვიდრეობისთვის ბრძოლაში ინდოელის ავტორიტეტი მნიშვნელოვნად გააუფერულა. ანანდს კარგა ხანია, არ მოუგია რომელიმე ტურნირი, მეტიც, მეორე ადგილიც კი ბევრჯერ სანატრელი გახდომია. ჰოლანდიაში ვიშიმ ყაიმებისადმი უჩვეულო მიდრეკილება გამოამჟღავნა, ლამის უფრო დიდი, ვიდრე კრამნიკმა. ყაიმებით კი შორს ვინ წასულა და აი, შედეგიც: ბოლო ტურის წინ ინდოელი ოდენ მე-5 პოზიციაზე მოაბიჯებდა. საჭირო იყო მხოლოდ მოგება და ვიშიმ მოიგო. ლპუტიანთან თეთრი ფიგურებით მოთამაშე ინდოელმა პოზიციური უპირატესობა მოიპოვა და მეთოდურად შეუდგა მის რეალიზებას. სომეხი თავს შეუპოვრად იცავდა და იმდენი მოახერხა, ცენტრი და მეფის ფრთა „გაყინა“. ანანდმა ლაზიერის ფრთაზე გადაინაცვლა და აქ სწორედ მისი დაწინაურებ[illegible] პაიკი იქცა გამარჯვების წინაპირობად. 45-ე სვლისთვის სლპუტიანს სვლები გამოელია და მეფით წაღმა-უკუღმა ბორიალს მიჰყო ხელი, მაშინ, როდესაც ანანდმა მარჯვე მანევრებით მთელი ფლანგი მარწუხებში მოაქცია და მეტოქეს ცხადად დაანახა, რომ ცოტაც და მოახრჩობდა. ლპუტიანსაც თავი აღარ გამოუდია, ისე ასწია ხელები, 61-ე სვლაზე. ამ მოგებით ანანდმა თავისი პროგრამა-მინიმუმი შეასრულა და კრამნიკსა და ლეკოსთან ერთად კასპაროვის მომდევნო ადგილები გაინაწილა, თუმც ერთხელაც დაამტკიცა, რომ უკვე აღარ არის ერთადერთი, ვისთანაც შეიძლება ჩემპიონმა ითამაშოს.

საერთო დასკვნით, ვიიკ-აან-ზეეს წლევანდელმა ტურნირმა დიდი სენსაციის გარეშე ჩაიარა. საბოლოო ცხრილში მოჭადრაკეები თითქმის ისევე განლაგდნენ, როგორც წლევანდელ რეიტინგ-ლისტებში. იხილეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილი და ამაში თავად დარწმუნდებით:

| | |
|---|---|
| 1 კასპაროვი | 9,5 |
| 2-4 ანანდი, კრამნიკი, ლეკო | 8 |
| 5 მოროზევიჩი | 7,5 |
| 6 ადამსი | 7 |
| 7-8 პიკეტი, ტიმანი | 6,5 |
| 9 ნიკოლიჩი | 6 |
| 10 შორტი | 5,5 |
| 11-12 ი. პოლგარი, კორჩნოი | 5 |
| 13 ლპუტიანი | 4,5 |
| 14 ვან ველი | 4 |

**დავით გულუა**

ბადრი კოთილაძის ფოტო



გუშინდელ პრესკონფერენციაზე: მამუკა წიკლაური, კობა გოგოლაძე, ანატოლი პოლიჩენსკი და რახიმ იანდალიევი

# ქამარს არავის გავატან!

დასაწყისი პირველ გვერდზე

ქართველ დებიუტანტ პროფესიონალთა უკრაინელი მეტოქეები გუშინწინ ჩამოვიდნენ და სასტუმრო „ციცინათელაში" დაბინავდნენ. აქვე სახლობს გოგოლაძეც, რომლის მწვრთნელ-მენეჯერმა მამუკა წიკლაურმა გუშინ ზემოხსენებულ სასტუმროში პრესკონფერენციაზე მიგვიწვია, უკრაინელი მოკრივეები გაგვაცნო და პარასკევის საკრივო საღამოზეც საკმაოდ გვესაუბრა.

ცხადია, მამუკა წიკლაურს უპირველესად 4 თებერვალს გასამართი ბრძოლების სამზადისზე და კობა გოგოლაძეზე დავეკითხეთ:

— თბილისში ასეთი დონის საკრივო შეხვედრის ჩატარება ბევრ სირთულეებთან, უფრო სწორად, ბევრ ფულთან იყო დაკავშირებული. 20 860 დოლარი ინგლისში გადავრიცხეთ. ამ თანხაში შედის მსოფლიოს კრივის ფედერაციაში საჩემპიონო ბრძოლის მოპოვების უფლებისთვის შესატანი ფული, მოკრივეთა ჰონორარები, მათი მგზავრობისა და თბილისში ცხოვრების ხარჯები. ამას დაუმატეთ სპორტის სასახლის იჯარა, სარეკლამო ბუკლეტები და სხვა ათასი წვრილმანი. ცხადია, ამდენი ფული არ გვქონდა, მაგრამ მხარში ამოგვიდგა ის ხალხი, ვინც უფულობას არ უჩივის და ამასთან ერთად, დიდი სურვილი ჰქონდათ, თბილისელებს ნაღდი, პროფესიული კრივი ენახათ. სადაზღვევო კომპანია „ჰელიოსის" პრეზიდენტმა, ბატონმა სოსო ჩხეიძემ გვიშუამდგომლა ბანკთან და ის 20 860 დოლარიც მისი დახმარებით მივიღეთ. გვერდში ამოგვიდგნენ ფირმა GWS და ცნობილი ქართველი ფეხბურთელები გიო ქინქლაძე და შოთა და არჩილ არველაძეები. ერთი სიტყვით, პარასკევისთვის ყველაფერი მზადაა, ახლა ჯერი კობაზე და ქართველ მოკრივეებზეა. თავიდან კობაზე მოგახსენებთ. იგი ამ ბრძოლისთვის გაათკეცებული ძალით ემზადება. ქამრის მოპოვება ხომ დიდი ამბავია, მაგრამ მისი დაცვა უფრო რთული საქმეა. თანაც, გეხსომებათ, კვიპროსზე კობამ ხელი მოიტეხა და მკურნალობა ახლახან დაასრულა. ღვთის წყალობით, ტრავმა მალე მოირჩინა და ვარჯიშსაც შეუდგა. ამჟამად გოგოლაძეს ჩემი პირველი მწვრთნელი ვალიკო გოგუაძე და ტექნიკური მწვრთნელი ვასილ სამსონია ამზადებენ, ცხადია, კობას ყურადღებას არც მე ვაკლებ, მაგრამ დროის უმეტესი ნაწილი მაინც საორგანიზაციო საქმეს მიაქვს.

გოგოლაძე თბილისის „დინამოს" ბაზაზე ვარჯიშობს, გამორჩეულად გამძლეობაზე ვმუშაობთ. თბილისური ჩხუბი ათრაუნდიანია და რადგან მეტოქეზე არაფერი ვიცით, არ გვინდა, აუტკივარი თავი ავიტკივოთ. ნოკაუტით გამარჯვებას კი ვგეგმავთ, მაგრამ წინასწარ თადარიგის დაჭერაც არ გვაწყენს.

ცხადია, კითხვებით კობა გოგოლაძესაც მივმართეთ:

— მამუკას ვეთანხმები, ქამრის შენარჩუნება უფრო ძნელია. თანაც ქართველი მაყურებლის წინ ჩხუბი ორმაგ პასუხისმგებლობას მაკისრებს. ეს ერთგვარ ფსიქოლოგიურ ბარიერად შეიძლება გეჩვენოთ, თუმცა მე სხვაგვარად ვფიქრობ. შინაურ რინგზე ბრძოლა მეტ ძალ-ღონეს შემმატებს.

ზემოთაც ითქვა, დევიდ ტერნერზე არაფერი ვიცით. ბრძოლის ტაქტიკასაც ამის გათვალისწინებით შევიმუშავებთ. პირველ რაუნდში დავაკვირდები, შევხედავ, რისი შემძლეა, თუ ლია ჩხუბზე წამოვიდა, ნოკაუტით დაგდებას შევეცდები, თუ არა და... ქამარი ათრაუნდიან ბრძოლაში ვირგუნე და ამისთვისაც მზად ვარ...

ახლა კი დროა, უკრაინელ სტუმრებს მივხედოთო, გვითხრა მამუკა წიკლაურმა და სიტყვა უკრაინის პროფესიონალ მოკრივეთა ეროვნული ასოციაციის წარმომადგენელს ანატოლი პოლიჩენსკის დაუთმო.

ბატონმა პოლიჩენსკიმ, მადლობელი ვართ, თბილისში რომ მოგვიწვიეთ, ქართველებთან თავის შერცხვენას არ ვაპირებთ და კიევიდან რჩეული ბიჭები წამოვიყვანეთო. ეს ჯეელები იქვე ჩამომსხდარიყვნენ და უკრაინელთა თავკაცმა ისინი სათითაოდ გაგვაცნო.

უშანგი რურუას მეტოქე რახიმ იანდალიევი გამოცდილი და მრავლისმნახველი მოკრივეა, პროფესიონალებში ბევრჯერ უჩხუბია და გამარჯვებითაც ბევრჯერ დამტკბარა. ამასწინათ ლონდონში ცნობილ ბულგარელს, ევროპის ჩემპიონ ტონჩი ტონჩევს 12 რაუნდიან ბრძოლაში ტოლ-სწორად ეჩხუბა და მხოლოდ ქულებით წააგო. პარასკევს გასამართ შეხვედრაზე რომ ვკითხეთ, გვითხრა: მართალია, ჩემი მეტოქე პირველად გადის პროფესიულ რინგზე, მაგრამ იოლი ბრძოლა რომ არ მელის, კარგად ვიციო.

კონსტანტინ ახრეევსაც (81) ვერ დაუწუნებ გამოცდილებას. კახა ბებურიას მეტოქის ანგარიშზე 40 ბრძოლაა. მას გოგოლაძეც კარგად იცნობს, კვიპროსში მანაც იჩხუბა და მეხუთე რაუნდში მოწინააღმდეგისთვის ნოკაუტიც უწვნევია.

მძიმეწონოსანი სტანისლავ ტოლკაჩოვი კი, ილია ტლაშაძის პირისპირ რომ წარდგება, ჩვენებურთა ძველი ნაცნობია. უკრაინელი ლონდონში, ლენოქს ლუისის კოლეჯში ვარჯიშობს და ხშირად გიორგი კანდელაკის სპარინგ-მეტოქეცაა. რახან სიტყვა კანდელაკზე ჩამოვარდა, გეტყვით, გიორგი ამჟამად ინგლისშია და 21 თებერვლისთვის ემზადება. შესაძლოა, ამ დღეს კანდელაკმა ინტერკონტინენტალის ჩემპიონის ტიტულისთვის იბრძოლოს.

ერთი სიტყვით, უკრაინელები მართლაც რჩეული ბიჭები ჩანან. თუმცა არც ქართველები აპირებენ უბრძოლველად რამის დათმობას. რურუა, ბებურია და ტყლაშაძეც მხოლოდ გამარჯვებას ეშურებიან. ასე რომ, პარასკევს დაველოდოთ, მანამდე გოგოლაძის მოცილე დევიდ ტერნერიც ჩამოვა, ქართველის ბელგიელი მენეჯერი ფილიპ ფონდიუც, ფრანგი რეფერი პოლ ლეგლანიც და ნაღდ კრივსაც წინ ვერაფერი დაუდგება. მაშ ასე, გონგის შემორტყმამდე.

**სოსო ქოტორეიშვილი**



# მარშალი ტიტე

## იტალიური „გენერალის" ქართველი ლიდერი ტიტე კალანდაძე შესაძლოა ესპანურ სუპერკლუბში ვიხილოთ

ტიტე კალანდაძეზეს უდავოდ გამორჩეულ ხელბურთელს ნებისმიერი გუნდის მწვრთნელი ინატრებდა. აკი ჭორის დონეზე მის ყურამდე ერთ სასიამოვნო ამბავსაც მიუღწევია, შენით მსოფლიო ხელბურთის ერთ-ერთი გრანდი დაინტერესდაო. თუმცა ჯერ ეს მაინც ჭორია, რეალობა კი ის არის, რომ ტიტე კალანდაძე ახლა იტალიის „გენერალში" თამაშობს და მისი გოლებით გუნდი ქვეყნის ჩემპიონატს ლიდერობს, თან ევროთასზეც წარმატებით გამოდის.

**— ტიტე, იტალიის ჩემპიონატზე გვითხარით, რომელ ადგილზე ხართ?**

— პირველი წრე დამთავრდა, ჩემპიონატი კი მაისში დასრულდება. ჩემი გუნდი, ტრიესტის „გენერალი" ლიდერია. თან მესამე ადგილზე მყოფ კლუბს იმდენით ვუსწრებთ, ეჭვიც არ მეპარება, პლეი ოფში ვითამაშებთ. მეორე წრეში, დიდი-დიდი, ერთი თამაში წავაგოთ. პირველშიც თითქმის ყველა კონკურენტს მოვუგეთ. ასე რომ, ჩემპიონობას ვუმიზნებთ.

**— თქვენ როგორ შეეწყვეთ კლუბს?**

— ისევ ძირითად შემადგენლობაში ვთამაშობ და გუნდისთვის არცთუ მცირე ძალა გახლავართ. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ბომბარდირი სწორედ მე ვარ.

**— იქაურ ბომბარდირებშიც ხომ არ პირველობთ?**

— ეგ არ ვიცი. მსგავსი ინფორმაცია ჩემამდე არ მოსულა, ოფიციალურად კი იქ ასეთი სტატისტიკა არ არსებობს. თუმცა ეს ნაკლებად მაინტერესებს. მთავარია, იტალიის ჩემპიონები გავხდეთ. ჩემი გუნდი სხვა შედეგისთვის არც იბრძვის.

**— ამას წინათ თბილისში რომ ჩამოხვედით, ახალი ნაოპერაციევი იყავით. ავადმყოფობას მერე ხომ არ შეუწუხებიხართ?**

— არა. იმ ოპერაციის მერე ფორმის აღდგენა სწრაფად მოვახერხე და აქედან ჩასულმა რამდენიმე დღეში კიდეც ვითამაშე.

**— ახლა წელი სტკივაო, მითხრეს...**

— ეს აქაური პირობების ბრალია, საქართველოს იტალიას ვერც შეადარებ. ვარჯიშზე რამდენიმე მაისურას ვიცმევთ, მაგრამ მაინც ისე გვცივა, თითქოს მაცივარში ვიყოთ. არადა, ბევრი თუ გაცვია, სირბილი გიჭირს. თან, ჩვენთან ვერც ხელთათმანს გაიკეთებ. ეტყობა, შემცივდა და პირველივე ვარჯიშებიდან წელი ამტკივდა.

**— თქვენი გუნდი წლეულს ევროთასზეც ასპარეზობდა. ამაზეც გვითხარით?**

— „გენერალი" თასების მფლობელთა თასზე თამაშობს და მეოთხედფინალშია გასული. იქამდე კი ასეთი გზით მივიდა — პირველ წრეში ლიტვის გუნდი გავანადგურეთ, მეორეში მაკედონიის ძლიერ კლუბს ვძლიეთ და ახლა დანიელებს უნდა შევხვდეთ. როგორც ვიცით, სუსტი არც ისაა, მაგრამ ჩვენთან საბრძოლო განწყობაა. ეს გუნდიც აუცილებლად უნდა დავამარცხოთ და შემდეგ ეტაპზე გავიდეთ. ჩვენ ამის გაკეთება შეგვიძლია, რადგან ძლიერი კლუბი გვყავს და რამდენიმე მოთამაშე იტალიის ნაკრების წევრიცაა.

**— სეზონის ბოლოს კონტრაქტი გიმთავრდებათ. მერე რას აპირებთ?**

— გუნდში ორი თვის მისულს ხელმძღვანელობამ კონტრაქტის გაგრძელება შემომთავაზა, მაგრამ არ ვიჩქარე. მე საერთოდ ერთწლიან ხელშეკრულებებს ვაფორმებ, რადგან ყოველწლიურად უკეთესი ვარიანტები მიჩნდება. საქმისადმი ასეთი მიდგომა ფსიქოლოგიურადაც მეხმარება. დარწმუნებული რომ არ ვარ, გაისადაც ვიქნები თუ არა გუნდში, იძულებული ვხდები, უფრო მოვუმატო და მუდამ კარგ ფორმაში ვიყო. რაც შეეხება მომავალს, არის რამდენიმე წინადადება. ყველას გულდასმით განვიხილავ და გადაწყვეტილებასაც მერე მივიღებ.

**— მაინც, საიდანაა ეს წინადადებები?**

— როგორც ჩემმა მენეჯერმა მითხრა, ესპანეთიდან. მან არა, მაგრამ სხვებმა შემატყობინეს, რომ ჩემით ერთ-ერთი იქაური სუპერკლუბი დაინტერესდა. თუმცა ეს მაინც არაოფიციალური ხმებია, ხოლო ის გუნდი იმდენად ძლიერია, რომ ახლა ამაზე ხმამაღლა ლაპარაკი არ მინდა. ისე, იტალიიდან თუ წავალ, მხოლოდ ბევრად უკეთესი პირობების გამო. მცირედისთვის იქიდან ფეხსაც არ მოვიცვლი.

**— გატყობთ, გუნდით თქვენც კმაყოფილი ხართ.**

— ძალიან. კონტრაქტის ყველა მუხლი ზედმიწევნით სრულდება. იტალიელებისგან ასეთ პუნქტუალობას არც კი ველოდი. მაკედონიელები კი სულ სხვაგვარად მექცეოდნენ, მათ პირდაპირ გამაწამეს. მით უფრო, მომთხოვნი და პრეტენზიული არა ვარ. სულ სხვა საქმეა იტალია. იქ ჩავედი თუ არა, ვარჯიშებზე დამაკვირდნენ და მერე თვითონ მომიტანეს ინვენტარიც და ყველაფერი, რაც მჭირდებოდა. ისინი ყველანაირად მიფრთხილდებიან. ყოველი ვარჯიშის წინ მეკითხებიან, რამე თუ მაწუხებს, წამალი ხომ არ მჭირდება. გუნდიც ძალიან კარგადაა განწყობილი ჩემს მიმართ. შემიძლია ვთქვა, რომ მწვრთნელს ჩემზე ამოსდის მზე და მთვარე. ჩასვლის დღიდან სულ იმას მეუბნება, შენი იმედი გვაქვს. ერთი სიტყვით, იტალიაში ძალიან კარგად ვგრძნობ თავს და როგორც გითხარით, ბევრად უკეთესი პირობების გამო თუ წავალ სხვაგან. რა თქმა უნდა, მხოლოდ ანაზღაურებას არ ვგულისხმობ. უმნიშვნელო არც სპორტული მხარეა. იგივე ესპანეთი ამ თვალსაზრისით გაცილებით მაღლა დგას იტალიაზე. ამიტომ თუ წავედი, ახალი კლუბი ძველს ორივე კომპონენტში უნდა სჯობდეს.

**— შეუძლებელია, მხოლოდ ეკონომიკური პირობებით იყოთ ასე კმაყოფილი. ეტყობა, გუნდში კარგი ურთიერთდამოკიდებულებაცაა.**

— ჩემპიონატში თავიდან ცოტა გაგვიჭირდა. გუნდმა შვიდი ქულა დაკარგა, მაგრამ მერე სტუმრად ისეთი მატჩები მოვიგეთ, ვერავინ იფიქრებდა. ასე იყო თუ ისე, გუნდში ყოველთვის, იმ ჩავარდნის პერიოდშიც კი, მეგობრული ატმოსფერო სუფევდა. არანაირი შეკამათება ან ხმამაღალი შელაპარაკება არც ვარჯიშზე, არც თამაშზე... ხდება ხოლმე, როცა მოთამაშეები ერთმანეთს ედავებიან, რაღაცას უთითებენ. ჩვენთან ასეთი რამ არ მომხდარა.

**— ლეგიონერები ჰყავთ?**

— ჩემს გარდა ერთი რუმინელი თამაშობს, ჰყავთ ხორვატი და არგენტინელიც, რომლებმაც იტალიის მოქალაქეობა მიიღეს.

**— სეზონის დასაწყისში ჩავარდნა გვქონდაო, თქვით. რით იყო გამოწვეული?**

— გუნდი ცუდად იყო მომზადებული. არ გაუვლია არც სპეციალური მომზადება, არც ფიზმომზადება. კლუბში ყველა პროფესიონალი არაა. ისინი თან თამაშობენ და თან მუშაობენ. გუნდი ეკონომიკურად მთლად ძლიერი ვერაა. შემოგთავაზებენ იმდენს, რამდენიც შეუძლიათ და მერე არ მოგატყუებენ. ესაა მათი უმთავრესი ღირსება. მწვრთნელიც კარგია, სლოვენიელი. იქაური ხელბურთის სკოლის სიძლიერე კი კარგად მოგეხსენებათ.

**— მერე, არ გიჭირთ ამ დატვირთვების ატანა?**

— ჯერ კიდევ საქართველოში მივეჩვიე დიდ დატვირთვებს და ამიტომ არ გამძნელებია.

**— ტიტე, ალბათ დადგა დრო, ნაკრებზეც ვისაუბროთ.**

— დღეს საქართველოს ხელბურთის ასოციაცია თითქმის არ ფინანსდება და შედეგსაც ვიმკით. ადრე, როცა ფული იყო, გუნდიც გვყავდა. მართალია, ჩვენ არა ვართ რუსეთი, შვედეთი ან იუგოსლავია, მაგრამ საშუალო დონეზე თამაში ხომ შეგვიძლია? აი, დანიამ რომ მოგვიგო, მისი და მისნაირების დამარცხება ნამდვილად ძალგვიძს. მოკლედ, გუნდი არის და მას მიხედვა უნდა. ფული რომ ყოფილიყო, მსოფლიოს ჩემპიონატის პლეი ოფში გავიდოდით. თუმც ყველაფერი მაინც ფულზეა დამოკიდებული.

ბადრი კოთილაძის ფოტო



ტიტე კალანდაძე

**ირაკლი თავაძე**

# ევროპის წილი მსოფლიოში

კვირას ზაგრებში ხელბურთელ ვაჟთა ევროპის ფინალური მატჩის წინ მსოფლიოს 2001 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის პლეი ოფის კენჭისყრა გაიმართა. გაისად საფრანგეთში ევროპა თორმეტი გუნდით იქნება წარდგენილი. აქედან ექვსის ვინაობა უკვე ცნობილია, ექვსიც პლეი ოფის შემდეგ გაირკვევა. საფრანგეთი, როგორც მასპინძელი ქვეყანა და მსოფლიოს ჩემპიონი შვედეთი, თავიდანვე დაშვებულნი იყვნენ ტურნირზე. რუსეთმა, ესპანეთმა, სლოვენიამ და ხორვატიამ კი ევროპის ჩემპიონატზე დაკავებული ადგილებით მიაღწიეს საწადელს. ხორვატიაში მოასპარეზე დანარჩენი ექვსი გუნდი — ნორვეგია, პორტუგალია, გერმანია, დანია, ისლანდია და უკრაინა პირდაპირ იყვნენ დაშვებულნი პლეი ოფში. სხვა ევროპელებმა კი ჯერ ჯგუფურ ტურნირში მიიღეს მონაწილეობა. თითოეული ჯგუფის გამარჯვებული პლეი ოფშიც გავიდა. შეგახსენებთ, რომ ფინანსური გაჭირვების გამო ცუდად მომზადებულმა, ორ მეტოქესთან (შვეიცარია, ისრაელი) მხოლოდ სტუმრად ნათამაშევმა და გრიპშეყრილმა საქართველოს ნაკრებმა ჯგუფიდან ვერ გააღწია, რისი შემძლეც პოტენციურად და რეალურად ნამდვილად იყო.

პლეი ოფის პირველი მატჩები 3-4 ივნისს გაიმართება, საპასუხოები კი ერთი კვირის შემდეგ. 16 ივნისს კი პარიზში ფინალური ეტაპის კენჭისყრაც შედგება. პლეი ოფში გუნდები ასე დაწყვილდნენ: *შვეიცარია — უკრაინა, იუგოსლავია — დანია, პოლონეთი — გერმანია, მაკედონია — ისლანდია, უნგრეთი — ნორვეგია, ჩეხეთი — პორტუგალია.*

**გაგი გურული**

# იაგუარის ნახტომი თეთრი სტიუარტი გამწვანდა

გუნდი დაარსებულია 1988 წელს (სტიუარტი)
2000 წლიდან — იაგუარი
ტექნიკური დირექტორი: გერი ანდერსონი
შეფ დიზაინერი: ჯონ რასელი
შასი: იაგუარ კ-1
ძრავა: ფორდ კასუორს მ-10
დებიუტი ფორმულა 1-ში: 1997, ავსტრალიის დიდი პრიზი
„სტიუარტის" სახელით ჩაატარა 49 რბოლა, 1 გამარჯვება, 47 ქულა
1999 წელს გუნდმა დაიკავა მე-4 ადგილი, 36 ქულა



ედი ირვინი

ბრიტანეთი
დაიბადა 1965 წლის 10 ნოემბერს ნიუტაუნარდსში
სიმაღლე 178, წონა 75
უცოლო, ცხოვრობს დუბლინში
დებიუტი ფორმულა 1-ში: 1993, იაპონიის დიდი პრიზი
97 რბოლა, 4 გამარჯვება, 1 სწრაფი წრე, 173 ქულა
1999 წლის სეზონში დაიკავა მე-2 ადგილი. 74 ქულა
ასპარეზობდა „ჯორდანში" (1993-95) „ფერარიში" (1996-99)



ჯონი ჰერბერტი

ბრიტანეთი
დაიბადა 1964 წლის 25 ივნისს ბრენტვუდში
სიმაღლე 167, წონა 65 კგ
ჰყავს მეუღლე და 3 შვილი
ცხოვრობს მონაკოში
დებიუტი ფორმულა 1-ში: 1989, ბრაზილიის დიდი პრიზი
144 რბოლა, 3 გამარჯვება, 98 ქულა
ასპარეზობდა „ბენეტონში", 1989, 1994-95
„ტირელში" 1989 „ზაუბერში" 1996-98
„ლოტუსში" 1990-94 „სტიუარტში" 1999

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

გასული წლის სექტემბერში ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ჯეკი სტიუარტის გუნდი „ფორდმა" შეისყიდა და წლეულს „იაგუარის" (რომელიც ამავე კონცერნს ეკუთვნის) სახელით იასპარეზებს, ხოლო სარბოლო მანქანების ქათქათა თეთრი ფერი, ტრადიციული ბრიტანული სარბოლო, მწვანე ფერით შეიცვლება. „ფორდის" წარმომადგენელთა აზრით, ამან ხელი უნდა შეუწყოს „იაგუარის" ავტომობილების ბაზრის ზრდას.

„იაგუარის" სახელი კარგადაა ცნობილი ავტოსპორტის მოყვარულთათვის. ამ სახელოვან მარკას მრავალი გამარჯვება აქვს მოპოვებული რალისა და 24 საათიანი რბოლების ტრასებზე. 26 იანვარს ბრიტანელებმა თავიანთი პირველი ბოლიდი იაგუარ R-1 წარმოადგინეს. ამ მოდელზე მუშაობა ჯერ კიდევ შარშან ზაფხულს დაიწყო და მისი შემქმნელები დიდ იმედს ამყარებენ მასზე. შეცვლილია აეროდინამიკა. მექანიკური ნაწილი, სიმძიმის ცენტრი უფრო დაბლაა განლაგებული (რაც მეტად მნიშვნელოვანია ფორმულა 1-ის ბოლიდებისთვის), გაუმჯობესებულია პილოტის სამუშაო ადგილი — კოკპიტი.

გუნდმა შეინარჩუნა „სტიუარტის" ძირითადი სპონსორები HSBC, [illegible]-პაკარდი, MCI, ამათ [illegible]ნული ლუდი BEERS და DHL. ეს კი „ფორდის" მილიონებთან და ტექნიკურ შესაძლებლობებთან ერთად გუნდს წარმატებისთვის მყარ საფუძველს უქმნის.

გუნდის პილოტებიც ბრიტანელები არიან: ედი ირვინი, გასული წლის ერთ-ერთი ფავორიტი და გამოცდილი ჯონი ჰერბერტი, რომელმაც პირველი გამარჯვება მოუტანა „სტიუარტს". ორივე პილოტმა უკვე მოსინჯა ახალი ბოლიდი და ახლა მის მოთვინიერებაზე მუშაობს.

**ალეკო ბაბუკიანი**



ჯონი ჰერბერტი და ედი ირვინი წლეულ „იაგუარს" მოათვინიერებენ



# მოეფერეთ იაგრს...

31 იანვარი

**ლოს ანჯელესი — აილენდერსი 5:2**

2:0 3:0 0:2

1:0 შტუმპელი 14'50 (4); 2:0 გელი 17'02 (6); 3:0 რობიტაილი 21'55 (23); 4:0 მიურეი 25'47 (16); 5:0 რობიტაილი 33'38 (24); 5:1 ჰიუარდი 44'01 (5); 5:2 ჩერკავსკი 57'19 (17)

**ფინიქსი — დეტროიტი 5:3**

1:1 2:2 2:0

1:0 ტკაჩუკი 14'02 (22); 1:1 დრეიპერი 14'46 (3); 1:2 შენაჰანი 24'23 (28); 2:2 ადამსი 24'49 (11); 3:2 რენიკი 25'28 (24); 3:3 დანდენო 25'56 (5); 4:3 ნუმინენი 49'08 (6); 5:3 გრინი 59'47 (19)

**დალასი — ედმონტონი 2:1**

1:1 0:0 1:0

1:0 მოდანო 5'35 (20); 1:1 გერინი 19'56 (15); 2:1 კარბონო 53'16 (6)

**რეინჯერსი — ნეშვილი 5:1**

2:0 1:1 2:0

1:0 დვორჟაკი 4'33 (10); 2:0 იორკი 17'38 (16); 3:0 დეიგლი 32'01 (5); 3:1 რობიტაილი 39'55 (11); 4:1 დვორჟაკი 47'28 (11); 5:1 დვორჟაკი 55'01 (12)

**ატლანტა — პიტსბურგი 1:2**

1:0 0:0 0:1 0:1

1:0 სილვესტრი 10'01 (14); 1:1 იაგრი 51'18 (36); 1:2 ლანგი 64'28 (15)

**ბოსტონი — ანაჰაიმი 2:4**

1:3 0:0 1:1

0:1 კარია 3'54 (29); 1:1 ტორნტონი 5'12 (13); 1:2 სელიანე 9'34 (21); 1:3 სელიანე 14'44 (22); 2:3 კარტერი 49'20 (21); 2:4 კარია 55'10 (30)

REUTERS



ედმონტონელ ეტან მოროს დალასელ გრანტ მარშალისგან კაი მაგრად მოხვდა

ახლა, როცა პლეი ოფში გასვლისთვის ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შედის, ნებისმიერ შეხვედრას განსაკუთრებული ელფერი ეძლევა — კლუბებს, რომელთაც სათასო საგზურის მოპოვება სურთ, მაჩანჩალა მეტოქეებთანაც კი თავგამოდებით მართებთ თამაში. ლიგის ახალბედა ატლანტასთან შეხვედრაში პიტსბურგს საქმე თავიდანვე არ წაუვიდა კარგად. წინა მატჩში ანაჰაიმთან განადგურების შემდეგ „პინგვინები" გადამეტებულად ფრთხილობდნენ და გამოუცდელი სკოტ ფანკჰაუზერის კარის დასალაშქრად ვერაფერი ილონეს. რომ არა მეორე პერიოდის მიწურულს მომხდარი ინციდენტი, ატლანტელი დინ სილვესტრის გოლი ამ თამაშში იქნებ ერთადერთიც ყოფილიყო. ერთ-ერთი შეტევისას მასპინძელთა „მეომარი" დენი ლამბერტი ერთობ უდიერად მოექცა იარომირ იაგრს — ხელში ყვანჯი ჩაარტყა, თანაც ისე, რომ ეს არბიტრებს არ შეუმჩნევიათ. გაცხარებული იაგრი მსაჯებთან მივიდა და შეეკამათა, მაგრამ, ეტყობა, გადააჭარბა და ამისთვის 10-წუთიანი სადისციპლინო ჯარიმა მიიღო. „ფრჩხილი დამიზიანა და ერთი-ორი სიტყვაც არ მეთქვა? მე ხომ გუნდის კაპიტანი ვარ. განა რაც ვიგრძენი, იმის ახსნის უფლება არ მაქვს?" — გაკვირვებული იყო იაგრი მატჩის შემდეგ. მესამე პერიოდში კი, საჯარიმოს დასრულების შემდეგ, იაგრიმ გოლი გაიტანა. თუმცა ამ ეპიზოდში, როგორც ვიდეოჩანაწერზე ჩანდა, შაიბამ ბოლომდე არ გადაკვეთა კარის ხაზი, მაგრამ მსაჯები იაგრის ამის თქმას რალას გაუბედავდნენ და გოლი ჩათვალეს. უნდა ითქვას, რომ მატჩის შემდეგ თავად იაგრიმაც აღიარა, გოლი არ იყოო. ოვერტაიმში სუპერჩეხმა კიდევ ერთხელ თქვა თავისი სიტყვა და რობერტ ლანგს ზუსტი პასით გადამწყვეტი გოლი გაატანინა.

ფინიქსისა და დეტროიტის ორთაბრძოლაშიც ბევრი რამ ვიდეოფირის ნახვის შემდეგ გაირკვა. ოღონდ ამ შემთხვევაში დეტროიტელი ნიკლას ლიდსტრიომის გოლი (როცა ანგარიში 4:3 იყო ფინიქსის სასარგებლოდ) არბიტრებმა არ ჩათვალეს, რადგან ამ მომენტში მისი თანაგუნდელი ტომას ჰოლმსტრიომი მეტოქეთა მეკარე შონ ბურკს ხელს უშლიდა. თუმცა ამ გოლის ჩათვლა კი შეიძლებოდა. ყოველ შემთხვევაში, იაგრის გოლზე უფრო კანონიერი იყო. მიუხედავად იმისა, რომ დეტროიტი ფინიქსთან ზედიზედ მესამედ დამარცხდა, „წითელფრთიანთა" თავკაცი სკოტი ბოუმენი მაინც უკმაყოფილო იყო. მისი თქმით, ბოლო ხუთ მატჩში ეს დეტროიტის საუკეთესო თამაში გახლდათ. ფინიქსელთაგან მოგებაში ყველაზე დიდი წვლილი კეიტ ტკაჩუკმა შეიტანა, რომელმაც გოლს სამი პასიც დაამატა.

სტატისტიკის მიხედვით, დალასისთვის ედმონტონი ერთობ მოხერხებული მეტოქეა. 1993-94 წლების სეზონიდან დაწყებული, ვარსკვლავებმა 28 მატჩიდან 22 მოიგეს და მხოლოდ სამი წააგეს, მაგრამ დალასის მიერ მოგებული ბოლო 7 მატჩიდან ექვსში მინიმალური სხვაობა დაფიქსირდა, ხოლო პლეი ოფში „ოილერსთან" სერია დალასისთვის ლამის ყველაზე მძიმე გამოდგა. ამჯერადაც უფრო სამართლიანი შედეგი ფრე იქნებოდა. გარდა პირველ პერიოდში დაშვებული უხეში შეცდომებისა (ყინულზე მოთამაშეთა ზედმეტი რაოდენობის გამო ედმონტონმა ჯარიმა მიიღო, რომელიც დალასმა კარგად გამოიყენა) სტუმრები არაფრით ჩამოუვარდებოდნენ მეტოქეს, მაგრამ...

ორი მარცხის შემდეგ ნიუიორკელები ძალიან მონდომებულნი იყვნენ და ნეშვილს არანაირი შანსი არ დაუტოვეს. კვლავ გაიბრწყინა მათმა „ჩეხურმა ხაზმა". ამჯერად განსაკუთრებით რადეკ დვორჟაკი გამოირჩა — მან სამი გოლი გაიტანა და სამივე იან ჰლავაჩის პასებით.

ლოსანჯელესელმა ლუკ რობიტაილმა აილენდერსს ორი გოლი გაუტანა. მას შემდეგ, რაც კლუბის წამყვანი გამთამაშებელი იოზეფ შტუმპელი (1+2) გამოჯანმრთელდა, რობიტაილი და „მეფეთა" პირველ სამეულში მოთამაშე ზიგმუნდ პალფი (3 პასი) აშკარად გუნებაზე მოვიდნენ და კვლავ ისე გამოიყურებიან, როგორც სეზონის დასაწყისში.

დაბოლოს, ბოსტონის გასაჭირზე. როგორც ჩანს, კლუბში კონფლიქტი მწიფდება. შაბათის „ბოსტონ ჰერალდში" გამოქვეყნებული ვრცელი მიმოხილვიდან ირკვევა, რომ კლუბის მფლობელმა ჯერემი ჯეკობსმა მკაცრად გააკრიტიკა „დათვების" თავკაცი პეტ ბერნსი. „ჩვენმა ქომაგებმა დაიმსახურეს, რომ ბოსტონი უკეთესი იყოს. საამისოდ მწვრთნელებს უკეთ მუშაობა მართებთ", თუმც იმავე ბერნსის ლიგის ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული მწვრთნელის თქმით, რაიმე პრობლემა რომ ყოფილიყო, ამას პირადად ჯეკობსისგან გაიგებდა.

„სულ ახლახან ჯერემისთან ვიყავით მიწვეულნი. იგი ჩინებულად შეგვხვდა და არანაირი პრეტენზია არ გამოუთქვამს" — თქვა ბერნსმა რადიოინტერვიუში და დასძინა, რომ კონფლიქტს კლუბის ზოგიერთი უკმაყოფილო მოთამაშე აღვივებს. იგი ფიქრობს, რომ სწორედ მათი წყალობით ატყდა ასეთი აყალმაყალი პრესაში. მართალია, ამ სტატიამ ნაყოფი გამოიღო და შაბათს ბოსტონმა 1:0 სძლია ბუფალოს, მაგრამ ამ ვნებათაღელვის ეფექტი ხანმოკლე აღმოჩნდა. „დათვები" ამჯერადაც უსუსურად გამოიყურებოდნენ შინაურ ყინულზე (ბოლო 11 მატჩში მხოლოდ 1 მოგება). ისინი პოლ კარიასა (2+2) და ტეემუ სელიანეს (2+2) ბრწყინვალე წყვილის წინააღმდეგ ბრძოლაში უძლურნი აღმოჩნდნენ.

**სამველ ლარიბიანი**

## ინგლისი

**პირველი დივიზიონი**

გადადებული მატჩები

სკანთორპი 0:2 რექსემი

ოქსფორდი 0:4 პრესტონი

ჩესტერფილდი 0:0 ჯილინგემი

**მესამე დივიზიონი**

გადადებული მატჩი

მენსფილდი 1:0 ბრაიტონი

## საფრანგეთი

ოსერი 1:0 ბორდო

1:0 გივარში (86)

მონაკო 1:0 პსჟ

1:0 ტრეზეგე (84)

## ჰოლანდია

მაასტრიხტი 0:0 როდა

## ესპანეთი

**თასის მერვედფინალი**

ვილიარეალი 3:0 (2:4 პენ) კომპოსტელა

სელტა 0:1 ესპანიოლი

## ბელგია

**ლიგის თასის მეოთხედფინალი**

ჰარელბეკე 2:5 ანდერლეხტი

**აფრიკის თასი**

ეგვიპტე 4:2 ბურკინა ფასო

ზამბია 2:2 სენეგალი



## ბურთი და ჩადრი

ქალთა ფეხბურთი არაბეთშიც ხურს. უკვე მეორე არაბული ჩემპიონატი იორდანიაში მიმდინარეობს. ეგვიპტელი ვარდა იბრაჰიმი და ერაყელი ბეჯან ასი (№10) ბურთისათვის შებმულან. ჩადრი? აბა, ისე როგორ იქნება, არაბეთია ბოლოს და ბოლოს. ეგვიპტელმა გოგოებმა კი ცხრა უპასუხო გაუტანეს სადამის მხევალთ.



ლათინურამერიკულ ცეკვებში გამარჯვებული დიანა მასალაევა და გიორგი ყაჭეიშვილი

# ცხოვრება კლიპია

## პირველი ტანგო მუშტაიდში

იმ ცხოვრებისა რა ვთქვი, სახედ და ხატად კლიპი რომ გაუხდება.

ძალიან კლიპურია ეს ჩვენი ყოფა — უაზრო, ულოგიკო, მორალსმილმური. ხარ ამ საზარლად კონტრასტული სანახაობის მაყურებელიც და მონაწილეც და იჩეჩავ მხრებს.

აი, ამ ორი-სამი დღის წინაც... თბილისის ვაგზლის მიდამოები, სალამოს ჟამი, ყინვა, წკვარამი, წუმპე, ცხოვრებისგან ჩაწიხლული ნაბაზრალ-ნაბაზრობალი ხალხის გნიასი, ურიკების ბორბლების ღრჭიალი, გინება, წყევლა... საქართველო აქ და ახლა... არათბილისი თუ ძალიანაც თბილისი...

აქედან ერთი ნაბიჯი, მუშტაიდის ბალი, ქორეოგრაფიული სტუდია „თელა", ვალსი, ტანგო, სამბა, რუმბა, ჩა-ჩა-ჩა, პასადობლი... კლასიკური ევროპული ესთეტიკა, ლირიზმი, სინატიფე, სრულქმნილებისკენ სწრაფვა და იბეროამერიკული პლასტიკური ეგზოტიკა, ერთურთისკენ ლტოლვის და სიცოცხლის ჟინის ალეგორია...

და რა შუაშია აქ „სარბიელი"? ამ უქმეებზე სამეჯლისო სპორტცეკვების ეროვნული ფედერაციის მიერ გამართულ საქართველოს ღია პირველობაზე, თუ დამიჯერებთ, უფრო მეტი სპორტი ვნახე, ვიდრე არაერთი დღევანდელი ტრადიციულ-სპორტული შეჯიბრებების ცქერისას. ეს გოგო-ბიჭები, მოცეკვავეები, სპორტსმენებივით გაყინულ დარბაზში ვარჯიშობენ, ოღონდ ვარჯიშობენ დიდხანს, გულიანად და ხალისიანად. სპორტსმენები ამ სიტყვებს საყვედურად ნუ მიიღებენ, მათი ანუ მთლიანად ქართული სპორტის გასაჭირი ყველამ იცის, მაგრამ ნურც მოცეკვავეებს დავუკარგავთ ყოველდღიური გარჯის ნაყოფს. სპორტულ მიღწევათა საზომი საერთაშორისო დონეა, ის დაკარგული დონე, რომელიც ახლა სანატრელი გაგვხდომია. დავით კულუმბეგაშვილი და ია კვირიკაშვილი კი სწორედაც რომ საერთაშორისო კლასის მოცეკვავენი არიან, ისეთები, ნებისმიერი რანგის ტურნირ-კონკურსზე თავისას რომ იტყვიან. სხვებიც არიან, ასევე აღიარებულნი, მაგალითად, გიორგი ტაბატაძე, და საკმაოდ პერსპექტიულნიც: მამუკა ბახტაძე და მაგდა ჯიბლაძე, გიორგი ყაჭეიშვილი და დიანა მასალაევა, ლიკა ჭაბუკიანი...

ბოლოს კი უსამართლობა იქნება, მადლობა არ ეთქვას ორ ადამიანს, რომელთაც უამრავ ხიფათსა და გასაჭირს გამოარიდეს თავიანთი საქმე. რა წლები იყო და რა დრო დგას, მაგრამ თენგიზ და ლარისა გაჩეჩილაძეები კვლავაც დასტრიალებენ ცეროდენა მოცეკვავეებს...

ყველაფერი ასე იწყება: პირველი ტანგო მუშტაიდში.

**ზეზვა მიგრიაული**

**ბადრი კეთილაძის ფოტოები**



ეს უნდა ნახოთ! ია კვირიკაშვილისა და დავით კულუმბეგაშვილის ვალსი



სტუმართაგან ყველაზე მეტი სიმპათია ბაქოელმა ვიქტორია მასლიაკოვამ დაიმსახურა



სამბა, რუმბა, ჩა-ჩა-ჩა...

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი ზურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კეღელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli